ლევან ჭილაშვილი

ძველი გავაზი

(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

902—6 (С-11)
902—6(47.922)
З 461

წიგნში განხილულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ისტორიული გავაზის ტერიტორიაზე (ყვარლის რაიონი, სოფ. ახალსოფელი) 1969—1972 წწ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალები, მოცემულია ძეგლთა მეცნიერული კვალიფიკაცია ისტორიული განვითარების მიხედვით.

ავტორის დასკვნით, გავაზი წარმოადგენდა შუა საუკუნეების მნიშვნელოვან დასახლებას, რომლის დაფუძნებაც საეარაუდოა ბრინჯაოს ხანიდან.

წიგნს ახლავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა და გამიზნულია არქეოლოგთათვის, ისტორიკოსთათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

В книге дается обзор археологического материала, добытого археологической экспедицией Государственного Музея Грузии АН ГССР в 1969 — 1972 гг. на территории Гавази (с. Ахалсопели Кварельского р-на) и научная квалификация памятников в свете их исторического развития.

По заключению автора, Гавази — значительное поселение средневековой Грузии, основание которого подразумевается с бронзовой эпохи.

К труду приложен богато иллюстрированный материал. Книга расчитана на археологов, историков и широкий круг читателей.

З 10602
М607(03)—75 200—75

©

გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975

შესავალი

უძველესი დროიდანვე თავისებური ურთიერთობა მყარდება ბარისა და მთის მოსახლეობას შორის; განსხვავებული ეკონომიური საფუძველი, სოციალური სტრუქტურა და კულტურული ყოფა ნიველირებას საჭიროებდა საუკუნეთა განმავლობაში. მთის მოსახლეობის მყარი ეკონომიური ბაზა, ჩამოყალიბებული შესაბამის გეოგრაფიულ გარემოში, მოითხოვდა მჭიდრო კონტაქტს ბართან, როგორც დამჯდარი მეურნეობის პროდუქციის ძირითად მიმწოდებელთან. მთიანი კავკასიონი და ალაზნის ველი ბარისა და მთის ურთიერთობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ. მათი კავშირურთიერთობა ხორციელდებოდა კავკასიონიდან ალაზნის ველზე გამომავალი ხეობების მეშვეობით, სადაც აღნიშნული ურთიერთობების მარეგულირებლად ძლიერი დასახლებები აღმოცენდა. ეს დასახლებანი ისევე ძველია, როგორც მთისა და ბარის კავშირი.

თუ ამ თვალსაზრისით კახეთის გეოგრაფიულ გარემოს გადავსინჯავთ, ძნელი არ იქნება გამოვყოთ დასახლებათა ერთი წყება, რომელიც აღმოცენდა ორი განსხვავებული გეოგრაფიული გარემოს და შესაბამისად, სხვადასხვა ეკონომიური ზონის შესაყარზე, მთისა და ბარის მიჯნაზე. ასე აღმოცენდა მდინარე ინწობის ხეობაში გრემი, ჩელთის ხეობაში შილდა, დურუჯის ხეობაში აბანოს ციხე, ავანისწყლის (გავაზის წყლის) ხეობაში გავაზი, არეშის წყლის ხეობაში ვარეში, შაწეხის ხეობაში შაწეხის ციხე და ა. შ. რამდენადაც მთისა და ბარის დამოკიდებულების არსი საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა იყო, აღნიშნულ პუნქტთა რაგვარობაც იცვლებოდა ურთიერთობის ხასიათის შესაბამისად.

ჩვენი განსჯის საგანს ამჯერად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხეობა და მასზე აღმოცენებული პუნქტი გავაზი წარმოადგენს. კავკასიონის მთიანეთის ხალხები ბარს უძველესი დროიდანვე, როგორც აღნიშნული იყო, ალაზნის ველზე გამავალი ხეობებით უკავშირდებოდნენ. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო გავაზის გზა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. თვითონ პუნქტი გავაზი აღმოცენდა ხეობის კარზე, ორი განსხვავებული ეკონომიური რაიონის საზღვარზე, მთისა და ბარის შესაყარზე. იგი მდებარეობდა კავკასიონის ძირში, ალაზნის ველის დასაწყისში. მთლიანად გავაზის „ქვეყანა“ კავკასიონიდან გამომავალი მდინარეების ავანისწყლისა და შოროხევის ორმდინარეთში იყო მოქცეული. აქ იყო განლაგებული თვით პუნქტი, ძლიერი უბნებით და მნიშვნელოვანი სამეურნეო ზონით, რომელიც განსაზღ-

ვრავდა გავაზის როგორც დასახლების ხასიათს, ისე მის ადგილს საერთო განვითარების ჯაჭვში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული ორმდინარეთი თავისი სამიწათმოქმედო რაიონით, რომელიც საირიგაციო სისტემით იყო უზრუნველყოფილი, ერთ ლოკალურ, სამეურნეო და ალბათ შესაბამისად ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენდა, რის ასახვასაც, სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში ვერ ვხვდებით.

* * *

გავაზის შესახებ წერილობით წყაროებში მცირეოდენი ცნობებია შემონახული. მათგან უძველესი IX საუკუნის ერთ მეტად საინტერესო ამბავს შეეხება. IX საუკუნის ოციანი წლები იყო. არაბების ქართლში შეუსუსტებით ისარგებლა აშოტ კურაპალატმა, მოიშველია თევდოსი აფხაზთა მეფე (ლეონ II-ის ძე) და გრიგოლის, კახეთის მთავრის, წინააღმდეგ გაილაშქრა. გრიგოლს წანარები და თბილისის ამირა წამოეშველნენ. გრიგოლსა და აშოტს შორის ბრძოლა მდინარე ქსანზე მოხდა. დამარცხებული გრიგოლი კახეთს გადაიხვეწა, აშოტმა კი თავისი სამფლობელო კლარჯეთიდან მდ. ქსნამდე განავრცო[1]. არაბებმა დროებით კრიზისს თავი დააღწიეს და კვლავ შემოუტიეს საქართველოს: „... მოვიდა ხალილ იაზიდის-ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი"[2]. არაბებმა მოკლეს აშოტ კურაპალატიც 826 წ. გარდაბანს[3]. ხალილი მალე წავიდა ქართლიდან ისე, რომ აქ ამირად ალი შუაბის ძე დატოვა. „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ჭორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს დონაური. კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი გავაზს; და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი"[4].

X საუკუნის პირველ წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე დიდ წარმატებებს აღწევს კონსტანტინე აფხაზთა მეფე. 904 წ. მან დაიპყრო ქართლი და მნიშვნელოვნად განავრცო თავისი სამფლობელოები. 914 წ. არაბების შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინეს წინსვლა შეაჩერა, თუმცა მცირე ხნით. „შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უხმო კვირიკე ჭორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა ჩაიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეენისასა, აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძით, და კვირიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვირიკეს ორჯობი. ვითარ დაიზავნეს და შემოიქცეს, მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, იღოცა ალავერდს წმინდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მის.ი ოქროითა"[5].

თუ პირველ ცნობაში მხოლოდ გავაზის შესახებაა ლაპარაკი, მეორე უფრო მეტ ტოპონიმებს ასახელებს და უფრო საინტერესოა თვით გავაზის და მისი გეოგრაფიული გარემოს წარმოსადგენად. აღნიშნული ცნობის განმარტებისას პ. ინგოროყვა გავაზს აიგივებდა ქაოზიანთან — დედაციხესთან და მის

---

[1] ქ ც-ბა, I, გვ. 252—253.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 96.

[4] ქ ც-ბა, I, გვ. 254.

[5] იქვე, გვ. 264.

ადგილმდებარეობას ხრამისა და მტკვრის შესართავთან განსაზღვრავდა[6]. გავაზის ასეთი ლაკოლიზაცია, ჩვენი აზრით, არ არის მისაღები, რის შესახებაც ადრეც გვქონდა შენიშნული[7]. ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი ცენტრალურ ჰერეთშია მოხდარი, ამის უდავო დამადასტურებელია ვეჯინისა და ალავერდის ხსენება. რაც შეეხება გავაზსა და არიშს, მათ შესახებაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ერთმანეთთან ახლოს მდებარე პუნქტებს წარმოადგენდნენ დღევანდელი ყვარლის რაიონში[8]. ვახუშტი ბაგრატიონი გაღმა მხარისა და შიგნით კახეთის აღწერისას გადმოგვცემს: ალაზნის დასავლით, ყივის მთის ძირს; არს ვეჯინი, მას ზეით, მთის კალთას, კლდესა ზედა, არს ციხე შენი მაგარი და დიდებული, შიგ გამომდინარე, წყაროთი და ეკლესიით. კვალად, ალაზანს ერთვის, ბედიყრის წყლის შესართავს ზეით, გავაზის — წყალი; გამოსდის ამასა და დიდოეთს შორისს კავკასსა და მოდის აღმოსავლეთ ჩდილოთ შუადამ სამხრით — დასავლეთს შუა. ამას ზეით მიერთვის ალაზანს ყვარელის — წყალი. გამომდინარე მასიე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე"[9]. ვახუშტის აღნიშნული სქემის მიხედვით, გავაზის წყლის შემდეგ ყვარლის წყალი უერთდება ალაზანს მარცხენა მხრიდან. თანამედროვე ტოპონიმიკაში არც ერთი და არც მეორე სახელი შემორჩენილი არ არის, ყვარელი მდინარეების დურუჯისა და ბურსის ორმდინარეთშია განლაგებული.

ვახუშტი, როგორც ჩანს, ყვარლის წყალში გულისხმობს მდ. დურუჯს. რომ ეს ასეა ჩანს შემდეგი ადგილიდან: „ამ წყალზედ (ყვარლის წყალზეა ლაპარაკი — ლ. ჭ.), ყვარელის ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი-ო", იქვე აღნიშნავს ვახუშტი. ეს კი ეჭვმიუტანლად მიგვანიშნებს მდ. დურუჯზე, რომლის შემდეგაც არის ნეკრესი და შემდეგ კი, იმავე ვახუშტის მიხედვით, მდ. ჩელთის წყალია. როგორც ჩანს მდ. ბურსა ვახუშტის გამოტოვებული აქვს, გავაზის წყალი კი მანამდეა მოხსენიებული, რაც ნებას გვაძლევს იგი ავანის წყალთან გავაიგივეოთ. სხვათაშორის ვახუშტის თხზულებაში სხვა მდინარეების მიხედვითაც ჩანს, რომ იგი მდინარეს აღნიშნავს მასზე მდებარე პუნქტის სახელით. მაგ., მდ. ინწობას იგი საბუე-გრემის წყლის სახელით აღნიშნავს, დურუჯს ყვარლის წყლის სახელით მოიხსენიებს, ისევე როგორც ავანის წყალს გავაზის წყალს ეძახის[10].

გავაზი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დროთა განმავლობაში ტერიტორიულ ცვლილებებს განიცდიდა და ძირითადად ავანის წყლისა და შოროხევის შუამდინარეთში იყო განლაგებული. ალაზნის შემდგომი შენაკადი მარცხენა მხრიდან იყო ვრეშის წყალი, რომლის შესახებაც ვახუშტი არაფერს გვეუბნება. მდინარის ზედა წელში, კავკასიონის მთების ძირში, ჩვენს მიერ მიკვლეულია

---

[6] პ. ინგოროყვა, რუსთაველიანა, გვ. 175.

[7] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთაი, გვ. 50.

[8] იქვე.

[9] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 99.

[10] სიტყვის წარმოების მიხედვით ავანი უფრო პირვანდელი სახელი ჩანს, ვიდრე გავაზი. არ არის გამორიცხული ავანი ერქვა იმ ძველ პუნქტსაც, რომლის ფუძეზედაც შეა საუკუნეების გავაზი აღმოცენდა. ავანი, გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, შეიძლება მართლაც დასახლებული ადგილის ზოგადი სახელი იყო ძველად, ტერმინების ქალაქის და სოფლის გაჩენამდე. იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, გვ. 94.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაქალაქარი (თანამედროვე სოფელი მთისძირი), რომელიც შეიძლება გავაიგივეოთ ისტორიულ არეშთან, არეში და გავაზი ერთიმეორისაგან დაცილებულნი არიან 6 კმ-ით.

„მატიანე ქართლისაის“ ზემოთ მოტანილ ცნობაში კიდევ ერთ ადგილს მივაქცევთ ყურადღებას: პუნქტის სახელი აქ მრავლობითშია მოცემული (გავაზნი). გავაზი ფრინველის აღმნიშვნელი სახელია და ალბათ მასვე უნდა დაუკავშიროთ პუნქტის სახელწოდებაც. საბა ორბელიანის განმარტებით, გავაზი არის ფრინველი და იგი ისევე, როგორც შავარდენი, ქორი, მიმინო, არიან ბაზნი[11]. რაც შეეხება სახელის მრავლობითში გადმოცემას, ეს დამახასიათებელი ჩანს კახეთის ტოპონიმიკისათვის (გავაზნი, ყვარელნი...).

აღნიშნული მონაცემები, ასევე არქეოლოგიური მასალები, უდავოდ ადასტურებენ არეშისა და გავაზის აღნიშნულ ლოკალიზაციას. ჩვენს მიერ მოტანილი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ გავაზიცა და არეშიც IX—X საუკუნეებში მნიშვნელოვანი დასახლებებია, არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ აქ სხვა მონაცემების მიხედვით, უფრო ადრეც ჩანს ძლიერი მოსახლეობის ბუდე. ჩვენ აქ უპირველესად წერილობითი მონაცემების განხილვით ვკმაყოფილდებით.

ამის შემდეგ გავაზის შესახებ ცნობას ვხედებით XIV საუკუნის დასასრულის საბუთში, კერძოდ, 1392 წ. დათარიღებულ ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების საათარხნოს გუჯარში, სადაც აღნიშნულია „... გავაზს რაც მცხეთის მამულნი არიან, ზუარი და შვიდი კომლი კაცი“[12]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ საბუთებში მოხსენიებულია ერთი სხვა გავაზიც, რომელიც ქართლში მდებარეობდა[13]. კახეთის გავაზის გამოყოფა ადვილად ხერხდება კონტექსტის მიხედვით. ზემოაღნიშნულ გუჯარში, იქ, სადაც ლაპარაკია გავაზის შვიდი კომლისა და ზვრის შეწირვაზე, აღნიშნულია ასევე ვარცანის მონასტერიც შილდისა, ე. ი. ცხადია, აქ ლაპარაკია ახლომდებარე სოფლებზე. გავაზის იგივე შვიდი კომლი და ერთი ზვარია აღნიშნული 1579 წ. ალექსანდრე II-ის მამულების მფლობელობის განახლების წიგნშიაც[14].

მოგვიანო საბუთებში შემორჩენილი ცნობები, სადაც გავაზია მოხსენიებული, მხოლოდ უმნიშვნელო მონაცემებს შეიცავს: ალექსანდრე კახთა მეფემ 1593 წ. ყველაზე შეძლებულ ას გავაზელ გლეხს სამოურავო ულუფად დააკისრა თვითეულს უქვს-უქვსი შაური და სამ-სამი ჭავაზური დიდი ჭაპილნის თუნგი ტკბილი[15]. 1613 წ. მცხეთის გუჯარის მიხედვით (№ 163) ვგებულობთ, რომ გავაზის ერთი კომლი, მამულითურთ უბოძებიათ წელიწადში ათი საპალნე ღვინის სანუქფოდ[16]; 1648 წ. თეიმურაზს როსტომის ხალხისათვის საფიცარით მიუცია გავაზი და კისისხევი, მაგრამ პირობა არ შეუსრულებია[17]; 1678 წ.

---

[11] ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, იხ. გავაზი, ბაზი.

[12] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, III, გვ. 180.

[13] ქართლ მიეე მდებარეობდა სოფელი გავაზურიც—საყაძისეული სოფელი, რომელიც როსტომ მეფეს უბოძებია იორამ საყაძისათვის, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, 1964, გვ. 49.

[14] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 199.

[15] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1964, გვ. 49.

[16] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. 440.

[17] ი ქ ვ ე, გვ. 463.

ერეკლე I ალავერდისათვის შეუწირავს გავაზში ერთი ყმა; 1722 წ. საბუთით სარუსთაველოს დროშის განწესებისას გავაზი და ყვარელი საწინამძღვროდ ყოფილა გამოცხადებული[18].

XVII ს. ოციანი წლებიდან შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად კახეთის ქალაქები და ბევრი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი აოხრდა. ამან გამოიწვია, რომ გავაზი თანდათან ათხელდა და XVII ს. შუა ხანებში იგი სუსტ დასახლებასღა წარმოადგენდა. 1643 წ. თავად მიშეცკის ელჩობის დროს გავაზში 10 კომლი ყოფილა, ისიც ტყეში გაფანტული[19]. ლეკების თარეშმა XVII—XVIII საუკუნეებში დიდი ზიანი მიაყენა კახეთს, განსაკუთრებით კი დაღესტნიდან კახეთში მომაყალ გზებზე მდებარე ადგილებს. გავაზი არაერთხელ გამხდარა ლეკების თარეშის ასპარეზი. სეხნია ჩხეიძის ერთი ცნობის თანახმად, 1732 წ. „წავიდა ფაშა ყარაღაჯში, შემოეყარა სურხავი: ესე იყო ლეკი და ხმლით დაიჭირა შირვანი, გავიდნენ გაღმა მხარესა, აოხრეს გავაზი და შილდა"[20], შესაძლებელია ეს იყოს ერთ-ერთი ბოლო აოხრება, რის შემდეგაც სოფელი აყრილა და ალაზნის პირას გადასახლებულა. ასე აღმოცენდა სოფელი გავაზი, ძველი გავაზის ნასოფლარი კი კარგა ხანს თითქმის გაუკაცრიელდა.

XIX საუკუნის შუახანებში, იმის შემდეგ, რაც მთიელთა თავდასხმის საშიშროება მოისპო, ხდება ნაპარტახალი ადგილების ხელახალი დასახლება. ძველი გავაზის ეკლესიის სამხრეთის ფასადზე მოთავსებული წარწერით: „მეფობასა იმპერატორს ნიკოლოზ პირველსა აღაშენა და დაასახლა ძუელადვე განთქმული სოფელი ძველი გავაზი და განანახლა წმიდა ტაძარი განკარგულებითა კავკასიის ნამესტნიკის უგანათლებულესის კნიაზის მიხეილ სიმონისძის ვორონცოვისათა, ადიუტანთმან მის მან ღვარდიის როტმისტრმან კავალერმან კნიაზმან იოვანნე გიორგისძემან ამილახვარმან" (1850 წ.).

აღორძინებული ძველი გავაზის პირველი მოსახლენი იყვნენ ჯარის გადამდგარი ოფიცრები, რომელთა თაოსნობითაც გარკვეული შეღავათებით გადმოსახლდნენ აქ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან მეახალშენები. როგორც ჩანს, დაბრუნებულა ყოფილ გავაზელთა ერთი ნაწილიც.

ძველი გავაზის (ახალსოფლის) ხელახალი დასახლების შესახებ საინტერესო მასალას გვაძლევს ამ ბოლო დროს მიკვლეული ერთი ორენოვანი, რუსულ-ქართული საბუთი „თელავის უეზდის უფროსის ბრძანება", რომელსაც აქვე ვათავსებთ უცვლელად[21]: „თელავის უეზდის ნაჩალნიკისაგან ბრძანება, ჭაკაანის ნაცვალს № 37 ია თებერვლის ჩყნბ ბეჟანიანის სიმაგრიდან (1852 წ.). ჩემთვის სასიხარულო იყო, რომ უყურებდი, რომ ხალხი გავაზისა, ჭიკაანისა და კუჭატნისა გულს მოდგინებით ირჩევდნენ ცხრასა რიცხვსა ამა თვისას

---

[18] თ. ჟორდანია, ქრონიკები. II, 1897, გვ. 492.

[19] „Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., Тб., 1928, с р. 197.

[20] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1912, გვ. 44.

[21] საბუთს, რომელიც დაცული იყო ძველი გავაზის მკვიდრის გ. გაგნიძის ოჯახში, მიაკვლია ყვარლის ი. ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორმა ი. ბერიშვილმა. იხ. ი. ბერიშვილი, სოფლის განშაახლებელი ალექსანდრე ფხაკაძე, გაზ. „ყვარელი", 1969, 16. IX. საბუთი ქართულად ინახება ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

სჯახლე ალაგებს ახალს სოფელში, რომელიც შენდება უმაღლესის მთავრობის ბრძანებით. შემდეგ ამ სასახლეების რჩევისა მე გიბრძანე შენ ნაცვალს და ხალხსაც, რომ დაგეწყოთ უთოვოდ გადმოტანა შენობებისა იმ სასახლეებზედ და დამკვიდრება ამისთანა მშვენიერს და მდიდარ ალაგზედ. ხვალ მოვა შენს სოფელში თელავის უჩასტკის სოფლების ურიათუბან, შაშიან, კალაურ და სხვა სოფლებიდამ ას ურმამდინ თქვენს შესაწევნელად, ესე იგი გადმოსატანად შენობებისა თქვენისა, რომელიც ურმები უნდა დადგნენ თქვენს სოფლებში. ამისათვის გიბრძანებ შენ მოამზადო ხალხი, რომ უთოვოდ გადმოიტანონ ამ ურმებით თავიანთი შენობები და დაიწყონ მოშენება ახალს სოფელში-ძველს გავაზს. ამასთანავე, დასაჯერებლად ხალხისა, რომ იმათი ფიქრით, ვითომაც ძველს გავაზს რომ გადავიდეთ მამულები წაგვერთმევაო, ამაო და ტყუილი არის, გიბრძანებ სახელობით მისის ბრწყინვალების კნიაზ ნამესტნიკის კავკასიისა და უფლის ვოენის გუბერნატორისა, გამოუცხადო მთლიან შენთ ხალხთა რომ იმათ არა რომელიმე მიწა მამული და ტყე, რომელიც ეხლა უპირავთ, არ ჩამოერთმევათ და ისევ დარჩებათ გარდა ვენახებისა ძველ გავაზში და ისიც იმ ჯანღიბაშთა და შეუგნებელთა კაცთა რომელიც გაჯიქდებიან გადასახლებაზედ. გარდა ამისა, თქვენს მამულებს არავის არც თავადს და არც აზნაურს ვინც უნდა იყოს მთავრობა არ დაანებებს და თქვენთვის დარჩება, როგორც გჭერიათ".

ასეთნაირად, ძველი-გავაზის ნაპარტახალი ადგილები კვლავ მოეშენა და სულ მალევე აქ ხალხმრავალი დასახლება გაჩნდა.

გავაზი ძირითადად შუა საუკუნეების ძეგლია. ადრეული ქრისტიანობის ხანიდანვე აქ ძლიერი დასახლება ჩანს, რამაც განაპირობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ერთეულის და ორიგინალური გეგმარების ტაძრის შექმნა — VI საუკუნეში. მიუხედავად ამისა, გავაზის მიდამოების დასახლება შემთხვევითი მონაპოვრების მიხედვით, რომლებიც გავაზის მახლობლადაა აღმოჩენილი, შესაძლებელია გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ვივარაუდოთ. მათ შესახებ შეიძლება ლაპარაკი როგორც ჯერჯერობით ყველაზე ძველი ნივთებისა გავაზის მიდამოებიდან. უფრო მეტის თქმა შეიძლება ანტიკური ხანის შესახებ. როგორც ირკვევა, ანტიკური ხანის სამოსახლოები, ისევე როგორც შუა საუკუნეებისა, დღევანდელი სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე იყო განლაგებული, რამაც განაპირობა ძველ ნამოსახლართა განადგურება. ანტიკური ხანის სამაროვანი ყოფილა განლაგებული დღევანდელი სოფლის მოქმედ სასაფლაოზე, რომელიც გასაგები მიზეზების გამო მიუწვდომელია არქეოლოგიური შესწავლისათვის.

ძველი ნასოფლარის დიდი ნაწილი თანამედროვე სოფელს უპირავს, ამიტომ მისი არქეოლოგიურად შესწავლა ვერ მოხერხდა. შემთხვევითი აღმოჩენებით, ძირითადად, ნამოსახლართა IX—XIV სს. ფენებია წარმოდგენილი.

არქეოლოგიურ ექსპედიციას საშუალება ჰქონდა საველე სამუშაოები ჩაეტარებინა ძველი დასახლების სხვადასხვა უბანზე, რომლებიც სხვადასხვა დროს სოფლის შემადგენელ ნაწილებს შეადგენდნენ. ექსპედიციის მიერ რამ-

დენიმე ობიექტია შესწავლილი, რომელთა განხილვასაც ვაპირებთ თანმიმდევრობით. ეს უბნებია: კოპალე-აგრარული რაიონი, ნაბაზრალი, ძველი გავაზის ტაძრის ეზო, დარბაზოვანი და სამება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გავაზის ნაქალაქარზე საველე მუშაობა დაიწყო 1969 წელს. მეტნაკლები ინტენსივობით, სულ 1969—1972 წწ. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ხუთთვენახევრის განმავლობაში, სეზონურად[22]. ექსპედიციის შემადგენლობა თითქმის სტაბილური იყო: ხელმძღვანელი ლ. ჭილაშვილი, მოადგილე ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. ქანთარია, რაზმის უფროსი ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. ცისკარიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები: ისტ. მეცნ. კანდიდატები გ. კიკნაძე და თ. კერესელიძე, სამი სეზონის განმავლობაში ექსპედიციაში თანამშრომლობდა დ. აბჟანდაძე. არქეოლოგიურ ძეგლთა ფიქსაციაზე მუშაობდნენ ტექნიკის მეცნ. დოქტორი ი. ღუდუშაური, არქიტექტორები თ. და კ. თოდუები. სხვადასხვა დროს ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ლაბორანტი მ. ლაბაძე (1969 წ.), თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ს. ბურდილაძე (1969 წ.), დ. ნიორაძე (1970 წ.), ა. ორჯონიკიძე (1970—1971 წწ.), გ. რჩეულიშვილი და ნ. ზაზაძე (1972 წ.), მძღოლები თ. ბაჩუკაშვილი (1971 წ.) და ს. ხუგაევი (1972 წ.). ფოტოგადაღებებს ველზე აწარმოებდა ექსპედიციის ხელმძღვანელი[23].

---

[22] ექსპედიციის მუშაობის შესახებ პერიოდულად ქვეყნდებოდა ანგარიშები: ლ. ჭილაშვილი, ახალსოფლის (გავაზის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის შედეგები, საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, გვ. 89—95; მისივე, ახალსოფლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის შედეგები, არქ. კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ. თბ., 1971, გვ. 121—123; მისივე, ახალსოფლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წწ. ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, 1974 წ. Л. А. Чилашвили, Ахалсопельская археологическая экспедиция. Археологические открытия 1969 г., М., 1970; его же, Итоги работ Гавазской (Ахалсопельской) экспедиции, АО, 1970 г. М., 1971.

[23] ექსპედიციის წარმოებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სოფ. ახალსოფლის მკვიდრთა გულისხმიერი დამოკიდებულება ექსპედიციისადმი და დახმარება, რისთვისაც ექსპედიცია მადლობას მოახსენებს პოეტ ი. ბერაშვილს, ძვ. გავაზის ეკლესიის მცველს ზ. აჭაიძეს, სკოლის დირექტორს ც. ცუცქილაშვილს, კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ი. ლომიძეს, ე. ლომიძეს, ჯ. კაპანაძეს. მადლობას ეუძღვნით ასევე ზ. კიკილაშვილს და ქ. გურჯაანის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ო. ოქროშიძეს, რომელთა დახმარებით შეიძელით ძეგლის დაზვერვა 1967 წ.

კოპალე

კოპალე ვრცელი ნაქალაქარის ერთ-ერთი ძირითადი უბანია. მისი დაზვერვითი გათხრა პირველივე სეზონის დროს დაიწყო, 1969 წელს. იგი მდებარეობს სოფლის განაპირას, კავკასიონის კალთებზე, მდინარეების — ავანის წყლისა და იულდას — ორმდინარეთში; მდინარეთა შორის მანძილი არ არის დიდი, 800—1000 მეტრია საშუალოდ. სიგრძე შემორჩენილი დაუსახლებელი ადგილისა დაახლ. 1 კმ-ია. თანამედროვე სოფელი ახალსოფელი ნაწილობრივ ფარავს შუასაუკუნეების დასახლებას: მიწის სამუშაოების დროს სოფელში, არცთუ იშვიათად, ჩნდება ხოლმე შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკა.

კოპალე მოსახლეობაში, როგორც წმინდა ადგილი, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს და ის სინონიმად არის ქცეული წმ. გიორგის სახელზე არსებული სამლოცველოსი. თუ მისალოცის მნიშვნელობას მლოცველების რიცხვის მიხედვით შევაფასებთ, მაშინ კოპალეს წმ. გიორგის ხატი დღეს შემორჩენილ სალოცავთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იქნება. შესაძლებელია მისალოცისადმი კრძალვის გამო, ადგილი დაუსახლებელია და მას არც იყენებენ დასამუშავებლად. ტენდენციები კი მისი ათვისებისათვის არსებობს და ყოველწლიურად მისი თავისუფალი ფართობი მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც კლებულობს.

ტოპონიმი კოპალე, ალბათ, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ არსებულ მისალოცთან უნდა იყოს დაკავშირებული. კოპალე, იგივე წმ. გიორგი–მთვარის ღვთაება, ერთმანეთთანაა დაკავშირებული[1]. კოპალე როგორც ღვთაება და გმირი, განსაკუთრებით მთის მოსახლეობაშია პოპულარული. გავაზის კოპალეს, ასევე გრემის მიდამოებში ჩვენს მიერ დამოწმებული ადგილ კოპალეს მიხედვით ცხადი ხდება აღნიშნული ღვთაების სახელის გავრცელება მთისწინა ზოლშიაც.

კოპალე დღეს დაუსახლებელია და არც სამიწათმოქმედოდ არის გამოყენებული, რისთვისაც მისი პირვანდელი სახე თითქმის შემონახულია. ირკვევა, რომ აქ იყო განლაგებული აგრარული ნაწილი იმ დიდი დასახლებისა, რომელიც აქ აღმოცენდა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. კოპალეს სამიწათმოქმედო ზონა, შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, შეიძლება ითქვას უნიკალურია; შუაში ჩამოუდის ავანის წყლიდან და იულდადან გამოლებული საკმაოდ მოზ–

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 97.

რდილი რუ, რომელიც რწყავდა არხის ორივე მხარეს[2]. ავანის ხევი უფრო წყალუხვია, ვიდრე იულდა და იგი არასოდეს შრება, ამიტომ არხი ძირითადად აქედან მარაგდებოდა წყლით, თუმცა ტექნიკურად ავანის ხევიდან წყლის გამოღება უფრო რთული საქმე იყო, რამდენადაც მას გაცილებით დაბალი ნიშნული აქვს და საჭირო გახდებოდა რთულ პირობებში ტრასის გაყვანა საკმაოდ შორი მანძილიდან, ეს იმ დროს, როდესაც იულდადან საკმაოდ იოლად შეიძლებოდა წყლის გადმოგდება არხში.

არხის ტრასა დღეს კარგად დგინდება უშუალოდ კოპალეს ტერიტორიაზე, იგი მიემართება აღნიშნული მდინარეების პარალელურად და დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე იკარგება. გადმოცემით, ამ 30—40 წლის წინათ არხის კვალი კარგად ჩანდა სოფლის ბოლოშიც და ალაზნის ველისაკენ მიემართებოდა. ისე რომ, როგორც ირკვევა, აღნიშნული არხის დანიშნულება არ ყოფილა მაინცდამაინც მხოლოდ კოპალეს მორწყვა. ასეთი საჭიროებისათვის ალბათ პატარა რუც იქმაროდა. არხის დიდი გამტარიანობა გვავარაუდებინებს, რომ ის მნიშვნელოვან საირიგაციო სისტემას ქმნიდა, იღებდა რა წყალს ორი მდინარიდან, და რწყავდა ვრცელ ტერიტორიას ავანის წყალსა და შოროხევს შორის (იულდა უერთდება შოროხევს).

მეტად საინტერესოდ გამოიყურება არხი ჰიდროტექნიკური მონაცემების მიხედვით. პირველ ყოვლისა თვალშისაცემია ის გარემოება, რომ იულდას წყალი არხისათვის არამც და არამც არ იქნებოდა საკმარისი და მას მეორე ძირითადი წყარო ჰქონდა ავანის წყლიდან; ორი არხის შეერთების ადგილი შესანიშნავად ჩანს კოპალეს ზემო ნაწილში (სურ. 1, ტაბ. VII—1). თუ აღნიშნულ გეომორფოლოგიურ დეტალს სანდოდ მივიჩნევთ და შევთანხმდებით ავანის წყლიდან არხის მომარაგებაზე, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ არხის სათავე ნაწილი, არხსა და მდინარეს შორის სიმაღლეთა გათანაბრების მიზნით, სადღაც დარბაზოვნის მიდამოებში, კოპალედან დაახ. 1,2 კმ-ზე, მდინარე ქვაწერისა და ავანის წყლის შეერთებაზე იყო მოწყობილი. ამ საკითხს კელავაც დავუბრუნდებით, თუმცა აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის გამორიცხული, არხის სათავეში, თვით დარბაზოვნის კომპლექსის მოწყობა ძლიერ პოპულარულ წმ. გიორგის სალოცავით არხზე მისი იურიდიული უფლების გამომხატველი იყოს. კოპალეც ხომ წმ. გიორგისთან არის დაკავშირებული.

ზეობაში გამავალი არხის მონაკვეთი დღეს არ დასტურდება მდინარის ცვალებადი კალაპოტის გამო, ამიტომაც, ძირითადად ვეყრდნობით კოპალეზე შემორჩენილი ტრასის მონაცემებს. არხი საკმაოდ დიდი გამტარუნარიანობით ხასიათდება. მისი ფუძე საშუალოდ მერყეობს 2,5—2,9 მ შორის, სიმაღლეა 1,4—1,7 მ, სიგანე კი 7—10 მ. ასეთ საკმაოდ დიდ ზომებს ემატება დიდი დაქანებაც, რაც შესაბამისად ზრდის წყლის გატარების უნარსაც; დაახლ. ნახევარი კილომეტრის მანძილზე არხის სიმაღლე თითქმის 20 მეტრით ეცემა.

თუ არხის გამტარიანობას ვიანგარიშებთ ზემოთ აღნიშნული განზომილებების საშუალო მონაცემებით, მაშინ არხის სიმძლავრე დაახლ. 35 კუბური მეტრია წამში, რისი საჭიროებაც არ არსებობდა[3]. საქმე ის არის, რომ სავარაუდო

---

[2] ი. ჯაჯანიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 130.

[3] სათანადო გამოანგარიშება მოახდინა და აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაცია გაგვიწია „წყალმშენის“ ტრესტის მთავარმა ინჟინერმა გ. ს. მამაცაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.



სურ. 1. კ ო პ ა ლ ე.

სამიწათმოქმედო ზონა, რომელსაც არხი ემსახურებოდა და რომელიც ავანის-წყლისა და შოროხევის ორმდინარეთში იყო მოქცეული, 1200 ჰექტრამდეა[4], რომლის მოსარწყავადაც თანამედროვე ნორმების მიხედვით, საკმარისია არხი წამში ერთი კუბური მეტრი წყლის გამტარიანობით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ვერც ზემოხსენებული მდინარეები გამოჰკვებავდნენ არხს.

[4] ვსარგებლობთ ყვარლის რაიონის მიწათმოწყობის გ. ტივიშვილის გამოკვლევებით.

არხის მშენებლებს ცხადია კარგად ესმოდათ ის ტექნიკური „უხერხულობა", რასაც ადგილის დიდი დაქანება ჰქმნიდა და გამოსავალი ნახეს არხის ნაპირების ქვით გამაგრების აუცილებლობაში. არხის გვერდები რიყის მსხვილი ქვებით ნაგები, ზოგჯერ შემორჩენილი სამი-ოთხი ფენითაც, ბევრგან არის დადასტურებული.

ასეთი სიგანის არხზე გადასასვლელად სათანადო ბოგირებიც იქნებოდა მოწყობილი; ჩვენს მიერ არხის ზედა წელში დადასტურებულია სავარაუდო ბოგირის ქვით ნაგები საყრდენიც.

გავაზის „ქვეყანა" გარკვეულ გეოგრაფიულ და ალბათ შესაბამისად გარკვეულ ადმინისტრაციულ ჩარჩოში ჩანს მოქცეული, რომლის საზღვრებიც ძირითადად მდ. ავანითა და მდ. შოროხევით განისაზღვრებოდა. აღნიშნული მდინარეებით კავკასიონიდან ვიდრე მათი შეერთების ადგილამდე, რაც რამდენიმე კილომეტრით არის ალაზნიდან დაცილებული, შემოფარგლული უნდა ყოფილიყო, ჩვენი ვარაუდით, გავაზის „ქვეყანა". ჩვენი მოსაზრება რა თქმა უნდა ჰიპოტეტურია, თუმცა აშკარად გვეჩვენება, რომ ასეთი ერთეულის გამოყოფა სათანადო არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ეკონომიური ზონით აშკარაა. მთლიანად ეს ტერიტორია, საფიქრებელია, ერთი ერთეული, არ არის გამორიცხული, მთლიანი სამეურნეო ზონაა, რომელსაც ერთი საირიგაციო სისტემა ემსახურებოდა. ჩვენ სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია კოპალეს არხი ყოფილიყო გამიზნული მთლიანად გავაზის „ქვეყნის" სამეურნეო საჭიროებისათვის. აღნიშნული სამეურნეო ერთეული, როგორც ზევით ითქვა, მოიცავდა დაახლოებით 1200 ჰექტარს, რომელიც ალბათ ცალკეული მასივებისაგან შედგებოდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი დაზვერვის მონაცემებით, ასეთივე სამეურნეო ზონები, საირიგაციო სისტემით, შეიმჩნევა მეზობელი ხევების მიხედვითაც.

კოპალეს ტერიტორია ზემოხსენებული ვრცელი სამეურნეო უჯრედის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ჩანს, სადაც სათავეს იღებდა სარწყავი სისტემაც.

ზემოაღნიშნული არხი მხოლოდ ერთი კომპონენტია „კოპალეს" სამეურნეო ზონისა. მთლიანად აგრარული რაიონი დაყოფილია დიდ-პატარა ეზოებად, რომლებიც შემოფარგლულია მსხვილი ქვებით ნაგები ღობე-ყორეებით. შემოზღუდული მამულების გეგმარება დაახლოებით სწორკუთხოვანია, ერთმანეთისაგან გამიჯნული არაან ზემოხსენებული ღობე-ყორეებით, რომლებიც ერთი-ლია ცენტრალური „ქუჩებიც", რომელთა სიგანეც სამ მეტრამდე აღწევს (ტაბ. მეორეს უკავშირდებიან სპეციალური „ქუჩებით" (ტაბ. VI-2). დადასტურებუ-VII-2).

ქვით ნაშენი ღობეების მიხედვით კარგად ჩანს, რომ საქმე უნდა გვქონდეს არა ერთიან მამულთან, არამედ ცალკეულ ეზოებთან, თუ სავენახე ან სახნავ-სათეს ფართობებთან, ამის გამოა, რომ აქ არქეოლოგიური ფენები არ არის დადასტურებული და აღმოჩენილი მასალა შემთხვევით ხასიათს ატარებს, რადგანაც კოპალეზე საცხოვრებელი კომპლექსები არ არის დადასტურებული. საფიქრებელია, რომ მოსახლეობა განლაგებული იყო სადმე მის მახლობლად, კოპალეზე კი მათი ვენახები და სახნავ-სათესი მიწები მდებარეობდა. სხვათა-შორის, ასეთი სურათი დღევანდელი კახეთის უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია, სადაც სავენახე და სახნავი ადგილები კარმიდამოსგან მოცილე-

ბითაა განლაგებული. აღნიშნული სამეურნეო ნაკეთების დაზვერვებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანში ყორის მასალითგანვე რაღაც მომცრო ნაგებობის ნაშთები იყო დადასტურებული მიწაყრილით დაფარული. ექსპედიციამ გათხარა 5 ასეთი ბორცვი და აშკარა გახდა, რომ საქმე გვქონდა ერთნაირი ტექნიკით ნაგებ მარტივ ოთკუთხა სათავსოებთან. ხუთივე დაახლოებით კვადრატულია გეგმაში, კედლები ნაგები ყოფილა ფლეთილი ქვით, ტალახის ხსნარზე. კედლები მიწის ზედაპირიდან ამოცილებულია დაახლოებით 1 მ-ით. კედლების სისქე მერყეობს 0,6—0,8 მ შორის. არცერთ მათგანში არ არის დადასტურებული არც კარი და არც სარკმელი. სავარაუდოა საქმე გვქონდეს საძირკვლის ნაწილთან და ცოკოლთან, ზედა ნაწილი ალბათ ალიზის ან ხისა იქნებოდა (სურ. 1);

აღნიშნული სათავსოები თავისი მარტივი აღნაგობით არ შეიძლება საცხოვრებელ კომპლექსებად ჩავთვალოთ და უფრო მართებული იქნება, თუ მათ დროებით სადგომად მივიჩნევთ სამეურნეო სამუშაოებისა და მოსავლის აღების პერიოდში.

პირველი სათავსო სხვებთან შედარებით ნაწილობრივ იყო მიწით დაფარული. კედლები ნაგებია მსხვილი ფლეთილი ქვით, ტალახზე. კედლის ზომებია 4,2×4,6 მ. მიწის ზედაპირიდან კედლები ამოცილებული იყო 0,6 მ-ით. ოთხკუთხა ნაგებობებს შორის № 1 ყველაზე ჩრდილოეთით არის და ყველაზე ახლოს წმინდა გიორგის მისალოცავთან. სათავსოს წმენდისას რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტია დადასტურებული. ყურადღებას იქცევს ანგობირებული და ყავისფრად მოხატული მოჭიქული ჯამის ძირის ნატეხი (66—971:211)[5].

№ 2 სათავსო პირველისაგან დაცილებულია დაახლოებით 100 მეტრით ჩრდილოეთით, აქაც კედლები ნაგებია მსხვილი ქვებით ტალახის ხსნარზე. კედლების ზომებია 4×4,7 მ, კედლის სიგანეა 0,8 მ. კედელი მიწის ზედაპირიდან ერთ მეტრზე იყო ამოყვანილი (ტაბ. XI), მთლიანად ნაგებობა მიწით იყო დაფარული. ნაგებობის წმენდისას აშკარა გახდა, რომ საქმე უნდა გვქონდეს სხვა, ანალოგიური სათავსოებისაგან განსხვავებულ, ძეგლთან, რაზედაც მიუთითებდა უამრავი წიდისა და ნაცრის სქელი ფენის არსებობა (ტაბ. XII). ამასთანავე ნათელი გახდა, რომ იგი რაღაც უეცარი უბედურების შედეგად უნდა დანგრეულიყო; თიხის ჭურჭლის ნატეხებს აშკარად ემჩნეოდა მეორადი ცეცხლის კვალი — დეფორმაცია. ზოგი მათგანი დამდნარი იყო.

სათავსოს გათხრებისას ორი სახის მასალაა დადასტურებული: კერამიკული და ლითონის.

კერამიკულ მონაპოვარში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ თიხის ნაწარმი თავისი გარეგნულობის მიხედვით მაინცდამაინც ვერ იძლევა ერთიან სურათს, რამდენადაც ვხვდებით ქრონოლოგიის თვალსაზრისით ერთი-მეორის გამომრიცხავ ფორმებს.

აქ არის დადასტურებული ორი მოჭიქული ნატეხი, ერთი მათგანი ჯამის გვერდის ნაწილია ამოკაწრული მარყუჟებითა და სოსანისფერი მრგვალი ლაქებით (66—971:120), მეორე ჯამის ძირია, დეფორმირებული, მეორედ ცეცხლში მოხვედრის გამო (66—971:119), ზედ მცენარეული მოტივია გამოსახული.

---

[5] აქაც და შემდეგშიც, ფრჩხილებში მოცემული ციფრებით აღნიშნულია საქართველოს სახ. მეზეუმის შეა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გავაზის ფონდის საინვენტარო ნომერი.

ორივე ნიმუში დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, რომლითაც მათი ხნოვანების განსაზღვრა XII—XIII სს. ძნელი არ უნდა იყოს (ტაბ. XXXII—1).

თიხის ნაწარმის მესამე დამახასიათებელი ნიმუშიდან აღსანიშნავია წითლად გამომწვარი ჯამი (66—971:88, ტაბ. LXIV-2). იგი ცეცხლში მეორედ მოხვედრის გამო მკირედ დეფორმირებულია. ბრტყელძირიანი ჯამის პირი ერთ ადგილზე თითქმის წრიდან არის ქცეული მაღალი ტემპერატურის გამო. ჯამი თავისი ფორმით იმ ნაწარმის სინქრონულად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც მოჭიქული კერამიკის მინაბაძებს ვეძახით.

აღსანიშნავია სამარილის ფორმის სქელკედლიანი თიხის ნაწარმი, რომელიც შესაძლებელია იხმარებოდა როგორც ჩამოსასხმელი ფორმა (66—971—118, ტაბ. XXII—6).

არის თიხის ჭურჭლების სხვა ფრაგმენტები, მაგრამ მათი ვერც თარიღის და ვერც წარმომავლობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სათავსოში ლითონის ნივთების აღმოჩენა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მათგანს ხმარების კვალი არ ეტყობა, რამაც სხვა მონაცემებთან ერთად, გვავარაუდებინა, რომ აქ სამჭედლო იყო მოწყობილი. წარმოდგენილ მასალაში ყველაზე ჭარბად მსხვილი ლურსმნებია დადასტურებული. ცალკეულ მათგანზე, მათს ფორმათა სხვაობაზე ლაპარაკი აქ ალბათ არ არის საჭირო, რამდენადაც ზოგი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს, ზოგიც ნაკლულია, თანაც ყველა მათგანი თითქმის ერთი ფორმისაა: განაკვეთში ოთხკუთხა, ქვევით და ქვევით წვრილდება. ლურსმნის თავი გამოჰყავდათ დაბრტყელებით და ცალმხრივ მოღუნვით. ზოგი ნამზადი წარმოადგენს ოთხკუთხა ღეროს, რომელსაც აკლია დაბრტყელება და მოხრა. ლურსმნების სიგრძე მერყეობს 10—14 სმ შორის; მხედველობაში არ ვიღებთ ნაკლულებს, სულ 29 ლურსმანია აღმოჩენილი (ტაბ. XIII).

სამწუხაროდ, პარალელების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რამდენადაც მსგავსი მასალა მეცნიერული კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. ერთადერთი შეიძლება რუსთავის სამაროვნის ერთ სამარხში აღმოჩენილი ლურსმნები მოვიშველიოთ, რომელთა მახედვითაც ვცადეთ სამარხი მშვედლისა თუ ნალბანდისათვის დაგვეკავშირებინა[6]. რამდენადაც ვიცი, ასეთი ხასიათის ძეგლი, რომელიც უშუალოდ წარმოებასთან იქნებოდა დაკავშირებული, არ არის გათხრილი.

ლითონის ნივთებიდან ყურადღებას იმსახურებს რკინის წალდი (66—971:93). ისიც არ ტოვებს დამთავრებულის შთაბეჭდილებას, არ ეტყობა ნალესობა, ოდნავ მოღუნულია (სიგრძე 22,4 სმ). თუ დღევანდელ წალდებს შევადარებთ, ის აშკარად პატარა ზომისაა. ჩვენი აზრით, ის ე. წ. სავაზეა, ვაზის სასხლავად გამოსაყენებელი წალდი. ასეთი წალდები ჩვენთვის სხვა არაა ცნობილი, ორი წალდია აღმოჩენილი რუსთავის ნაქალაქარის გათხრებისას, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან გავაზურისაგან[7]. გავაზის მეურნეობაში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ერთ-ერთი წამყვანი მევენახეობაა და ამდენად არც უნდა იყოს გასაკვირი მასთან დაკავშირებული ნივთების დამზადება, რომლის ერთი ნიმუშიც ზემოაღნიშნული წალდით არის წარმოდგენილი.

---

[6] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 147, ტაბ. XXIV.

[7] იქვე. ტაბ. XXXVIII.

ლითონის ნივთებში ვხვდებით მაკრატლის ერთ ნაწილსაც (66—971:96). თუ ზემოთ აღწერილი ლითონის საგნების მიხედვით, საქმე გვქონდა მარტივად გამოსაყენებელ ნივთებთან, რომელიც რთულ ოსტატობას მაინცდამაინც არ მოითხოვს, მაკრატლის სახით უფრო რთული დასამზადებელი ნივთი გვაქვს, რომელიც ხელოსნის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ასეთ მოსაზრებას ემოწმება უცნობი დანიშნულების მილისებრი ნივთიც, რომელიც სათავსოშია აღმოჩენილი (66—971:92). ნივთი ნაკლულია (დიამეტრი 2,2 სმ), ერთი ნაწილი დაფარულია დამრეცი ზოლებით. მილი გაკეთებულია ლითონის ბრტყელი ფურცლისაგან.

როგორც ჩანს, აქ საქმე არ უნდა გვქონდეს ისეთ სახელოსნოსთან, სადაც ერთი რომელიმე დანიშნულების საგნები მზადდებოდა; გარდა წვალდისა, ლურსმნებისა, მაკრატლისა და რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების ნივთისა, დადასტურებულია ასევე აბზინდა, რგოლი და ორი ისრისპირი (66—971:98). ეს უკანასკნელნი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთი ბრტყელია, სამფრთიანი, მეორე უფრო ვიწროა და ყუნწისაგან (გამოყოფილია რელიეფურად. დაახლოებით მსგავსი ისრისპირები რუსთავის ნაქალაქარზეა დადასტურებული[8].

მეორე სათავსოში დადასტურებული ნივთები, ადრეც იყო აღნიშნული, მყარ დასათარიღებელ დასაყრდენს ვერ იძლევიან, ამდენად ჩვენ გვიჭირს მტკიცე ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვაქციოთ არაერთგვაროვანი მასალა, რამდენადაც ყველა ეს დროებითი სათავსო ერთ ქრონოლოგიურ კომპლექსს შეადგენს და მეტნაკლები სისრულით მათი ხნოვანება X—XIV სს. განისაზღვრება. მეორე სათავსოც შეიძლება ამავე პერიოდის ძეგლად მივიჩნიოთ ძირითადად. სამწედლო აქ, სავარაუდოა, მოაწყეს მოგვიანებით, დროებითი სადგომის მოშლის თუ გაუქმების შემდეგ.

რომ უფრო სიცხადე იქნას შეტანილი მთლიანი კომპლექსის ქრონოლოგიურ ჭრილში, სხვა მასალების გამოყენებაც იქნება საჭირო. კერძოდ, ექსპედიციას შესაძლებლობა ჰქონდა შეესწავლა № 2 სათავსოს მცირე ეზოც, რომელიც მას გასჩენია სამწედლოდ გადაკეთების შემდეგ. ადრე კი, სხვა დროებითი სადგომების მსგავსად მასაც კონკრეტული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. სამწედლოს ეზო მოგრძო სწორკუთხედის ფორმისაა ჩრდილოეთის მორკალული კედლით (სურ. 2). კედლები ნაგებია დიდრონი რიყის ქვებით, ზუსტად ისევე, როგორიც სხვა კედელ-ყორეები. ეზოს სიგრძე 26 მეტრია, სიგანე 15 მ. ასეთი მცირე ეზო ალბათ მხოლოდ სამწედლოს საჭიროებისათვის იქნებოდა საკმარისი. სამწედლო სავარაუდოა არხის წყლით მარაგდებოდა, რომელიც გვერდითვე ჩამოდიოდა. ეზოს გვერდითვე, დასავლეთის მხარეს, სხვა ნაგებობის ნაშთიც იყო გათხრილი, სადაც არქეოლოგიური მასალა არ იყო შემორჩენილი, მხოლოდ საძირკვლის ერთი ფენა იყო დადასტურებული. სავარაუდოა, ისიც სამწედლოსთან იყო დაკავშირებული, არ არის გამორიცხული, როგორც საცხოვრებელი კომპლექსი.

ეზოში სამი ქვევრის ნაშთი იყო აღმოჩენილი. ერთი ეზოს ჩრდილოეთის კედლიდან დაცილებული იყო 4 მ-ით, მუცლის დიამეტრი 1,2 მ. ქვევრი ჩამტვრეული იყო. პირის დიამეტრი, რომელიც აღვადგინეთ, 0,45 მ-ია. ყელზე თოკის ორნამენტი შემოუყვებოდა; ქვევრი ჩაკირული იყო. ქვევრების კირხსნა-

[8] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ტაბ. XXXVIII.

რით გამაგრება დღესაც კარგად არის ცნობილი. მეორე ქვევრი შედარებით მეტად იყო დაზიანებული, მისი მუცლის დიამეტრი 0,7 მ-ია. ისიც ჩაკირული ყოფილა. ორივე ქვევრი ერთიმეორის გვერდით იყო, მესამე კი მათგან მოცილებით, სათავსოდან 5 მეტრის მანძილზე. მუცლის დიამეტრი 0,8 მ-ია. ჩამტვრეულია, არ ეტყობა ჩაკირვის კვალი.



2. კოპალე. დროებითი ნაგებობა № 2 და ეზო.

ქვევრები ღვინის შესანახად იქნებოდა გამოყენებული. ერთ მათგანში რამდენიმე წიპწის ფრაგმენტიც იყო შემორჩენილი.

თვითონ ნაგებობა ეზოს სამხრეთ ნაწილშია მოთავსებული. ეზოს ჩრდილოეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა სპილენძის თეფში, რომელსაც გარედან ქართული წარწერა შემოუყვება. თეფში ბრტყელი ფურცლისაგან არის მოღებული. დამუშავებულია ჩარხზე. ეტყობა ჩარხის ზოლები. თეფში ბრტყელია, გადაშლილი პირით (დიამეტრი — 15,2, სიმაღლე — 1,6 სმ), ფსკერზე ჩანს ცენტრის წერტილი. ეტყობა ხმარების კვალი, თეფში მოკალული ყოფილა.

წარწერა მოთავსებულია პირზე, გარედან: „ქ. ასატურაშვილი ნერსესასია“ (ტაბ. XIV). წარწერა მკვეთრი მხედრულით არის შესრულებული, ყურადღებას იქცევს რ და ა-ს, ასევე ვ და ი-ს გადაბმა. გ. კიკნაძის აზრით, რომელიც შუა საუკუნეების ლითონის ნაწარმს სწავლობს, თეფში ძლიერ ახლოს დგას (ფორმით. დამუშავების ტექნიკით) გიორგი სააკაძის თეფშთან, რომელიც არზრუმში არის აღმოჩენილი. ამ უკანასკნელზე, წარწერაში მოხსენებულია გიორგი სააკაძე და მამამისი შიოში. გ. კიკნაძე ნაწარმს XVII ს. პირველი ნახევრით ათარიღებს[9].

როგორც ზევით ვნახეთ, სამშვილდოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა დიდ დიაპაზონს მოიცავს. ზედა ზღვარი ბრტყელძირა ჯამის მიხედვით შესაძლოა XV საუკუნემდეც მივიდეს. ამან გვაფიქრებინა, რომ დროებითი სადგომი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ შესაძლოა გამოიყენეს სამშვილდოდ. რაც შეეხება სპილენძის წარწერიან თეფშს, მას სამშვილდოსთან ვერ დავაკავშირებთ და შესაძლოა იგი აქ შემთხვევით მოხვდა, ყოველი შემთხვევისათვის XVII საუკუნისა აქ თეფშის მეტი არაფერია დადასტურებული.

№ 2 სადგომის შესახებ შედარებით ვრცლად გვქონდა საუბარი, იმდენად რამდენადაც აქ ხელშესახები მასალები შედარებით ბევრია დადასტურებული, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სადგომების მიმართ.

№ 3 სადგომიც არხის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა, ერთ-ერთი ქვის ყორით შემოზღუდული ვრცელი ტერიტორიის ცენტრში; ნაგებობა არ გამოირჩევა სხვა ანალოგიური სათავსოებისაგან; კედლები რიყის მსხვილი ქვებით არის ნაშენი ტალახის ხსნარზე (ზომები 4,70×5,8 მ).

№ 4 სადგომი მესამის სამხრეთით მდებარეობს, ნაგებია პირველი სამი სათავსოს ანალოგიურად. ზომები (4,2×4,65 მ).

№ 5 სადგომი კოპალეს სამხრეთ ნაწილშია, არხის მარჯვენა მხარეს. ნაგებია სხვა დანარჩენი სათავსოების მსგავსად (ზომები: 4×4,65 მ).

მეხუთე სადგომის გათხრებისას სამი ნივთია დადასტურებული — მინის სამაჯურის ნაწილი (66—971:54) და მოჭიქული ჯამების ორი ნატეხი (66—971:53,63). სამაჯური გამჭვირვალე მოცისფრო მინისაგანაა დამზადებული. იგი განაკვეთში მრგვალია (დიამეტრი — 6 სმ), შემორჩენილია გადაბმის ადგილიც. მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები ჯამის ძირებს განეკუთვნება. ერთი, რომლის ფსკერზედაც წრეში ჩასმული რომბული ბადეა ჩახაზული და მოჭიქული, ბრტყელძირა ჯამს ეკუთვნის, მეორე ქუსლამოღარული ჯამის ძირის ნატეხია. ფსკერზე სამკუთხოვანი ორნამენტი ყოფილა გამოყვანილი. სამივე ნიმუში X—XIII სს. კარგად ცნობილ სახეებს განეკუთვნება. სხვა სადგომებისაგან განსხვავებით, მეხუთე სადგომში ქვევრიც ყოფილა ჩადგმული. დადასტურებულია ჩამტვრეული ქვევრის ნაწილები. აღდგენა ვერ მოხერხდა.

ჩვენ კიდევ გავიმეორებთ, რომ ზემოთ განხილული ხუთი, ერთი ტიპის სათავსოს სახით საქმე უნდა გვქონდეს დროებით სადგომებთან, რომლებიც გამოიყენებოდა სამეურნეო სამუშაოების წარმოების დროს, მოსავლის აღებისას და ასევე სადარაჯოდ; თითქოს ქვის ღობე-ყორეებით შემოიფარგლება კიდევაც ის ტერიტორია, რომელიც ცალკეულ სადგომს უკავშირდება. ივ. ჯავახიშვილმა მევენახეობის განვითარებასთან დაკავშირებული მასალების მოძიები-

[9] გ. კ ი კ ნ ა ძ ე, საკაძეების საოჯახო ნივთი (ხელნაწერი).

სას სპეციალურად შეისწავლა მევენახეობის საკითხები სხვა ქვეყნებში და გამოიყენა ის, როგორც პარალელური მასალა. ჩვენი ყურადღება მიიქცია პატივცემული მკვლევრის მიერ პალესტინური მასალების ერთმა ნაწილმა. კერძოდ, პალესტინაში სავენახე ადგილის მომზადებასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა. „ვაზის გასაშენებლად, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ებრაელები წინასწარ სავენახე ადგილს სწმენდნენ და ქვებისაგან ასუფთავებდნენ, შემდეგ ზღუდეს გარშემოავლებდნენ და შუაში სადარაჯო გოდოლს ააგებდნენ, ანდა კარავს დადგამდნენ ხოლმე. ვაზის დანერგვისთანავე სასწრახლესაც აკეთებდნენ"[10]. ამაზე უკეთესი პარალელი კოპალეს მამულებისათვის, მართალია არასინქრონული, ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია.

როდესაც გავაზის ერთ-ერთ აგრარულ რაიონზე კოპალეზეა ლაპარაკი, ექსპედიციის მიერ შესწავლილი ძეგლების მიხედვით, საერთოდ ვგულისხმობთ, რომ ის არის სამეურნეო ზონა, რომლის გამოყენებაც ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში. მას შემდეგ, რაც აქ და ასევე თანამედროვე სოფელშიაც გაითხარა ოთხი საწნახელი, შესაძლებელია, რომ მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ და წამყვან დარგად ვივარაუდოთ მევენახეობა და მეღვინეობა.

გავაზში გათხრილი საწნახელებიდან მხოლოდ ერთი იყო განსხვავებული, სამი დანარჩენი კი, მცირეოდენ სხვაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ერთი ტიპისანი არიან და თავისი ორი საწური განყოფილებით სრულიად თავისებურ სახეს ჰქმნიან.

საწნახელი № 1 გაითხარა კოპალეს ტერიტორიაზე საფუტკრე მეურნეობის ეზოში. საწნახელი გეგმაში სწორკუთხა ოთხკუთრედის ფორმისაა და მისი ზოგი ნაწილი მიწის ზემოთაც იყო ამოშვერილი. ნაგებია რიყის მსხვილი ქვით, კირის ხსნარზე, გამოყენებულია ფლეთილი ქვაც (ტაბ. VIII). სიგრძე გარედან — 4,95 მ, სიგანე—3 მ, შიდა არე სიგრძივ 4,8 მ-ია. იგი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. შემორჩენილია საფუძველი (საძირკველის ნაწილი), იატაკი, ტიხრის ნაწილი და დასავლეთის კედლის ფრაგმენტი. იატაკის სიგანე მეტნაკლებად 0,45 მ-ია, არც საწნახლის შიდა კედლები და არც ტიხარი შეეულად არ არის ამოყუანილი. ქვედა ერთი რიგი ქვების „წოლით" არის დალაგებული და შემდეგ კი ვერტიკალურად. ასეთნაირად საწური განყოფილებების კედლები ქვეითი შეკიწროებულია. რაღგანაც კედლის სიმაღლე არსად არ არის შემორჩენილი, თვით საწნახლის სიმაღლესაც ვერ ვსაზღვრავთ, საწნახელს დაქანება სამხრეთითა აქვს. დასავლეთის ნავის ბოლოში შემორჩენილია ღარის ნაწილი, უშუალოდ ქვაში ამოკვეთილი. საწნახელთან ქვევრები ან რაიმე საღვინე ჭურჭელი არ არის დადასტურებული. სავარაუდოა ორგანყოფილებიანობა მიუთითებდეს სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ყურძნის დაწურვაზე, რაც მეღვინეობის ბაღალი კულტურის მაჩვენებელია.

საწნახლის წმენდისას დადასტურებულია თიხის ჭურჭლის ხუთი ნატეხი, რომელთაც დამთარიღებელი მნიშვნელობა აქვს, მათგან ოთხი მოჭიქულია და ერთი მოუჭიქავი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოთეთრო გამომწვარი თხელკეციანი პატარა ზომის ჭურჭლის ძირის ნატეხს, ძირი ბრტყელია. თიხა კარგად არის გამომწვარი (66—971:50). მსგავსი ჭურჭელი ბევრია დადასტუ-

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 373.

რებული დმანისის, რუსთავის და თბილისის გათხრებისას XII—XIII სს. ფენებში[11].

მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიდან ერთია ცისფრად მოჭიქული ჯამის ნატეხი, ამოკაწრული ორნამენტით (66—971:52, ტაბ. XXXI—5), ერთი სამარილე და ორი დანარჩენი კი ჯამის ძირი. ჯამის ერთ ძირზე (66—971:49, ტაბ. XVIII—3), ანგობიან ზედაპირზე, რომბული ორნამენტი ყოფილა გამოსახული, რომბები მწვანე ფერისაა, ორნამენტი შემოსაზღვრულია ყავისფერი საღებავებით მიღებული ხაზებით. მეორეც ჯამის ძირია (66—971:47), ანგობიან ზედაპირზე ყავისფერი ზოლებით მცენარეული ორნამენტის კონტურია მიღებული. მცენარის ღერო არათანაბრად არის შესებული ღია მწვანე ფერის საღებავებით.

სამარილე ნაკლულია (66—971:48). იგი ბრტყელძირა ყოფილა, ვერტიკალური კედლებით. ჭიქური და ანგობი მეტწილად აცვენილია. შემორჩენილია მოცისფრო ჭიქური (ტაბ. XXXVII—4). მსგავსი სამარილე ძლიერ ბევრია დადასტურებული დმანისის, რუსთავის, თბილისის და სხვ. XI—XII სს. ფენებში[12]. ასეთი სამარილეები, როგორც წესი, ერთფერად იყო მოჭრილი.

საწნახელში აღმოჩენილი კერამიკული მასალა ტიპიურია XI—XIII საუკუნეებისათვის. ამდენად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე საწნახლის დათარიღება შესაძლებელია აღნიშნული პერიოდით.

მეორე საწნახელიც კოპალეზეა გათხრილი. იგი სხვებთან შედარებით დამოუკიდებელ ნაგებობას არ წარმოადგენს, მიშენებულია ძლიერ პატარა სამღოცველოზე. ასეთი მომცრო ეკლესია ჩვენთვის სხვა არაა ცნობილი. ნაშენია რიყის მსხვილი ქვით, შიგნით გალესილია, აღმოსავლეთი კედელი სწორია, რომელშიც ამოღებულია რკალურთაღიანი სარკმელი. სარკმლის ირგვლივ ფრესკების ნაშთებია შემორჩენილი. სამხრეთ კედელში მომცრო ნიშაა დატანებული, სეიფით. სამღოცველო თუ ეკლესია ძლიერ პატარა ზომისაა — 0,83×1,15 მ. სიმაღლე იატაკიდან სარკმლის თავამდე 1,85 მ-ია, ერთი კაცი თუ გაიმართება თავისუფლად. ჩრდილოეთის კედლის კუთხესთან მიშენებულია ორნავიანი საწნახელი — პირველი საწნახლის მსგავსად ნაგები. საწნახელს ეტყობა გადაკეთება. შესაძლებელია დასავლეთის ნავი შემდგომ იყოს მოწყობილი. თუ რა დამოკიდებულებაშია სამღოცველო საწნახელთან, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ერთი რამ ცხადად ჩანს, რომ ისინი ერთ კომპლექსს წარმოადგენდნენ.

საწნახლისა და ეკლესიის, უფრო სწორად, ეკლესიის იმიტაციის წმენდისას მცირე, მაგრამ საყურადღებო არქეოლოგიური მასალაა დადასტურებული, უპირატესად მოჭიქული კერამიკა, რა თქმა უნდა გვხვდება მოუჭიქავიც. ამ უკანასკნელიდან შეიძლება დავასახელოთ უხეშად გამომწვარი დიდი ზომის ჭურჭლის ძირი (66—971:33) და ასევე კოკის გრეხილი ყური (66—971:32).

მოჭიქული კერამიკიდან პირველ რიგში შეიძლება აღვნიშნოთ უხეშად დამუშავებული თიხის ჭურჭლის ნატეხი, მუქი ყავისფერი ჭიქურით დაფარული (66—971:38, ტაბ. XXI—1), რომელიც შედარებით უფრო ძველი ჭიქურიანი

[11] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, ტაბ. IX; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 108.

[12] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXII; ლ. ჭილაშვილი, ქ. რუსთავი, გვ. 128.

ნაწარმის ზედა ატარებს. არის ერთფერად მოჭიქული ნატეხი (66—971:43) და ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამის ფრაგმენტიც (66—971:39, ტაბ. XXI—1).

მოჭიქული ჭურჭლების ნატეხებიდან ცალკე გამოვყოფთ ანგობით დაფარულსა და მოხატულ ნაწარმს, რომელთა ერთი წყება ყავისფერი ზოლებით არის შემკული (66—971:40,41, ტაბ. XXI—3,4), მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია ამოკაწრული და მოხატული ორნამენტი (66—971:34, 28, 29, ტაბ. XXIX—3). აღნიშნული ნაწარმის ისევე, როგორც ცხოველის გამოსახულებიანი ნატეხის შესახებ, ქვეით იქნება მსჯელობა.

ცალკე გვექნება საუბარი მოჭიქული ჯამის ძირის ორი ნატეხის შესახებ, რომელიც სიახლეს შეიცავს მხატვრული შემკობის თვალსაზრისით (66—971:31 ტაბ. LVI). პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯამის ერთი ნატეხი აღმოჩნდა № 1 საწნახელში, მეორე კი მეორე საწნახელში, რაც ძნელი ასახსნელია. ჯამი კარგად დამუშავებული თიხისაა. ანგობირებულ ზედაპირზე ამოკაწრულია ორნამენტები: ჯამის ფსკერზე ოთხფურცლა ვარდულია (?) გამოსახული, რომელიც ჯამის მთლიან არესთან ერთად ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზით ოთხადაა გაყოფილი. თითოეულ მონაკვეთში ფუძისკენ შექცეული კუთხეებია ჩახაზული. კუთხეები მწვანედ არის შეღებილი, ფონი ღეთრია, ურთიერთგადამკვეთი ხაზები ყავისფერია. საინტერესო სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ჭიქურის შემდეგ ვარდულის ორი ფურცელი და გადამკვეთი ხაზები კვლავ მოუხატავთ მოკლე ხაზებით. მოხატვის ასეთი მეთოდი ჩვენთვის უცნობია.

თიხის ნაწარმი, როშელიც მეორე საწნახლის წმენდისას აღმოჩნდა, მეტად თავისებურია. ჩვენ აქ ვხვდებით ცნობილ ფორმებს, ნაცნობი ტექნოლოგიური ხერხებით, ასევე, ახალსაც უპირატესად ანგობიანი ნაწარმის სახით, რომელიც მოჭიქული კერამიკის იმიტაციას უფრო მოგვაგონებს. ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

თუ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის პარალელებით ვიხელმძღვანელებთ და ზოგიერთ სხვა თავისებურებასაც გავითვალისწინებთ, წარმოდგენილი მასალა ალბათ საკმაოდ ხანგრძლივ ქრონოლოგიურ ჭრილში მოთავსდება, რაც, ჩვენი აზრით, X—XIV სს. უნდა მოიცავდეს.

მესამე საწნახელი თანამედროვე სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზეა გათხრილი. იგი ზუსტად იმეორებს პირველი საწნახლის ფორმებსა და ზომებს: ნაგებია ქვით, კირის ხსნარზე. ორი განყოფილებისაგან შედგება (ტაბ. IX—2), სადინართან ქვევრი ან რაიმე სხვა ჭურჭელი არ არის დადასტურებული.

საწნახლის წმენდისას არქეოლოგიური მასალა არ არის დადასტურებული, თუ არ ჩავთვლით ორი მოჭიქული ჯამის უსახო ნატეხს. ერთზე მწვანე ჭიქურია შემორჩენილი (56—971:62), მეორეზე მწვანედ და ყავისფრად მოჭიქვის ნაშნები ჩანს თეთრ ფონზე (66—971:61). ნატეხები იმდენად ფრაგმენტულია, რომ ვერავითარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც აქ მოჭიქული ნაწარმის ნატეხები გვხვდება, საწნახელიც ალბათ წინ აღწერილი საწნახლების თანადროული უნდა იყოს. კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი. ადგილი, სადაც მესამე საწნახელია აღმოჩენილი, დღეს სასაფლაოდ არის გამოყენებული. მდებარეობს ავანის ხევის მარცხენა ნაპირზე, შემაღლებული ადგილი უკავია. როგორც მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენი-

ლი შემთხვევითი მონაპოვრებითა ჩანს, აქ ანტიკური სამაროვანი ყოფილა განლაგებული, რომლის გათხრაც ხშირი საფლავების გამო შეუძლებელია. საწნახლის მიხედვით ჩანს, რომ უკვე განვითარებულ ფეოდალურ ხანაში ანტიკური სამაროვნის ტერიტორია, ნაწილობრივ თუ მთლიანად, სამეურნეო საჭიროებისათვის გამოიყენეს, სამაროვნად კი აქციეს ძვ. გავაზის ტაძრის ეზო (ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი).

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. მესამე საწნახელი კოპალეს საწნახლებისაგან ორიოდე კილომეტრით არის დაცილებული. კოპალეს სამიწათმოქმედო ზონაში საწნახლების აღმოჩენა გაკვირვებას არ იწვევდა, რამდენადაც იქვეა სავარაუდო ვენახების არსებობა. მესამე საწნახლის დადასტურება კოპალესგან მოცილებით შეიძლება რამდენადმე განსაზღვრავდა თვით აგრარული ზონის ფარგლებსაც.

საყურადღებოა და ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი საწნახლის მახლობლად არ არის შენიშნული სათავსოს კვალი, რაც გვავარაუდებინებს ღია საწნახლების არსებობას. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ხის მარტივ ნაგებობებს, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ეკლესია-საწნახლის კომპლექსის გულდასმითი დაკვირვებისა და ანალიზის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ეკლესია, ამ შემთხვევაში მისი ბუკრე მოცულობის გამო, არ შეიძლებოდა სამლოცველო ყოფილიყო. თანაც ასეთი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობასთან კონტაქტში. ის, ჩვენი აზრით, უფრო ეკლესიის იმიტაციაა; მისი აღმოსავლეთი სარკმელი, მაგალითად, თავისი რკალური თაღით, უფრო საკურთხეველს მოგვაგონებს, აქ მინიატურულად გადმოცემულს. საფიქრებელია, აქ იმყოფებოდა წარმომადგენელი იმ დიდი საეკლესიო ორგანიზაციისა, რომლის მამულებიც იყო განლაგებული კოპალეზე. ეკლესიის მსახური ტაძრის ფილიალში (მეტოქში) თვალყურს ადევნებდა და პატრონობდა საეკლესიო მამულებს და მოსავლის აღებისას აღრიცხავდა მას.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოში მეღვინეობისა და მეღვინეობის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით, პირველხარისხოვანი ცნობები მოიძია საქართველოსათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის განვითარების სურათის წარმოსადგენად. პატივცემული მკვლევარი მიზნად ისახავდა ხსენებული დარგის შესწავლას ძველი კულტურული ერების სათანადო მონაცემების გათვალისწინებით. მან ყურადღება გაამახვილა ბენი ჰასანში ერთ-ერთი სამარხის მხატვრობაზე, რომელშიც ეგვიპტური რთველია ასახული. ვსარგებლობთ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული აღწერილობით: „ამ სურათზე ოთხი მერთველე ყურძენსა ჰკრეფს, თითეულ მათგანს ორი მომცრო კალათი უჭირავს ხელში ყურძნისათვის, ამის გვერდით ყურძნის დაწურვაა დახატული. ექვსი კაცი წვივებამდის ყურძნით აესვე საწნახელში დგას და ფეხებით ყურძენსა სჭყლეტს... ქვევითგან მას გამორწეხილი ყურძნის წვენისათვის ფართოპირიანი ჭურჭელი უდგას... ამის გვერდით ორი კაცია დახატული, რომელნიც ყურძნის წვენს სწყავენ და ჭურჭელში ასხამენ. იქვე ზის მწერალი თავის საწერელ-კალმითურთ, არწყული ტკბილის რაოდენობას თვალყურს ადევნებს დავთარში ჩასაწერად“[13]. ცხადია, ქრონოლოგიურად დიდად დაცილებული პა-

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1925, გვ. 371.

რალელის მოშველიება შეიძლება უხერხულიც კი იყოს. მაგრამ ზუსტად ასეთივე სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ გავაზის მონაცემებითაც: საწნახელში ყურძენს წურავენ, დაწურულს წყავენ და აბინავებენ სპეციალური პირის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც იმ დიდი მიწათმფლობელის წარმომადგენელია, რომელსაც აქ მოუწყვია თავისი მეტოქი. ბუნებრივია, რომ მეტოქი მოაწყეს საწნახლის გვერდით, რადგანაც, როგორც ზევითაც ითქვა, აღნიშნული ადგილები ვენახებით იქნებოდა დაფარული. მათი საჭიროებისათვისვე იყო შექმნილი სარწყავი სისტემაც. რომ კოპალე სრულიად თუ ნაწილობრივ საეკლესიო იყო, ჩანს იქიდანაც, რომ დღესაც კი ის სამლოცველოა, აქ არის მისალოცი ხატი და ცაცხვის ხე წმ. გიორგის სახელობისა. თვით სახელიც ხომ ძველ ღვთაებაზე მიუთითებს, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ზოგჯერ კოპალე და წმინდა გიორგი — მთვარის ღვთაება, თითქოს ერთი და იგივე არის"[14]. კითხვაზე, თუ რომელ ტაძარს შეიძლება დაუკავშირდეს კოპალეს საეკლესიო მამულები, ჯერჯერობით ვერ ვუპასუხებთ. აქ ორი ძლიერი ეკლესია იყო განლაგებული: ძვ. გავაზის ტაძარი-ადრექრისტიანული საეკლესიო წარმონაქმნი ყოვლადწმინდის ე. ი. ღვთისმშობლის სახელზე დაფუძნებული და წმ. გიორგის ეკლესია დარბაზოვანში, კოპალეს ჩრდილოეთით მდებარე კომპლექსი, რომლის მისალოცი ხატი და ცაცხვის ხე არის კოპალეზე. თუ შემორჩენილი ტოპონომიური მასალები, სარიტუალო ჩვეულები და გადმოცემები სანდოა, მაშინ უფრო წმ. გიორგის ეკლესიაზე უნდა შევჩერდეთ, როგორც სატაძრო მამულების მფლობელზე.

აღნიშნული მოსაზრების გასამაგრებლად კიდევ ერთ გარემოებაზე იქნება საჭირო ხელმეორედ ყურადღების გამახვილება. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ კოპალეს ტერიტორიაზე ექსპედიციამ გათხარა ოთხკუთხა მარტივი ნაგებობის ნაშთები, სულ ხუთი. ჩვენი ვარაუდით, ესენია დროებითი სადგომები, რომლებითაც სარგებლობდნენ სამეურნეო სამუშაოებისას, მოსავლის აღების დროს, ასევე სადარაჯოდ. აღნაშნული იყო, რომ თითოეული სადგომის ირგვლივ გარკვეული მოცულობის ტერიტორიაა შემოფარგლული ქვის ყორეებით. დროებითი სადგომები, შესაბამისი მამულით, სავარაუდოა კეთილმოწყობილი სატაძრო მიწისმფლობელობის ერთ-ერთი კომპონენტიც იყო. შთლიანად ასეთი სურათი შეიძლება აღვადგინოთ: ჩვენს წინაშეა საეკლესიო მამული, დაყოფილი ცალკეულ ნაკვეთებად, რომლებშიაც სამეურნეო დროებითი ნაგებობებიც იყო მოწყობილი. ადგილი განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იყო მოქცეული, რაზედაც საირიგაციო სისტემა მიუთითებს, და მტკიცე კონტროლის ქვეშაც იმყოფებოდა, რასაც ეკლესიის იმიტაცია, მფლობელის მეტოქი მიგვანიშნებს.

აღნიშნული იყო, რომ კოპალე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ზონას წარმოადგენდა, საკმაოდ მაღალი ტექნიკური საირიგაციო ნაგებობით. აქედან გამომდინარე, მჭიდრო დასახლების ნაშთები აქ არც იყო მოსალოდნელი. დროებითი სადგომები და მათთან დაკავშირებული ზოგი ნაგებობა (საწნახლები, მინიატურული ეკლესია, მარნის ნაშთი), რა თქმა უნდა, ვერ შეესცილის საერთო შთაბეჭდილებას, ამიტომ კულტურული ფენების განლაგება თუმცა გვიხაზავს საერთოდ საირიგაციო რაიონის გავრცელების

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 97.

ფარგლებს, ის სტრატიგრაფიულ სურათს მაინც ვერ აღადგენს. ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო ჩვენ საქმე გვაქვს არა კარგად სტრატიფიცირებული ძეგლიდან მომდინარე მასალასთან, არამედ დარღვეულ კულტურულ ფენებში ჩოხვეტრილ ნივთებთან.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთეულ გამონაკლისებს და იმ ლიოონის ნივთებს, რომელზედაც უკვე იყო ლაპარაკი, კოპალეს არქეოლოგია კერამიკით ამოიწურება, ისიც უპირატესად მოჭიქული ნაწარმით.

მართალია კოპალეს ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკა პატარა-პატარა ნატეხებით არის წარმოდგენილი, მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ნაწარმში არ არის ძნელი გაირჩეს X—XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მხატვრული შემკობის უმთავრესი ხერხები, მარტივი ანგობირებული და ერთფერად მოხატულიდან პოლიქრომულ ნაწარმამდე. აქვეა აღსანიშნავი, რომ უპირატესობა, რა თქმა უნდა რაოდენობის მხრივ, მრავალფერად მოჭიქულ ნაწარმს ენიჭება.

ერთფერად მოჭიქული ნაწარმი, შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ამოკაწვრის წესით არის შემკული, თანაც ისე, რომ ნაკაწრი საკმაოდ ღრმაა და შიგ ჭიქურის სქელი ფენაა დაგროვილი.

თუ პოლიქრომული (მრავალფერი) კერამიკის ფერადი გამის სახესხვაობაზე შევჩერდებით, ძნელი არ იქნება აქ ფერების შერჩევისა და შეხამების ერთი ძირითადი სტილი შეინიშნოს, სახელდობრ მხატვრული სახის მიღება სამი ფერით — თეთრით, მწვანით და ყავისფრით. თეთრი ფერის მიღება ანგობირებულ კეცზე გამსჭვირი ჭიქურის გადაფენებით ძნელი არ იყო. დანარჩენი ფერების მისაღებადაც ორი, რკინისა და სპილენძის — ჟანგეულებით მიღებული საღებავები და ჭიქურები კმაროდა. ჩვენი აზრით, აქ ხელოსანი მცირე მასალის დახარჯვით მეტი გარეგნული ეფექტის შიღებას ცდილობს. მაღალკვალიფიციური ხელოსნის ოსტატობა იქიდანაც ჩანს, რომ ნაწარმზე მეტისმეტად ყაირათიანად არის დახარჯული საჭირო მასალა (საღებავი, ჭიქური, ანგობი), ეფექტი კი საკმაოდ დიდია.

ამ შემთხვევაში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაწარმის ერთმა ჯგუფმა, რომელიც მოჭიქული თიხის ჭურჭლის ჯგუფში ეგების პირობითადაც კი მოვაქციოთ, რამდენადაც ჭიქური, არსებითად, აქ თითქმის არც კი ჩანს, ასეთი ნაწარმის შესანიშნავი ნიმუშია ჯამის ძირი, რომელიც № 2 საწნახელშია აღმოჩენილი (66—971:30). ჯამი ანგობირებულია. ფსკერზე ყავისფერი საღებავით, რვაფურცლოვანი ვარდულია გამოყვანილი, რომლის ფურცლებს შორისაც ოთხი ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზი გადის (ტაბ. XIV-1). ხაზები ყავისფერივე საღებავის მსხვილი წერტილ-ლაქებით არის შემკული. ჯამი არ ყოფილა მოჭიქული, მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნევა ჭიქურის ძლიერ თხელი ფენა, ისიც არა უტილიტარული მიზნით, არამედ უფრო იმიტაციის თვალსაზრისით.

ასეთივენაირად არის შემკული ჯამის ძირი (66—971:28, ტაბ. XXXI—3), რომელზედაც ჭიქურის თხელი ზოლია დადებული; ჯამის პირი მცენარეული ორნამენტით (66—971:29, ტაბ XXIX—3) და სხვ. ასეთი სახის შემკობა სრულიად არ უშლიდა ხელს ოსტატს, რომ თავისი მხატვრული გემოვნება გამოემჟღავნებინა. აქ საქმე ეხება ჭიქურზე „ძუნწობას", სხვა მხრივ ორნამენტული შემკობა, ფერების შეხამება და სხვა ყველაფერი თავის რიგზეა.

ამ სახის ნაწარმიდან კიდევ რამდენიმე ნიმუში შეიძლება განვიხილოთ. ერთ-ერთია ჯამის ძირი, ანგობირებული. ფსკერიდან ნაპირებისაკენ მიიმართება ყავისფერი არასწორი ზოლები, რომელთა შორის არე შევსებულია „ჩიტებით“ ან შეღებილია მწვანედ (66—971:5, ტაბ XXX—4). ჰიქურის თხელი ფენით დაფარულია მხოლოდ რამდენიმე ადგილი. ჰიქურის აღნიშვნა აქ პირობითია, რამდენადაც საქმე შეეხება მხოლოდ ფუნჯით თხლად შეღებილ ადგილებს. ყურადღებას იმსახურებს ჯამის ძირი (66—971:55, ტაბ. XXVI—2), რომლის ფუძეზედაც ურთიერთგადამკვეთი ხაზებია შიგ ჩასმული სხვადასხვა ფრად შეღებილი წრეებით. აქაც ჰიქურის მხოლოდ იმიტაციაა.



3. კოპალე. ჯამის ძირი ფრინველის გამოსახულებით (31—970:36)

განსაკუთრებით საჭიროა შეეჩერდეთ მოჩიქული ჭურჭლის იმიტაციის ერთ ნიმუშზე, რომელიც განცალკევებით დგას არა მარტო ვავაზურ, არამედ საერთოდ ჩვენთვის ცნობილ მასალებში. ეს არის წითლად გამომწვარი ჯამის ძირ-გვერდის ნაწილი ჭუსლიანი ძირით (66—971:36), აღმოჩნდა 1970 წელს № 2 საწნახლის მახლობლად. ჯამის ძირზე გამოსახულია ფრინველი მცენარულ მოტივთან ერთად (სურ. 3, ტაბ. XXIII), ფონი მთლიანად წითელია —

გამომწვარი თიხის ფერი, ანგობის გარეშე. მცენარის ყლორტებისა და თვით ფრინველის კონტურები გამოსახულია ამოკაწვრით. გამოსახულებანი შემდეგ შეუვსიათ ანგობით და მოუხატავთ მწვანე და ყავისფერი საღებავებით. ანგობიც, ისევე როგორც საღებავები, წასმულია ფუნჯით. ყველგან სიზუსტე ვერ დაუცავს ხელოსანს და ზოგ ადგილზე ანგობიცა და საღებავიც სცილდება ნაკაწრით მონიშნულ კონტურს. ნახატი საკმაოდ შთამბეჭდავია; ყლორტები შეღებილია მწვანედ, ფრინველის ზედა ტანი, ფეხები და ფრთის ნაწილი — ყავისფრად. ამაყად მომზირალი ფრინველი უფრო მტაცებელს მიაგავს, ვიდრე უწყინარ ჩიტს. ფრინველის ასეთი ექსპრესიული გამოსახულებანი იშვიათი არ არის ქართულ მხატვრულ კერამიკაში და მას კარგად ეიცნობთ დმანისის, რუსთავის და განსაკუთრებით კი თბილისის სახელოსნოების გათხრებისას აღმოჩენილი მასალებით. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ჯამის მხატვრული შემკობის ხერხმა, რომლის მსგავსიც ჩვენთვის უცნობია. სახელდობრ, ესაა შიშველი უანგობო ფონი, უშუალოდ ჯამის ზედაპირი და ამოკაწრულ კონტურებში ჩასმული ანგობირებული და მოხატული გამოსახულება. ეს არის სრულიად ახალი სახე მხატვრული შემკობისა. რაც მთავარია, მოჭიქვა, ამ სიტყვის პირდაპირი და ყველასათვის ცნობილი გაგებით, აქ არ არის; გამოსახულებაზე გაირჩევა მხოლოდ უთხელესი ფენა ფუნჯით წასმული ჰიქურისა. იგი უფრო იმიტაციის შთაბეჭდილებას ახდენს.

ზემოთ აღნიშნული ნაწარმის განხილვის შედეგად არ შეიძლება არ შევამჩნიოთ დიდი სხვაობა, რაც არსებობს ჩამოთვლილ ნიმუშებსა და იმ მოჭიქულ კერამიკას შორის, რომელიც დღეს საკმაოდ კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, უპირველესად ჰიქურის გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება ჩვენს მიერ აღნიშნულ თიხის ნაწარმს მოჭიქული კერამიკის იმიტაციები ეუწოდოთ. სხვა დასკვნის გამოტანაც შეიძლება აღნიშნულთან დაკავშირებით. იმიტირებული მოჭიქული ნაწარმის გულდასმითი შესწავლის საფუძველზე არ შეიძლება სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც არ აღმოვაჩინოთ, რაც ერთგვარ ზღვარს დებს კარგად ცნობილ მოჭიქულ სახეებთან. სახელდობრ, მოჭიქული ნაწარმის იმიტაციები ძირითადად პატარა ზომის ჯამების სახითაა წარმოდგენილი, ქუსლი ნაკლებად არის ამოღარული, საერთო იერის მიუხედავად განმასხვავებელი ნიშნები თვალშია საცემი. ამის ახსნა მარტო იმით, რომ იგი განსხვავებული საწარმოო ცენტრის პროდუქციაა, ალბათ, არ იქნება მართებული. ჩვენი აზრით, **იმიტირებული მოჭიქული ნაწარმის სახით საქმე უნდა გვქონდეს მხატვრულ ნაკეთობათა განვითარების ახალ ეტაპთან, რაშიც განმსაზღვრელი როლი ითამაშა საჭირო ნედლეულის შემცირებამ და წარმოების ზრდის ფართო მასშტაბებმა. ეს ორი ფაქტორი აპირობებდა მხატვრული კერამიკის განვითარებაში ახალი ეტაპის დაწყებას, რაც ქრონოლოგიურად უნდა ემთხვეოდეს, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეს.** ერთი ძირითადი ციკლი მოჭიქული მხატვრული კერამიკის წარმოებისა, ერთფერჭიქურიანიდან მოჭიქული კერამიკის იმიტაციამდე ექვსსაუკუნოვან პერიოდში შეიძლება მოექცეს — IX საუკუნიდან XIV ს. ჩათვლით. მოჭიქული კერამიკის წარმოების ახალი ციკლის დასაწყისი ჩვენში XVI ს. ემთხვევა. თუ ზემოთ აღნიშნული ჩვენი ვარაუდი სამართლიანია, მაშინ გავაზური ნაწარმის სახით საქმე უნდა გვქონდეს ერთ-ერთ ბოლო ნიმუშებთან. სურათი ნათელია: XIII საუ-

კუნის შუახანებიდან პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში მკვეთრად იცვლება, ქვეყანა განიცდის გარეშე ძალის მოზღვავებას, რაც საგრძნობლად სცემს მის ეკონომიურ ძლიერებას. ეს ცვლილებანი, უდავოა, ასახვას პოულობს ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილეთ ნაწარმის ერთი სახე, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ის გამოსაყოფია სხვა დანარჩენისაგან არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ მისი ადგილითაც საერთო განვითარების ჯაჭვში. აქვე შევნიშნეთ, რომ მიღებული ნაწარმი მხოლოდ ერთი ჯგუფია გავაზური პროდუქციისა და აქ, უფრო სწორედ კოპალეს სამიწათმოქმედო უბანზე, ვხვდებით მოჭიქული ნაწარმის კარგად ნაცნობ ფორმებსაც. პირველ რიგში შეიძლება მოვიხსენიოთ ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული დიდრონი ჯამების ნატეხები, რომლებზედაც უმთავრესად გულებისა და მანების გამოსახვას ვხვდებოდით (66—971:39, ტაბ. XXI). ჩვენ არც კი გვეგულება შუასაუკუნეების ისეთი ძეგლი, სადაც მსგავსი ნაწარმი არა ყოფილიყოს დადასტურებული.

შუასაუკუნეების მოჭიქული ნაწარმის ერთ-ერთ დამახასიათებელ ჯგუფს შეადგენდა ე. წ. სამარილეები. კოპალეზე იგი ორი, მწვანედ და მოცისფროდ მოჭიქული ნიმუშით არის წარმოდგენილი (66—971:48, 83, ტაბ. XXXVII), აღწერას აქ არ შევუდგებით, რამდენადაც ფორმა სამარილეებისა საერთოდ ცნობილია. გავაზურ სამარილეებზე შეიძლება ითქვას, რომ ერთი ცენტრიდან მომდინარეობენ. ორივეს ფსკერზე შემორჩენილია თითო ღრმული, მოჭიქვის დროს ფერადი ეფექტის მისაღებად.

მცირე ზომის ჯამები დამახასიათებელი ჩანს კოპალეზე აღმოჩენილ ნაწარმში. აქ, როგორც წესი, თუ ფრინველთა ან ცხოველთა გამოსახვას არა ვხვდებით, მხატვრული მოტივის საწყისად ჯამის ფუძის ცენტრი ითვლება. აქაა მოთავსებული ვარდული, რომლიდანაც გადის რადიალური სხივები, ჩახატულია კვადრატი რომბული ბადით, წრე ოთხკუთხედებით, სხვადასხვა ფერის მოგრძო სამკუთხედები შიგ ჩასმული პალმეტებით და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფრინველთა, ცხოველთა და კომბინირებულ გამოსახულებათა შესახებ. ეს თემა მეტად პოპულარული იყო შუასაუკუნეებში და, როგორც ჩანს, მას გვერდი ვერ აუარეს აქაც. ერთ ჯამზე ცხოველის გამოსახულება ყოფილა მოცემული (66—971:46), შემორჩენილია ცხოველის უკანა ნაწილი (ტაბ. XXII—ნ). კარგად ჩანს მარჯვენა ფეხი და კუდის ნაწილი. გამოსახულება მიაგავს დმანისსა და სამშვილდეში აღმოჩენილ ჯამებზე შემორჩენილ ნახატებს[15]. როგორც წესი, ცხოველთა გამოსახულებანი მცენარეულ ორნამენტში თავსდებოდა. ამის საილუსტრაციოდ ზემოხსენებული ორი ნიმუშის გარდა რუსთავსა[16] და კახეთში[17] აღმოჩენილ კერამიკაზე შემორჩენილი ნახატებიც გამოდგება. სამწუხაროდ, გავაზური ნაწარმის მხოლოდ პატარა ნაწილია შემორჩენილი.

თუ რაოდენობრივი შეფარდებით ვიმსჯელებთ, განვითარებული ფეოდალური ხანის მხატვრულ კერამიკაში შედარებით მეტია ფრინველთა გამოსახულებანი. ასევეა კოპალეს მასალებშიც. აქ რამდენიმე ნიმუშში გვაქვს ფრინ-

[15] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ., 1956, ტაბ. XLV.

[16] მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ., 1969, ტაბ. XXX-XXXI, XXXII.

[17] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLIV.

ველების გამოსახულებებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოჭიქული ნაწარმის ის ჯგუფი, რომელიც XII—XIII სს. უნდა დათარიღდეს. ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ფრინველის თავი (31—970:107), ჩანს თვალი და ნისკარტი (ტაბ. XXII—3), ერთი ჯამის ძირზე კი ფრინველის მკერდი ფეხების და ფრთის ნაწილი (66—971:27, ტაბ. XXII—2). ფრინველთა გამოსახულების თავისებური სტილი ჩანს ორ ფრაგმენტზე. ერთი საშუალო ზომის ქუსლამოღარულ ჯამზე ყოფილა მოცემული (66—971:2). მიუხედავად მისი ფრაგმენტულობისა, ჩანს ფრთის გამოსახვის ახალი მანერა; ბადრიჯნისფერი და მწვანე საღებავებით მიღებულია დამრეცი ზოლები. ფრინველის ტანი ყავისფერი საღებავით არის შეხატული (ტაბ. XXIII—3), ფრინველის მეორე გამოსახულებაც ორიგინალურად არის გადმოცემული, რომლის მსგავსი ჩვენთვის არ არის ცნობილი (66—971:1, ტაბ. XXIII—1), აქ საქმე ეხება არა მარტო გამოსახვის სტილს, არამედ ფერთა შეხამებასაც. დასანანია, რომ ისიც მხოლოდ ფრაგმენ-

4. კოპალე. ჯამის ნატეხი „ქალ-ღმის“ გამოსახულებით (31—970:111).

ტია. როგორც ჩანს, ფრინველის ტანი ყავისფრად ყოფილა შეხატული, ფონი ოთრია. ფრთის ტანთან შეერთების ადგილი მწვანეა, შიგ ჩახაზული დაფანჯრული წრით. ნახატის მისაღებად გამოყენებულია მწვანე, ყავისფერი, ბადრიჯნისფერი საღებავები (ტაბ. XXIII).

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მოჭიქული ჯამის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მასზე მოცემული გამოსახულების მიხედვით. სამწუხაროდ, ნახატი ნაკლულია და მთლიანად აზრის გამოცნობა ჭირს. მოცემულია მცენარეული მოტივი და ადამიან-ცხოველის გამოსახულება (სურ. 4). ჯამი ანგობირებულია, მცენარეები გამოსახულია დაგრეხილი მწვა-

ნე ყლორტის სახით, რომელშაც ადამიან-ცხოველის გამოსახულებისაგან ჰყოფს ორი პარალელური ხაზისაგან შედგენილი არშია, შიგ ჩაღეენთილი მსხვილი სოსნისფერი წერტილებით. გამოსახულებას ტანი ცხოველისა ჰქონია; შემორჩენილია მკერდისა და კისრის ნაწილი. ბალანი პატარა მორკალული ხაზებით არის გადმოცემული. ჩანს ზეაწეული თათიც, ყავისფრად შეღებილი. კომბინირებულ გამოსახულებას თავი ადამიანისა აქვს, ყელზე ბადრიჯნისფრად მოხატული ლენტა უფრიალებს. ნახატი ადამიან-ცხოველისა, ასევე მცენარეებისა მიღებულია ამოკაწვრით და შემდეგ კი მოხატულია ფერადი საღებავებით (ტაბ. XXXV). ადამიანის სახე საკმაოდ კარგად არის ამოკაწრული. ცხვირი ორი ხაზითაა გადმოცემული, მარცხენა ხაზი უერთდება წარბს, ტუჩები ერთი ხაზით არის გამოხატული. წარბებს კოპები ზევით აქვს აწეული, რაც სახეს ერთგვარად მწუხარე გამომეტყველებას აძლევს. ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებს ფართოდ გახელილი თვალები.

თუ ანალოგიურ მასალას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ადამიანთა სახის გამოხატვა არც თუ იშვიათია და ამგვარი ნაწარმის არა ერთი ნიმუშია ცნობილი დმანისის, რუსთავის, თბილისის (განჯისკარი), თელავის გათხრების შედეგად. საერთო შთაბეჭდილება, რაც შეიძლება შეგვექმნა აღნიშნული მასალების განხილვისას, შეიძლება რამდენიმე დასკვნით გადმოვცეთ: მოჭიქული კერამიკის მხატვრული დამუშავებისას, მცენარეული თუ გეომეტრიული მოტივების გვერდით არცთუ იშვიათად ადამიანსაც გამოსახავდნენ; ადამიანის (ქალის თუ კაცის) გამოსახვას ვხვდებით როგორც ცალკე, ისე კომბინაციებში; ასეა მიღებული ქალ-ჩიტები (სირინოზები) და ქალ-ლომები. ნახატები შესრულებულია ფუნჯით ან ამოკაწვრით და ფუნჯით. ქალ-ჩიტების შესანიშნავ ნიმუშებს ვხვდებით თბილისის და თელავის განათხარ მასალებში.

ვერ დავეთანხმებით თბილისის მასალების ერთ-ერთ გამომცემელს, თითქოს ქალ-ჩიტებიანი ჯამები ამოვარდნილი იყოს, „საერთო რეპერტუარიდან“, რომ „თბილისის კერამიკული სახელოსნოს მიერ დაწესებულ რეპერტუარში არ შედიოდა სირინოზები (ქალ-ფრინველები)“[18] და ამიტომ „ფანტასტიკური სახით შემკული ჯამები ნახევრად გამზადებული დარჩა“[19]. აქ ნაგულისხმევია ის, რომ განჯისკარის განათხარში დადასტურებული ჯამები, რომლებზედაც ქალჩიტებია გამოსახული, დამუშავებულია ანგობით, ამოკაწრულია სახეები და მოჭიქვა აღარაა შესრულებული. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს მოჭიქული ნაწარმის იმიტაციებთან, მინაბაძებთან, რის შესახებ ზევით უკვე იყო ლაპარაკი.

ჯერჯერობით ისეთი სურათი ჩანს, თითქოს ადამიანის გამოსახვას რეალისტური აზრი არ უნდა ჰქონოდა: ერთ შემთხვევაში ადამიანის მხოლოდ სახეა მოცემული განსხეოსნებული, მზის სიმბოლური მნიშვნელობით (რუსთავი[20], დმანისი), მეორე შემთხვევაში სახეა ჩასმული მარყუჟებიან ორნამენტში (დმანისი[21], რუსთავი[22]). სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ფანტასტური გამოსახულების ნაწილია.

---

[18] გ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, გვ. 42.

[19] იქვე.

[20] დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXIII, 1.

[21] ე. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII, 6.

[22] გ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXIII, 3.

გავაზური გამოსახულება პირობითად შეიძლება ქალ-ღომს მივაკუთვნოთ. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს თათი და შემორჩენილი ტანის ნაწილი. აღნიშნული ნახატიდან ყურადღებას იქცევს თავსაბური; იგი სამწილადია, ფარავს ყურებს და ყელამდე ჩამოდის. შესაძლოა, ბადრიჯნისფრად შეღებილი ლენტი ქუდის შესაკრავიც იყოს. მსგავსი თავსაბურავები გამოსახულია დმანისსა[23] და თელავში[24] აღმოჩენილ ჯამებზე. თელავში აღმოჩენილი ჯამი, მართალია, დაზიანებულია, მაგრამ ეტყობა მასზე ქალ-ჩიტი უნდა იყოს გამოსახული. კარგად ჩანს ფრინველის კუდი და ფეხები. საყურადღებო დეტალი, რითაც გავაზური ჯამი ამჟღავნებს სიახლოვეს თელავში აღმოჩენილ ჯამის ნახატთან, გარდა თავსაბურავისა, არის სოსნისფერი მსხვილი წერტილებით შედგენილი გამყოფი არხი, რითაც მცენარეული ორნამენტი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გამოცალკევებულია ქალ-ჩიტისაგან. დმანურ ნაწარმზე, რომელზედაც თავსაბურავიანი ადამიანია გამოსახული მსგავსად გავაზურისა, თავსაბურავი სხვადასხვა ფერითაა გამოსახული. შუა წვეტი ორიენტირია, სხვა დანარჩენი ნაწილი კი მწვანე. ამის მიხედვით, ალბათ შესაძლებელია, ვივარაუდოთ სხვადასხვა ფერით ქუდის სხვადასხვა ნაწილის გამოსახვა. ასევე ჩანს, საქმე უნდა გვქონდეს არა გვირგვინისებურ სამწილად თავსამკაულთან, არამედ დასაკეც ქუდთან, რომელსაც ხმარების დროს აქეთ-იქიდან ეშლებოდა ნაკეცი.

თითქმის ასეთივე თავსაბურავთან უნდა გვქონდეს საქმე ხერსონესში აღმოჩენილი ერთ-ერთი მოჭიქული ჯამის გამოსახულებაზედაც. ჯამზე სირინოზია დახატული თითქმის გავაზურის მსგავსი ქუდით. იგი ნაკლულია და ქუდის მარცხენა მხარე აქვს მოტეხილი. ჯამი დათარიღებულია XIII საუკუნით[25].



5. ნაბაზრალი. ადამიანის სახით შემკული ჯამის ძირი. (31—970:95)

ზევით აღნიშნული იყო ადამიანის მზის ორნამენტში გამოსახვის შესახებაც. ერთ-ერთი ასეთი ნიმუში გავაზეიცაა აღმოჩენილი, ოღონდ შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ორნამენტთა საერთო სახის გამო აქ მისი განხილვა უფრო მიზანშეწონილი იქნება (32—970:95). შემორჩენილია მოვარდისფროდ გამომწვარი ჯამის ძირის ნატეხი ქუსლამოღარული (ნახ. 5). ჯამის ფსკერზე ცენტრშიეე გამოსახულია ადამიანის, ჩვენი აზრით, ქალის სახე (ტაბ. XXXV—2). ნიკაპის ნაწილი მოტეხილია. სახე ჩასმულია ორმაგ წრეში. სახეც და სხვა დანარჩენი ორნამენტიც ამოკაწრულია, გამოყვანილია სასურველი ნახატი და შემდეგ მოჭიქული. ფონი ანგობირებულია მოვარდისფრო ტონით. ნახატის ხაზები ყავისფერია. ცენტრის ორმაგი წრიდან, რომელშიც ქალის

[23] ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, ტაბ. 5.
[24] ც. ჩიქოიძე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, ტაბ. VI, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, 1969.
[25] А. Л. Якобсон, Средневековый Херсонес, МИА, № 17, табл. XXXIII, I.

სახეა ჩასმული, ჯამის პირისაკენ ერთიმეორის მონაცვლეობით ვრცელდება ყვითელი და მწვანე სხივები, რომელთა შორის არეში მუქი ყავისფერი ხალებია ჩასმული ნახევარრკალებით. ადამიანის სახე კარგად იკითხება მკვეთრი ხაზების წყალობით. ცხვირი ორი ხაზითაა წარმოდგენილი. თვალები საკმაოდ დიდრონებია, ხოლო ჩრილი ნუშისებურია. პირი რკალურია, კუთხეებში საკეცით. საინტერესოდაა გამოსახული წარბები. მარჯვენა თითქმის მორკალულია, მარცხენა სწორი და დაქანებული. წარბების დასაწყისი გაწაფული ხელის მოსმით კუთხის ფორმით არის გამოსახული. სხვათაშორის, ზუსტად ასეევა წარბები გადმოცემული უკვე აღნიშნულ გავაზურ ქალ-ღმზედაც, ოღონდ ის შემდეგ მოხატულია და წარბების ამოკაწრული ფორმა ცუდად ჩანს. აქ ამოკაწვრის შემდეგ ადამიანის სახე არ არის ფუნჯით მოხატული, თუ არ ჩავთვლით თვალებს და ლოყებზე დიდრონ წერტილებს (ხალებს), რომლებიც მსხვილი მუქი ყავისფერი წვეთებით არის მიღებული. ღაწვებზე ხალების გამოსახვა, როგორც ჩანს, მართალია იშვიათად მაგრამ მაინც შემკობის ერთერთი ნიუანსია, უპირატესად სპარსული ყაიდისა. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ იეზიკენტში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ჯამი ქალის თავითა და ცხოველის ტანის გამოსახულებით[26], ასევე, ხერსონესში აღმოჩენილი ზემოთ დასახელებული ჯამი[27]. სპარსული ნაწარმი XI ს. არის დათარიღებული.

გავაზური გამოსახულების მსგავსი ნიმუშები — ქალის სახე მზის ორნამენტულ მოტივში, ცნობილია რუსთავიდან[28] და დმანისიდან. ამგვარი ნაწარმის შესწავლისას, მხედველობაში გვაქვს ზემოთ აღწერილი ქალ-ღმის გამოსახულებიანი ჯამიც, ყურადღებიანი დაკვირვება დასჭირდება ორ გარემოებას — ნაწარმის წარმომავლობას, უშუალოდ დამზადების თვალსაზრისით, და შესრულებული ნახატის მხატვრულ-სიუჟეტური მანერის კულტურულ გარემოს.

ორივე გამოსახულების მიხედვით აშკარაა, რომ ისინი დამზადებული უნდა იყვნენ გავაზიდან არც თუ შორს, სადღაც დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე. ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტის გარდა, თელავის, გავაზის, რუსთავის, დმანისის და თბილისის გამოსახულებათა შორის, განსაკუთრებით თავსაბურავთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დგინდება, რომ სწორედ საქართველოში ჩანს გავრცელებული ასეთი თავსაბურავი, განსაკუთრებით XIII ს-ში[29], მიიქციეს ყურადღება სხვა დეტალებმაც; კერძოდ, თელავისა და გავაზის სირინოზისა და ქალ-ღმის გამოსახულებების მცენარეული ორნამენტიდან გამყოფმა ხაზმა, რომლის მიხედვითაც რაღაც სიუჟეტური გააზრება იქნება ამოსაცნობი. მიუხედავად ნაწარმთა ადგილობრიობისა, რაზედაც ჩვენ უკვე არ გვეპარება, გამოსახულებათა და ორნამენტულ მოტივთა გააზრებისას ბევრი ელემენტი იჩენს თავს, რომლის საწყისებიც სპარსულ კულტურულ წრეში უნდა ვეძიოთ. ასეთია, მაგალითად, ღაწვებზე ხალების გამოსახვა, ქალ-ფრინველისა თუ ქალ-ცხოველის კომპოზიცია, ასევე ცხოველების თუ ფრინველების გამოსახულებიანი ჯამების პირების სამკუთხედებით შემკობა[30] (იხ. გავაზური ქალჩიტიანი ჯამი).

---

[26] Pope A. A Survey of Persian Art. V, ტაბ. 617.
[27] А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIII, I.
[28] მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIII.
[29] ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, გვ. 28.
[30] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 161.

ზემოთ აღწერილი ჯამების წარმომავლობის თვალსაზრისით ერთი საერთო ნიშანია წინ წამოსაწევი, რომელსაც შეიძლება განმსაზღვრელი როლი ჰქონდეს. მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი ჯამის ძირების ერთი წყებისათვის დამახასიათებელია ქუსლი, ამოღარული მრგვალ — ბრტყელი ძირით. ასეთი ძირები აქვს უანგობო ჩიტიან ან ქალ-მზის გამოსახულებიან და კიდევ სხვა მრავალ ჯამს. ეს ყველაფერი მათი ერთი ცენტრიდან წარმომავლობას მიუთითებს.

* * *

კოპალზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებისა და ნაგებობების განხილვის შემდეგ, ნათელი ხდება, როგორც ადრე იყო ნათქვამი, რომ მთლიანად ძეგლი თავისი ხასიათით, აქ ვგულისხმობთ საირიგაციო სისტემას, სახნავ-სათეს მამულებს და სამეურნეო ნაგებობებს, აშკარად გამოსახული კეთილმოწყობილი აგრარული ზონის შთაბეჭდილებას ახდენს. მთელი რიგი მონაცემების გათვალისწინებით, სავარაუდებელია აქ საეკლესიო, სატაძრო მამულების არსებობაც, რომელიც მთლიანად დასახლების თავისებური ინტერპრეტაციის წამოყენების საჭიროებას აყენებს, უპირატესად სასოფლო დასახლებაში სატაძრო მამულების ხვედრითი წონის სიჭარბის თვალსაზრისით.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ბუნებრივია ისმება საკითხი კოპალეს და საერთოდ გავაზის მეურნეობის განმსაზღვრელი სახის შესახებაც, რომელიც განაპირობებდა როგორც ნივთიერი კულტურის ძეგლების, ისე ნაგებობების თავისებურებას. სწორედ ეს უკანასკნელი; ქვევრების სიჭარბე, საწნახლები, კერამიკული ნაწარმის ძირითადი ფორმები, უპირატესად მცირე ზომის საღვინე ჯამებით წარმოდგენილი, საშუალებას გვაძლევს გავაზის მეურნეობის ძირითად დარგად მევენახეობისა და შესაბამისად მეღვინეობის აღიარებისათვის. მასალების სიმცირე არ გვაძლევს უფლებას აღნიშნული სამეურნეო დარგის სასაქონლო ეფექტიანობის შესახებ მსჯელობისათვის, ანდა გვაქვს კი ნება ვილაპარაკოთ საერთოდ მისი სასაქონლო წარმოების შესახებ? საამისო საბუთიანობა ჩვენ ამჯერად არ გაგვაჩნია და თუ დადებითად ვუპასუხებთ დასმულ საკითხს მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შეუძლებლად არ მიგვაჩნია, რომ გავაზში კეთილმოწყობილი მევენახეობის პირობებში, მევენახეობის პროდუქტის გარკვეული ნაწილი სწორედ სასაქონლოდ ყოფილიყო გამიზნული და რომ აღნიშნულმა გარემოებამ კიდევაც განსაზღვრა აქ მისი ინტენსიური განვითარება. ნაშრომის შესავალში ლაპარაკი იყო გავაზის გეოგრაფიული გარემოს შესახებ, რომ ის საშუალო რგოლად შეიძლება წარმოვიდგინოთ კავკასიონის მთისა და ალაზნის ველის მოსახლეობებს შორის, რამაც შესაძლებელია აღმოაცენა კიდევაც თვით პუნქტიც. ყველაზე მთავარი და ძირითადი, რომელსაც ბარის მოსახლეობა, ამ შემთხვევაში გავაზი, აწვდიდა მთას, ჩვენი აზრით სწორედ მევენახეობის პროდუქტი იყო. ეგების, დაწინაურებული მეღვინეობის და ღვინის სავაჭრო პროდუქტად გადაქცევის გამო იყო, რომ გავრცელებულა გავაზური საწყაო, მაინცდამაინც ღვინის და საერთოდ მეღვინეობის პროდუქტებისათვის. ალექსანდრე კახთა მეფეს 1593 წ. ერთი საბუთით, სამეურნეო ულუფად, ასი გავაზელი გლეხისათვის დაუკისრებია სამ-სამი გავაზური დიდი სპილენძის

თუნგი ტკბილი და ექვს-ექვსი შაური[31]. გავაზური ერთ-ერთი გავრცელებული საწყაო ერთეული იყო კახეთში. გარდა ამისა, ზვარი და ღვინო ისტორიულ საბუთებში როგორც საცელელი ღირებულება, გავაზთან დაკავშირებით ხშირად არის მოხსენიებული: „...გავაზს... ზუარი და შვიდი კომლი კაცი...“; „...გავაზს ზვარი ერთი...“, „გავაზს ერთ კუამლი გვიბოძეთ მათის მამულით... სამუქფოდ წელიწადში ღვინო საპალნე ათი...“ და სხვ[32].

თუ ჩვენი ვარაუდი, დაფუძნებული უპირატესად არაპირდაპირ მონაცემებზე, გავაზში მევენახეობისა და მეღვინეობის დაწინაურებაზე და ღვინის წარმოების სასაქონლო ხასიათზე დამაჯერებლად გამოიყურება, მაშინ უფლება გვაქვს იგივე მოსაზრება გავავრცელოთ სხვა მომიჯნავე რაიონებზედაც, სადაც სადაზღვევო მასალების მიხედვით ანალოგიური ხასიათის ძეგლებთანა გვაქვს საქმე (გრემი, არეში).

---

[31] ქ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—2092.

[32] გავაზური ვაზისა და ღვინის ქებას ვხედებით „არჩილიანში“. მეფე პოეტი არჩილი თეიმურაზის პირით გადმოგვცემს:

„დედის ნახეა მწვედ მინდოდა თუმც გაეფრინდე ეით გავაზი.
მომახსენეს: „რად დავაგდოთ ჩვენ ულბინოდ აქ გავაზი?
დაუჯერე გარდავხედეთ, მოუწორეთ უქეთ ეაზი.
მათ ბეკრი სვეს მე წვიოლად ესვი, ვაშლი ზედა გავამაზი“.

(არჩილიანი, II, თბ., 1937 წ., გამოსცა თეიმურაზისა და რუსთველისა, გვ. 33). გავაზური ღვინის ქებას არჩილი სხვა ადგილზედაც შენიშნავს:

„ხილზედ ესვემდი გავაზურს, ხერეტა არ იყო იქ დოსი“-ო (იქვე, გვ. 44).

ნ ა ბ ა ზ რ ა ლ ი

ნაბაზრალი ექსპედიციის მიერ შესწავლილი ვრცელი ნაქალაქარის ერთ-ერთი ძირითადი უბანია. იგი ავანის წყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და უკავია ვაკობი მდინარისპირის მაღალ ფლატეზე, ნაწილობრივ ფერდობიც, რომელიც დღეს ტყით არის დაფარული. ნაბაზრალის ტერიტორია იწყება დაახლოებით, თანამედროვე სასაფლაოს გადასწვრივ და ვრცელდება ორ-სამ კილომეტრზე ავანის წყლის ვიწროებამდე. ადგილის გეომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ძეგლთა ძირითადი მასა კოპალეს მოპირდაპირე მხარეს არის საგულისხმებელი. პირველ ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ადგილის სახელმა, რომელიც ცხადია თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ბაზარს, საბაზრო ადგილს დაერქვა; მოსახლეობის აყრის თუ განადგურების შემდეგ კი იქცა ხაბაზრალად. როგორც ანალოგიური მაგალითებიდან ირკვევა, ბაზარი შეიძლებოდა შერქმეოდა ქალაქის თუ სხვა დასახლებული ადგილის ან ცალკეულ საბაზრო ადგილს, ან უშუალოდ პუნქტს. როგორი ვითარებაა ნაბაზრალის მიხედვით, ძნელი დასადგენია, რამდენადაც ვერ ვიტყვით გადაწყვეტით ნაბაზრალი (ბაზარი) გავაზის უშუალო ნაწილი იყო თუ დამოუკიდებელი პუნქტი. აქ, ადგილის ხახელების ქრონოლოგიური მონაცვლეობაც არის გასათვალისწინებელი. ჩვენი ვარაუდით, ადგილის უძველესი სახელი შეიძლებოდა ყოფილიყო ავანი, რომელიც მხოლოდ მდინარესღა შემორჩა, შემდეგ ჩნდება გავაზი, ალბათ ადრეფეოდალურ ხანაში მაინც. ბაზარი XII—XIII სს. ან უფრო გვიან უნდა იყოს გაჩენილი. კვლევის დღევანდელ ეტაპზე უფრო დასაშვები გვეჩვენება ბაზარი (ნაბაზრალი) გავაზთან ერთად წარმოვიდგინოთ, როგორც დიდი და მნიშვნელოვანი დასახლების შემადგენელი ნაწილი.

ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით ამ პერიოდში არაერთი ბაზარია ცნობილი, სადაც ზარაფხანებიც არსებობდა. ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი ბაზარი კახეთში მდებარეობდა, დღევანდელი სინგილოს ტერიტორიაზე[1]. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მის შესახებ, როგორც ძლიერ ქალაქზე, XIII საუკუნიდან მაინც შეიძლება ლაპარაკი. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ქალაქად იქცა დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს პირობებში XV—XVI საუკუნეებში. XVI საუკუნის მიწურულის ერთ ქართულ-სპარსულ საბუთში, რო-

[1] ლ. ჯ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ბჟხარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის, საქ. სახ. მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, 1973 წ.

მელიც ალექსანდრე კახთა მეფეს გაუცია, მოხსენიებულია გრემი და წაღმაბაზარი[2]. წაღმაბაზარში ნაგულისხმევია ქალაქი ბაზარი, იგივე ზაგემი[3]. „წაღმაბაზარი" მაინცდამაინც უნდა მიუთითებდეს, რომ იყო სხვა ბაზარიც, გაღმა მხარეს არსებული ბაზრისაგან განსხვავებით. არ არის გამორიცხული, რომ აქ სწორედ გავაზის ბაზარი იყოს ნაგულისხმევი. თუ ეს მონაცემები სწორად არის ჩვენს მიერ გაგებული, მაშინ გავაზის ბაზარი, სავარაუდოა, ანგარიშგასაწევ ერთეულს წარმოადგენს XVI საუკუნეშიაც.

როგორც ქვემოთ, არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად იქნება გამორკვეული, ნაბაზრალის ტერიტორიაზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაპოვართა ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფი X—XIV სს-ში თავსდება, მთლიანად ძეგლი კი X—XVI სს. შეიძლება დათარიღდეს. ექსპედიციამდე ნაბაზრალის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ერთ მეტად მნიშვნელოვან შემთხვევით აღმოჩენას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. დაახლოებით 1919 წ. გ. ჩუბინაშვილს ქვების გროვაში უნახავს წარწერიანი ქვა, ნაბაზრალის ტერიტორიაზე, შემთხვევით აღმოჩენილი. აღნიშნული ქვისათვის, უკვე ძლიერ დაზიანებულისათვის, ხელმეორედ მიუგნია ახალსოფლის მკვიდრს პოეტ ი. ბეროშვილს და ჩამოუტანია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. წარწერა გ. ჩუბინაშვილის მიერ გადაღებული ფოტოსურათის მიხედვით გამოსცა თ. ბარნაველმა[4]. ვსარგებლობთ აღნიშნული გამოცემით: ქვა უნდა წარმოადგენდეს სარკმლის გვირგვინს, წარწერა ხუთსტრიქონიანი ყოფილა, ასომთავრულით შესრულებული. დათარიღებულია 1025 წ. „ქორონიკონი იყო სმე (245+780= 1025) ქრისტე ადიდე მ..ლე და სავლა ამის ეკლესიის ამშენებელნი და მლოცველი მათი ღ-თრ (?) შეიწყალე, ამინ; და იოანე გალატ [ოზი] [შეიწყალე]". ქტიტორების ვინაობის დადგენა შეუძლებელია, ასევე გაურკვეველია მესამე პირიც, რომელიც ქტიტორთა მლოცველად არის მოხსენიებული. მხოლოდ კალატოზის სახელია გარკვეული, რომლის მიხედვითაც XI ს. კიდევ ერთი ახალი ხუროთმოძღვარი გამოჩნდა[5].

აღნიშნული წარწერის მოკლე, თანაც დაზიანებული ტექსტის მიხედვით რა თქმა უნდა, ძნელია მსჯელობა ტაძრის რაობასა და მნიშვნელობაზე, მით უმეტეს, რომ თვით ნაგებობა არაა მიგნებული და შესწავლილი. ერთი რამ ცხადია: XI საუკუნის დასაწყისში აქ ეკლესიის აგება არ უნდა იყოს ისეთი მოვლენა, რომლის ახსნაც უბრალო შემთხვევითობას შეიძლებოდეს მიეწეროს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები წარწერების მხრივ მეტად ძუნწად არიან გამოჩენებული, ზემოაღნიშნული მოკლე წარწერა, არ არის გამორიცხული, დიდი მნიშვნელობის ძეგლს ამკობდა.

მაშასადამე, ერთი მთავარი და მყარი კომპონენტი ძლიერი დასახლებისა, თუმცა არაზუსტი ადგილმდებარეობით, მიგნებულია. ბუნებრივია, ეკლესიის არსებობა სათანადო სამწყსოს გულისხმობდა და ის ბაზრის (ნაბაზრალის) მოსახლეობას მთლიანად თუ ნაწილობრივ მოიცავდა.

---

[2] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 42—43.

[3] ქართული „წაღმაბაზრის" შესატყვისად სპარსულ ტექსტში აღნიშნულია „ზაგემი".

[4] თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ: 116, 117.

[5] იქვე.

ნაბაზრალზე, თუ არ ჩავთვლით ერთ მომცრო საყდარს, მიწისზედა ძეგლები თითქმის არაა შემორჩენილი. ერთადერთია თუშის ციხე, რომელიც კოპალეს მისალოცის გადასწვრივ მდებარეობს მდ. ავანის წყლის მარჯვენა მხარეს. სახელი ყველა მონაცემების მიხედვით ახალია და იგი შეერქვა თუში მწყემსების გამო, რომლებიც ამ ძველ ნაგებობას დღესაც ცხვრის სადგომად იყენებენ (ტაბ. XVI—1; XVII).

ექსპედიციამ თავისი პირველივე კამპანიისას დაიწყო თუშის ციხის შესწავლა; აიზომა ნაგებობა და გაითხარა მის ირგვლივ მდებარე ქვის კედლით შემოღობილი მცირე ეზო. თუშის ციხე მასიური, უსარკმლო, ერთსათავსოიანი შენობაა; ნაგებია ქვით, კირხსნარზე. გეგმაში სათავსოს შიდა არე სწორკუთხა ფორმისაა, სიგრძე 5,80 მ, სიგანე 4,40 მ. გარედან კუთხეები მომრგვალებულია (ტაბ. XVII). კედლების სისქე 1,5 მ. შენობის შემორჩენილი სიმაღლე 5 მ-ზე მეტია. ნაგებობა ორსართულიანი იქნებოდა, რაზედაც მიუთითებს II სართულის იატაკის საყრდენი კოჭებისათვის კედლებში დატანებული ღრმულები. სათავსოს არცერთი სარკმელი არ აქვს, კარი კი, შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, საკმაოდ ვიწროა — 0,7 მ-ის სიგანისა. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში ნიშებია დატანებული, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში კი პილასტრები, რომლებიც გადადიან ისრულ თაღში. მეორე სართულიდან, დასავლეთის კედლის თავში, ჭერში, დატანებული სპეციალური ასასვლელით შეიძლებოდა მოხვედრა ბანზე. ჭერის სწორედ ეს ნაწილია დარღვეული. ბანზე, ჩრდილოეთის კედლის თავზე, დადასტურებულია, ორი, ერთიმეორის გვერდით კედელში დატანებული ორმო, რომლებიც შესაძლოა მცველ ჯუშაგთა ამბრაზურას წარმოადგენდა (ტაბ. XVII). აქედან ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში დატანებული ვიწრო ხვრელით შეიძლებოდა ხმის მიწვდენა და სიგნალების გადაცემა ძირითადი რაზმისათვის. მშენებლობის ტექნიკაში შეიძლება ორი რამ გამოიყოს. პირველ ყოვლისა ჩანს, რომ მშენებლობა დაუწყიათ უფრო ვიწრო კედლებით, შემდეგ კი კედლები გააგანიერეს გარედან, ისე რომ ზედმეტი ნაწილი, დაახლოებით ორ მეტრამდე, საძირკვლიდანვე შეავსეს ახალი კედლით; ამდენად ნაგებობის კედლები გარკვეულ ნაწილზე მიღებულია გაორებული კედლებით. ამჟამად ჩრდილოეთის კედელს გარეთა, დამატებითი კედელი მორღვეული აქვს, სადაც კარგად შეინიშნება ეს სურათი. მეორე; ისრული თაღის შენებისას გამოუყენებიათ ხის ყალიბი. დიდფოთლოვანი მცენარეების ფართო ფოთლების ანაბეჭდების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხის ყალიბზე (ფორმაზე) დაუფენიათ მცენარის ფოთლები, რომ შემაკავშირებელი ხსნარი არ გაეშვა. ამგვარ ხერხს დღესაც იყენებენ მშენებლობაში.

ნაგებობა რომ თავდაცვის საჭიროებისათვის არის შექმნილი, ეს ცხადია: მას არა აქვს სარკმლები, შესასვლელი კარიც ძალზე ვიწროა (0,7 მ, ტაბ. XVI—1), ამაზეც მიუთითებს ამბრაზურებიც გუშაგებისათვის და კედლებში დატანებული ხვრელები სიგნალების გადასაცემად.

ნაგებობის ირგვლივ ქვის ყორით მცირე ეზოა შემოფარგლული, რომელიც ძნელია ნაგებობის აშენების და მისი ექსპლოატაციის დროს დავუკავშიროთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ანალოგიური ძეგლები არაა ცნობილი, ამდენად სინქრონულსა და პარალელურ მასალაზე ვერაფერს ვიტყვით. ძეგლი ზოგადად გვიანი შუასაუკუნეებით შეიძლება დავათარიღოთ. ასეთი ვარაუდი

შეიძლება ზოგი არქეოლოგიური მონაცემებით გავამაგროთ. კერძოდ, ციხის ეზოშია აღმოჩენილი მოჭიქული დიდი ზომის ჯამის ნატეხი — ამოკაწრული ხაზოვანი ორნამენტით შემკული და მოჭიქული. გამოყენებულია მომწვანო და მოყავისფრო საღებავები. მსგავსი ნაწარმი სწორედ გვიანი შუასაუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი (ტაბ. XXXVII—1). არის ორიოდე სხვა ანალოგიური ნიმუშიც.

თუშის ციხის არქიტექტურული მონაცემები, როგორც ითქვა, მაინცდამაინც გვიანი შუასაუკუნეებისაკენ მიგვანიშნებენ, მიუხედავად იმისა, რომ მის მიდამოებში აღმოჩენილი მასალების უდიდესი უმეტესობა X—XIV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდებიან.

ნაბაზრალის ტერიტორია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არა ერთხელ არის მოხნული ღრმა გუთნით და ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მდგომარეობაში დაგვხვდებოდა კულტურული ფენები. ძეგლთა განსაკუთრებული თავმოყრა საგულისხმოა თუშის ციხის მიდამოებში, სადაც მიწის ზედაპირზე მიმობნეულია დარღვეული ნაგებობის კედლის ქვები, რომელთა შორისაც გამოირჩევა ნათალი ქვებიც; არ არის გამორიცხული ქულტაქ-ფუნდუკების ნაშთები. ადგილის საბელი ბაზარი ეჭვს გარეშეა გვაგულისხმებინებს სათანადო საბაზრო ნაგებობებსაც.

ასე „გულდასმით“ განადგურებული ძეგლის ნახვისას ექსპედიციის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული მასალების მოკრეფით და რამდენიმე სადაზვერვო შურფის გათხრით შემოიფარგლა. ასე იქნა მიკვლეული რამდენიმე ქვევრის ნაშთი, ასევე მარნის ნაწილი, სადაც სამი ქვევრი იყო შემორჩენილი (ტაბ. XVI—2) და ნასახლართა ქვის ყორეები, რამდენადმე მიმსგავსებული კოპალეს ზემოთ განხილული კედლებისა.

შურფების მიხედვით შესაძლებელი გახდა რამდენიმე კულტურულ ფენათა განლაგებისა და სიმძლავრისათვის მიგვექცია ყურადღება. როგორც გამოირკვა, კულტურული ფენები მაინცდამაინც არ ყოფილა მძლავრი. იგი თხელი კორდოვანი ფენის შემდეგვე იწყებოდა და 0,4—0,5 მ-მდე ჩადიოდა.

ნაბაზრალის არქეოლოგიურ მასალებში მოჭიქული კერამიკა ჭარბობს. მხატვრული კერამიკის ეს სახეობა რამდენიმე ჯგუფით არის წარმოდგენილი, რომლებსაც განვიხილავთ ცალ-ცალკე.

1. ე რ თ ფ ე რ ა დ მ ო ჭ ი ქ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ი. პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ მოჭიქული კერამიკის ყველა ნიმუშისათვის დამახასიათებელია წითლად ან ვარდისფრად გამომწვარი კეცი. ერთფერად მოჭიქული ჯამების ნატეხებიდან აღსანიშნავია ცისფრად მოჭიქული ნიმუშები (31—970:37,72), ასევე რამდენიმე ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილია ამოკაწრული ორნამენტი და ერთფერი (ცისფერი) ჭიქური (66—971:22, 23; 31—970:89). დადასტურებულია მწვანედ მოჭიქული ნაწარმის ფრაგმენტებიც (31:970:69,31—970:66). აქვე უნდა აღინიშნოს ერთფრად მოჭიქული პატარა, ბრტყელძირა ჯამებიც.

2) „გ უ ლ ე ბ ი თ“ და „მ ა ნ ე ბ ი თ“ შ ე მ კ უ ლ ი მ ო ჭ ი ქ უ ლ ი კ ე რ ა მ ი კ ა. როგორც წესი, ასეთი სახეები გამოჰყავდათ ანგობით და შემდეგ კი გადაავლებდნენ ჭიქურს. ნაბაზრალის მასალებში წარმოდგენილია ასეთი მწვანედ და ცისფრად მოჭიქული ნიმუშები, ასევე ღია ყავისფრად მოჭიქული

(ტაბ. XX—1). ამ უკანასკნელის „გულები“ დაწინწკლულია მუქი ყავისფერი ჰიქურით (66:971:13).

3) ამოკაწრული და მრავალფერი ჰიქურით შემკული ნაწარმი. აღნიშნული ნიმუშებისათვის განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ღრმა და მკვეთრი ნაკაწრით გამოსახული სახეები — გეომეტრიული, მცენარეული. გამოყენებულია თეთრი, მწვანე და ყავისფერი საღებავები (31—970: 42; 52; 66—971:19; 15, ტაბ XX—5; XXXI—1; XXXVII—2).



6. ნაბაზრალი. ჯამის ძირ-გვერდი ჩამოღერილი ჰიქურით შემკული (31—970:70).

4) ფრინველთა გამოსახულებით შემკული ჯამები. წარმოდგენილია ორი ნიმუშით (66—971:29; 66:971:9). ორივეზე ფრინველის თავებია შემორჩენილი, სვრაფიტოთი შესრულებული და შეღებილი ყავისფრად (ტაბ. XXII—4).

5) ანგობირებული და ყავისფერი წერტილებით შემკული ნაწარმი. ეს სახე შედარებით ბევრი ნიმუშით არის წარმოდგენილი. როგორც წესი, ფონი მოვარდისფროა, ზედ ამოკაწრულია ორნამენტები და შემკულია მუქი ყავისფერი ხალებით (31—970:46, 56, 60, ტაბ. XIX—1,5), და ზოლებით (31—970:71).

6) ანგობირებული და ყავისფერი წრეებით შემკული ნაწარმი. აღნიშნული სახიდან ერთი ჯამის დიდი ნაწილია შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ფორმის აღდგენა შესაძლებელია (31—970:70). ჯამი ვარდისფრად არის გამომწვარი, პატარა ზომისაა (დიამეტრი — 13 სმ), ოდნავ შეზნექილი ძირით (დიამეტრი — 6 სმ). ფონი წინ აღწერილი ნაწარმის მსგავსია. შემკულია ყავისფერი წრიული ჩამოღვრილი ორნამენტით (ტაბ. XXIX—1).



სურ. 7. ნაბაზრალი. მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძი (96—971:11).



სურ. 8. ნაბაზრალი. მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძი (31—971:43).

7) ანგობირებული და ფუნჯით მოხატული ნაწარმი. ეს სახე წარმოდგენილია რამდენიმე ნიმუშით. მათგან ყველაზე უკეთ არის შემონახული ჯამის ძირი, რომლის ანგობირებულ ფსკერზედაც ყავისფერი საღებავით, ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია გეომეტრიული ორნამენტი (66—971:8). ორნამენტის შიდა არე მწვანე საღებავებით არის შევსებული (ტაბ. XXX—2).

8) მოჭიქული კერამიკის იმიტაცია. ეს ნაწარმი, ისევე რო-

გორც კოპალეზე. აქაც კარგად არის წარმოდგენილი. დამახასიათებელია ანგობით დაფარული ზედაპირი, რომელზედაც ამოკაწრულია ორნამენტი: ყვავილი და გეომეტრიული სახე (66—971:16; ნახ. 7. ტაბ. XXV—1), სხივები (31—971:43; ნახ. 8, ტაბ. XXV—3), მცენარეული მოტივი (31—970:94), ან მოხატულია საღებავებით (66—971:7,12, ტაბ. XXIV—4). ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია ვარდისფერი კეცი და ქუსლიანი ძირი ცენტრში მრგვალბრტყელი შვერილით.

ყველა ზემოაღნიშნული მოჭიქული ნაწარმი ჯამებით არის წარმოდგე-



სურ. 9. ნაბაზრალი. მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძი (66—971:7).



სურ. 10. ნაბ აზრალ ი. მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძების ჭრილები (31—971:74; 66—971:10)

ნილი. ცალკე მოხსენიების ღირსია მოჭიქული ჯამის ძარი, ძირში გახვრეტილი (66—971:16, ტაბ. XXXI—4), ზედ შემორჩენილი ანგობისა და მწვანე ჭიქურის ნაწილით. მსგავსი სახის ნაწარმი ჩვენთვის არაა ცნობილი.

სხვა სახის მოჭიქული ნაწარმი ერთადერთი სამარილის ფრაგმენტით არის წარმოდგენილი (66—971:18). ფორმა მისი ისეთივეა, როგორც კოპალეზე აღმოჩენილი სამარილეებისა. განსხვავდება მხოლოდ პირზე ამოკაწრული ხაზოვანი ორნამენტით (ტაბ. XXXVII—5).

თუ ზემოთ აღნიშნული კერამიკული ნაწარმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ისევე როგორც კოპალეს სათანადო მონაცემებით ვნახეთ, ძირითადი მასალა უნდა მოთავსდეს X—XIV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში, თუმცა ზოგი ნი-

შუში მოგვიანო იერისაა. ასეთად მიგვაჩნია თუშის ციხესთან აღმოჩენილი სქელკედლიანი, დიდი ზომის ჯამის ძირის ნატეხები შემორჩენილი ხაზოვანი ორნამენტითა და მომწვანო მოყავისფრო ჭიქურით (31—970:39, ტაბ. XXXVII—1). ჩვენი აზრით, ის ამოვარდნილი ჩანს ზემოთ აღნიშნული ქრონოლოგიური ჯგუფიდან და უფრო მოგვიანო კერამიკის ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს.

ნაბაზრალზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ძირითადი მასა X—XIV სს. თარიღდება. როგორც ჩანს, ეს პერიოდი ისევე როგორც მთლიანად გავაზისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. შემდგომად გვიან შუა საუკუნეებშიც აქ ჩანს მოსახლეობა, მაგრამ ის თავისი კულტურულ-ეკონომიური დონით გაცილებით დაბლა დგას ძველთან შედარებით.

სამაროვანი

(ძველი გავაზის ეკლესიის უბანი)

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ქრისტიანობის საქართველოში გავრცელების პირველივე ეტაპზე იქმნება ქრისტიანული არქიტექტორის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში. ჯერმის, ნეკრესის, ნინოწმინდის, შუამთისა და ძველი გავაზის ტაძრები ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურის საეტაპო შედევრებს წარმოადგენენ. ძველი გავაზის ტაძართან დაკავშირებულია ჩვენში ტეტრაკონქების ერთ-ერთი დასაწყისი სტადია, ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობათა საწყისი ფორმებით[1]. მიუხედავად არაერთგზის გადაკეთებებისა და რესტავრაციისა, რამაც ერთგვარად გაართულა ძეგლის შესწავლის საქმე, აკად. გ. ჩუბინიშვილის საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად, ტაძრის თარიღიცა და მნიშვნელობაც ქართული არქიტექტურის განვითარებაში დამაჯერებლად არის გამოკვლეული. ტაძრის აგების დრო, როგორც ირკვევა, VI საუკუნის მესამე მეოთხედს არ უნდა გადასცილდეს. გეგმაში იგი წარმოადგენს ტეტრაკონქს; ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატს ყოველი მხრიდან ებმის აბსიდა კონქით[2], ტაძრის ოთხივე აბსიდა გეგმაში ნალისებური ფორმისაა, რომელთა ზომებიც რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გუმბათქვეშა კონქის თაღებიც ნალისებურია. გარედან აბსიდებს ნახევარწრიული ფორმა ჰქონია და არა მრავალკუთხა. ტაძარს შესასვლელები აქვს დატანებული დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს. მოგვიანებით ტეტრაკონქისათვის შემოსავლელი მიუშენებიათ. როგორც ჩანს გამიზნული ჰქონიათ, რომ ტეტრაკონქი ირგვლივ ღია არკატურით ყოფილიყო შემოსალტული[3].

გავაზის ტეტრაკონქის სახით, როგორც გ. ჩუბინიშვილი ვარაუდობდა, საქმე უნდა გვქონდეს არაერთგზის რესტავრაციით დამახინჯებულ, ერთ-ერთ უძველეს ტაძართან, რომლის აგებაც ბევრ არქიტექტურულ სიახლესთან იყო დაკავშირებული[4]. პირველ რიგში იგი ყველაზე ადრეული ნიმუშია ოთხმხრივ მიშენებული აბსიდებით გუმბათქვეშა კვადრატის მოწყობისა[5].

როგორც ცნობილია, პირველი საეკლესიო ეპარქიების სიაში, რომლის შედგენაც ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული, გავაზი არ არის

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, I, стр. 215.

[2] Там же, стр. 216.

[3] Там же, стр. 218.

[4] Там же, стр. 215.

[5] Там же, стр. 214—220.

ნახსენები. დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე დასახელებულია ნინოწმინდის (უჯარმის კარზე), ჭერმის, ჩელეთის და ხორნაბუჯის საეპისკოპოსოები. არც ნეკრესი და არც გავაზი იქ არ არის დასახელებული. შესაძლოა V ს-ში, გავაზში მართლაც არ იყო ძლიერი სასულიერო ერთეული და ასეთი აქ ჩნდება VI საუკუნის მესამე მეოთხედში, ეკლესიის აგების მომენტში. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი მძლავრი ტაძრის უპირველესი ამოცანა იქნებოდა ქრისტიანული მრევლის პატრონობა, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო იქ, თუმცა ჩვენი აზრით, გავაზის ტაძრის ერთ-ერთი, შესაძლოა უმთავრესი, დანიშნულება იყო ქრისტიანობის და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გავრცელება მთის მოსახლეობაზე. იქნებ ამანაც განაპირობა განსაკუთრებული ყურადღებაც მისი არქიტექტურულად მოწყობის დროს. ერთ-ერთ მთავარი გზა საქართველოდან დაღესტნისაკენ სწორედ გავაზზე იდო. აქედან გავრცელდა ქრისტიანობა მთაში, რის დამამტკიცებელ საბუთადაც არაერთი ქართული წარწერა და ეკლესიაა შემონახული დღევანდელ დაღესტანში. ეს მომენტი გავაზისათვის, ისევე როგორც ადრე გექონდა შენიშნული ძველი ნეკრესის მაგალითზე[6], წინაა წამოსაწევი.

აღნიშნულ საკითხებს გავაზის ეკლესიასთან დაკავშირებით ცხადია ყურადღება მიაქცია არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც მიზნად დაისახა ეკლესიის ეზოს არქეოლოგიური დაზვერვა და გათხრა, რამდენადაც ეკლესიის თავისუფალი ეზო ამის საშუალებას მოგვცემდა.

ძველი გავაზის ადრეფეოდალური ხანის ეკლესიის ეზოში სადაზვერვო თხრილი 1971 წ. კამპანიისას დავდეთ. პირველივე საცდელმა შურფმა დაგვარწმუნა, რომ აქ სამარხები იყო მიჯრით განლაგებული. პირველ წელს ორ სადაზვერვო თხრილში 9 სამარხი გაითხარა. რამდენადაც სამარხებში საყურადღებო ნივთები იყო დადასტურებული, გადაწყდა შეერთებულიყო ორივე თხრილი და აღნიშნული ფართობი შესწავლილიყო პირაღებით. შესწავლილი ობიექტი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს, უშუალოდ ეკლესიის კედლებთანვე (ტაბ. XXXIX). სულ გაითხარა 35 სამარხი. ქვევით ვიძლევით სამარხთა აღწერილობებს და აღმოჩენილი მასალების მოკლე დახასიათებას.

სამარხი № 1 დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. შეკრულია ბრტყელი ქვებით. სამხრეთის კედელი ერთი მთლიანი ქვაა, ჩრდილოეთის კედელი კი ორი ბრტყელი ქვით არის შედგენილი. თავსა და ბოლოში თითო ბრტყელი ქვა იდო. სახურავად კი რამდენიმე ბრტყელი ქვის ნაგლეჯი იყო გამოყენებული[7]. სამარხის სიგრძეა 2,1 მ, სიგანე 0,7 მ. სამარხის სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებული იყო 1 მ-ით. სამარხი მიწით იყო სავსე. გაწმენდის შედეგად აღმოჩნდა ერთმანეთში არეული ადამიანის ძვლები. კარგად ჩანდა ერთი ჩონჩხი, თითქმის სრულად შენახული: იწვა გაშოტილი, ხელები ეწყო მკერდზე. გარდა აღნიშნული ჩონჩხისა, სამარხში კიდევ ოთხი ჩონჩხის ნაშთები იყო დადასტურებული (ტაბ. XL—2).

---

[6] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, გვ. 63—65.

[7] რადგანაც სამარხთა უმეტესობა რამდენჯერმე იყო გამოყენებული დასაკრძალავად, ამდენად ყველაზე ძლიერ სახურავები ჩანს დაზიანებული.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 2 დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით და ბრტყელი ქვებითაა შეკრული. ჩრდილოეთის კედელს წარმოადგენს ერთი ბრტყელი ქვა, დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლები თითო ქვით არის შედგენილი. სამხრეთის კედლად გამოყენებულია ორი ქვა. სამარხის სახურავს წარმოადგენდა სამი ბრტყელი ქვა. სამარხის სიგრძეა — 2,2, სიგანე — 0,8 მ, სიმაღლე — 0,5 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 1 მეტრით. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა სამი ჩონჩხის ნაშთები ერთმანეთში არეული. სამარხი არაერთდროული დაკრძალვისათვის ყოფილა გამოყენებული. სამარხის აღმოსავლეთის ნაწილში დადასტურებულია:

1. მინის სამაჯურის ნატეხი (66—971 111);
2. სპილენძის საყურე (66—971 : 112);
3. სპილენძის მძივსაკიდი (66—971 112);
4. სპილენძის ზარაკი (66—971:113);
5. სპილენძის საკიდი (66—971 : 112);
6. სპილენძის ბეჭედი—სპირალი (66—871 : 112).

სამარხი № 3 ქვაყუთია შეკრული თხელი ქვის ფილებით. დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხის გვერდები შედარებით უთავბოლოდ იყო მიწყობილი ბრტყელი ქვებით. სახურავად ოთხი ფილა იყო გამოყენებული. სამარხის დასავლეთ ნაწილში უწესრიგოდ მიყრილი სამი თავისქალა იყო დადასტურებული; ერთი თავის ქალა აღმოსავლეთის კედელთან იყო. ძვლები ერთმანეთშია არეული. სამარხის რამდენჯერმე გამოყენების გამო იგი თითქმის დარღვეული იყო. სამარხის სიგრძეა 2,10 მ. სიგანე — 0,85 მ. სიმაღლე — 0,7 მ. ზედაპირიდან სახურავი დაცილებული იყო 1,20 მ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. სპილენძის ორი რგოლი, თავგახსნილი (66—971 : 85);
2. რკინის ნივთის ნაშთი. აღდგენა ვერ მოხერხდა. დაიშალა;
3. სპილენძის საკიდი თუ საყურე;
4. მწვანე მინის სამაჯური მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილი ღეროთი (66—971 111);

სამარხი № 4 ბრტყელი ქვებით შეკრული ქვაყუთია. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. სამარხის სიგრძეა 1,95 მ, სიგანე 0,8 მ, სიმაღლეა 0,65 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,75 მ-ით, დადასტურებულია ერთი ჩონჩხი გაშოტილ პოზაში. ხელები ეწყო მკერდზე. ძვლები კარგად იყო შემონახული. ჩონჩხის სიგრძეა 1,65 მ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. სპილენძის სფერული საკიდი, ზარაკისებრი (66—971: 82);
2. სპილენძის ფარაკიანი ბეჭედი (66—871:78);
3. საყურეები, წვრილღეროვანი 3 ც. (66—971:81, ტაბ. LXVI—1);
4. ბრინჯაოს ზარაკისებური საკიდი (66—971 : 82):

სამარხი № 5 ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. შეკრულია ბრტყელი ქვებით. ჩრდილოეთის კედელს

შეადგენდა 2,12 მ სიგრძის ქვა, სამხრეთისას კი 2,1 მ სიგრძის ქვა. დასავლეთის კედლის ქვა 0,9 მ-ია, აღმოსავლეთის კედლის ქვა გადავარდნილი იყო და დამტვრეული. სამარხის სახურავი მიწას ზედაპირიდან დაცილებული იყო 0,3 მ. სამარხი ამოვსებული იყო მიწით. წმენდისას ზედაპირიდან 0,4 მ აღმოჩნდა ძვლები. ორი ჩონჩხი იყო გაშოტილი, ხელები ელაგა მკერდზე, თავები ეწყო დასავლეთის კედელთან. აღმოსავლეთის კედელთან მიყრილია უფრო ადრე დაკრძალული ოთხი მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილები. ორივე თავის ქალა უწესრიგოდ იყო მიყრილი სამარხის გვერდით. ძვლები კარგად იყო შენახული. შემორჩენილი ჩონჩხების სიგრძეა 1,75 და 1,80 მ. ორივე ჩონჩხი ერთდროული დაკრძალვისაა, დანარჩენი კი ადრეა დაფლული. სამარხში მასალა არ არის დადასტურებული (ტაბ. XLII—1).

ს ა მ ა რ ხ ი № 6 მდებარეობდა № 5 სამარხის ქვეშ. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. ქვაყუთი შეკრულია ბრტყელ ქვებით. სახურავად გამოყენებული იყო სამი ბრტყელი ქვა. სამარხის სიგრძე 1,65 მ, სიგანე 0,95 მ. ეს სამარხიც მრავალჯერ ჩანს გამოყენებული; უკანასკნელად დაკრძალულის ჩონჩხი კარგად იყო შემონახული. იგი იდო გაშოტილი, ქრისტიანულ პოზაში, ქვეშ კი ადრე დაკრძალულთა ძვლები იყო არეული. სამარხის დასავლეთ ნაწილში ერთიმეორეზე მიყრილი ოთხი თავის ქალა იყო დადასტურებული. სამარხი მიწის ზედაპირიდან 0,60 მ იყო დაცილებული (ტაბ. XLII—2).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბაცი მწვანე მინის სამაჯური ღეროდაგრეხილი (66—971 : 106 სურ; 11—1);

2. რკინის რგოლი ძლიერ დაჟანგული (66—971 107);

3. მძივები გიშრისა, მინისა, სარდიონისა და პასტის (66—971:105);

4. ბრინჯაოს საყურე, წვრილღეროვანი (66—971 : 108, სურ. 12—6);

5. შავი მინის სამაჯური, მრგვალგანაკვეთიანი (66—971 : 110 ტაბ. LX—3).

ს ა მ ა რ ხ ი № 7 ოთხი ბრტყელი ქვით შეკრული ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით, სახურავად რამდენიმე ქვა ედო. სამარხის სიგრძეა 2 მ, სიგანე 1 მ, სიმაღლე 0,5 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან დევს 0,6 მ. სამარხი მიწით იყო სავსე. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ერთი კარგად შენახული ჩონჩხი ქრისტიანულად დაკრძალული. ჩონჩხის ალაგების შემდეგ ჩრდილოეთის კედლის ქვეშ დარღვეული სამარხის ნაშთთან ერთად აღმოჩნდა შავი მინის სამაჯური (66—971:110, სურ. 13—1).

ს ა მ ა რ ხ ი № 8 დარღვეული ყოფილა და ამდენად სამარხის მოწყობის და ზომების მხრივ ვერაფერს ვიტყვით. მისი ცალკე აღნიშვნა იმდენად არის საჭირო, რომ აქ კვლავ ვხედავთ სამარხთა განლაგების ორსართულიანობას და საინტერესო სურათს იძლევა ძვ. გავაზის ეკლესიის გასამაგრებელ კედელთან დაკავშირებით. № 8 სამარხით ჩაჭრილია კედელი, რომელიც ალბათ იმავე ხანისაა, როცა ეკლესიის გასამაგრებელი კედელი იყო აგებული, ამავე დროს სამარხის

იატაკად გამოყენებულია ქვედა ფენის სამარხის (№ 9) სახურავი. ე. ი. ძველია № 9 სამარხი, შემდეგ ააშენეს გასამაგრებელი კედელი, მერე კი მოაწყვეს № 8 სამარხი, რომლითაც ჩაჭრეს კედელი.

სამარხი № 9 მდებარეობდა № 8 სამარხის ქვეშ. შედგენილია ბრტყელი დიდი ქვებით. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით, სამარხი-აკლდამა მოწყობის მხრივ გამოირჩევა სხვებისაგან. ჩრდილოეთის კედლის ქვა ერთი მთლიანი მონოლითია 2,2 მ სიგრძისა, სამხრეთის კედელიც ასეთივე ზომისაა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებს შეადგენენ თითო, 0,9 მ სიგანის ქვა. სამარხის სიმაღლეა 1 მ. მიწის ზედაპირიდან სამარხის სახურავი დაცილებულია 0,95 მ. სამარხი მიწით იყო სავსე. გაწმენდისას სამარხის ზედა ნაწილში 0,4 მ სიღრმეზე ერთი ჩონჩხი იყო (სიგრძე, 1,8 მ) ქრისტიანულ წესზე ჩასვენებული (ტაბ. XLIII).

აღნიშნული ჩონჩხის თავთან, სამარხის კუთხეში იდო თიხის ტუჩიანი დოქი. ჩონჩხის ალაგების შემდეგ კვლავ გამოჩნდა ძვლები, 6 თუ 7 ჩონჩხის ნაწილები უწესრიგოდ იყო არეული ერთმანეთში. ინვენტარი, რომელიც სამარხში იყო დადასტურებული, გარდა აღნიშნული დოქისა, ქვედა ჩონჩხებს უნდა მიეკუთვნოს.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ცალყურა დოქი სამყურა ბალახის მოყვანილობის პირით (66—971 116, ტაბ. XLIV) იდო სამარხის დასავლეთ ნაწილში, ზედა ჩონჩხის თავთან. მოჩანდა მისი პირი;

2. მინის თხელკედლიანი ჭურჭელი, რომელიც სულ პატარა ნატეხებად იყო ქცეული. ჭურჭელი რესტავრირებულია (66—971 : 117 ტაბ. LIII);

3. მინის სამაჯური. იდო სამხრეთის კედელთან (66—971 110);

4. რკინის ნივთების უფორმო ნატეხები;

5. პასტის, სარდიონის და მინის მძივები (66—971 115 ტაბ. LVII);

6. სპილენძის საკიდი (66—971 115);

7. სპილენძის საყურეების ნაწილები (66—971:114).

სამარხი № 10. ბრტყელი ქვებით შეკრული ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხის ჩრდილოეთსა და სამხრეთის კედლებს წარმოადგენენ ბრტყელი ქვიშაქვის ფილები. ორი დანარჩენი ვიწრო გვერდები კი ბრტყელი ფიქლის ნატეხებით არის შედგენილი. სამარხს სამი ბრტყელი ქვა ედო სახურავად. მისი სიგრძეა 1,95 მ, სიგანე 0,65 მ-ია. სახურავი მიწის ზედაპირიდან მდებარეობდა 0,5 მ. სამარხში დადასტურებული იყო სამი მიცვალებულის ჩონჩხი, აქედან ორი მათგანის ძვლები (ქვედა) ერთმანეთში იყო არეული, ზედა მესამე კი გაშოტილი იწვა, ქრისტიანულად დაკრძალულის პოზაში (ტაბ. XLIV).

ინვენტარი არ იყო დადასტურებული.

სამარხი № 11 ქვაყუთია. მიწის ზედაპირიდან მდებარეობს 0,3 მ-ზე, დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, სიგრძე 1,9 მ, სიგანე 0,8 მ. სამარხი ოთხი ქვით იყო შეკრული, გვერდებზე ქვიშაქვის ფილები ეწყო, თავსა და ბოლოში კი ფიქლის ფილები, სამარხში დადასტურებული იყო სამი ჩონჩხის ერთმანეთში არეული ნაწილები (ტაბ. XLV).

სამარხეული მასალა არ ყოფილა აღმოჩენილი.

სამარხი № 12, ქვაყუთია, შედგენილი ქვიშაქვისა და ფიქლის ფილებით. ზემოდან ედო ქვიშაქვის ორი ფილა და დაკეპნილი რომელიღაც რკინის იარაღით, სამარხი დამხობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთით, სიგრძე 2,2 მ, სიგანე 0,8 მ. სამხრეთის კედელი შედგენილია ერთი ქვიშაქვის ფილით, ასევეა თავსა და ბოლოში, ჩრდილოეთის კედელი კი არ არის შემორჩენილი. სამარხი რამდენიმეჯერ არის გამოყენებული დასაკრძალავად. ვერ დავადგინეთ თუ რამდენი ჩონჩხი იყო ჩასვენებული. ერთი თავის ქალის ნაწილები დასავლეთ კედელთან იყო მიხვეტილი. შესაძლებელია სამარხის მრავალჯერ გახსნის გამო ჩრდილოეთის კედლის ქვა სულ მოაცილეს.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ორად გატეხილი თიხის ჯამი, რომელიც აღდგა. თიხა უხეშად არის დამუშავებული, იდო სამხრეთის კედელთან (66—971:127, სურ. 14);

2. გრეხილღეროვანი სამაჯური, იდო დასავლეთის კედელთან. სამაჯური აღმოჩნდა სამარხის ძვლების ალაგების შემდეგ ოციოდე სმ-ზე (66—971 : 128 სურ. 11—2, ტაბ. LVIII—2);

3. ფაიანსის მძივები (66—971 129, ტაბ. LIV—1).



სურ. 11. მინის სამაჯურები (66—971:106; სამ. № 6; 66—971:128; სამ. № 12).

სამარხი № 13 ქვაყუთია, ნაწილობრივ დაზიანებული, დამხობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, აკლია ჩრდილოეთის კედლის ერთი ნაწილი, ზემოდან ბრტყელი ქვები ეხურა, სიგრძე 1,8 მ, სიგანე 0,9 მ. ძვლები ერთმანეთში იყო არეული, ეტყობა სამარხი ხშირად იხსნებოდა ხელახალი დაკრძალვისათვის. ინვენტარი არ არის აღმოჩენილი.

სამარხი № 14 ნაწილობრივ დარღვეულია. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, ზემოდან ეფარა პატარა ბრტყელი ფილები. ჩრდილოეთის კედლად გამოყენებული იყო № 15 სამარხის კედელი, დანარჩენი კედლები არ არის შემორჩენილი. სამარხში მხოლოდ ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული, გაშოტილი, ქრისტიანული დაკრძალვის წესით. ინვენტარი არ არის დადასტურებული.

სამარხი № 15 დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, ქვაყუთია. ირგვლივ შემოწყობილი აქვს ბრტყელი ქვები, ზემოდანაც დაფარულია ფილებით, მდებარეობდა № 14 სამარხის გვერდით, ინვენტარი არ ყოფილა დადასტურებული.

სამარხი № 16 ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით (ტაბ. LI—3). ზემოდან უსწორმასწოროდ ელაგა ბრტყელი ქვები. თავსა და ბოლოში კედლები შედგენილი იყო ფიქლის ფილებით. ჩრდილოეთის კედლად გამოყენებული იყო ერთი მთელი ქვიშაქვის ფილა, სახურავი დაცილებულია მიწის ზედაპირიდან 0,6 მ-ით, სიგრძე 1,7 მ, სიგანე 0,65 მ. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ძხოლოდ ერთი ჩონჩხი, გაშოტილი. ჩონჩხის სიგრძეა 1,65 მ, ტანის ზედა ნაწილის ძვლები ცუდად იყო შენახული. № 16 სამარხით ჩაჭრილი იყო სანახევროდ სხვა სამარხი და დაზიანებული. დაზიანებულ სამარხში აღმოჩნდა ორი გრეხილტანიანი მინის სამაჯური (66—971 : 130. სურ. 15—1 ტაბ. LVIII —4) და მძივები (66—971 132).

სამარხი № 17 ქვაყუთია, შემოწყობილი მომცრო ზომის ბრტყელი ქვებით, ასეთივე ქვები ეფარა ზემოდანაც. დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთით, ერთი ჩონჩხი იყო. დადასტურებული გაშოტილ პოზაში, გულხელდაკრეფილი. ინვენტარი არ ახლდა.

სამარხი № 18 ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, ოდნავ გადახრით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ქვიშაქვის თითო ფილით არის შედგენილი. დასავლეთის კედელი ფიქალია, აღმოსავლეთისა კი ფიქალი და ქვიშაქვა. სამარხის სიგრძეა 2,5 მ, სიგანე 1 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,8 მ. სამარხში ერთი ჩონჩხია დადასტურებული, გაშოტილი, ხელებით მუცელზე. ჩონჩხის სიგრძე 1,6 მ. იგი იდო ჩრდილოეთის კედელთან, სამხრეთის კედელი დანგრეულია და იქ ქვები იყო ჩაწყობილი (ტაბ. XLVI).

სამარხში აღმოჩნდა ძვლის ღილი კვირისტავის ფორმისა (66—971 135) და სარდიონის მძივი (66—971 : 136).

სამარხი № 19 ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. კედლები ქვიშაქვის თითო ფილით არის შედგენილი. სიგრძე 2,1 მ, სიგანე 0,8 მ. მიწის ზედაპირიდან სახურავი მდებარეობდა 0,9 მ-ზე. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ერთი ჩონჩხი (სიგრძე 1,75 მ), გაშოტილი, ხელებით მუცელზე. ინვენტარი არ არის დადასტურებული. სამარხის იატაკი ქვითკირით იყო მოგებული. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ სამარხს იატაკი ჰქონდა (ტაბ. XLVI).

სამარხი № 20, თხელი ფიქლებით შეკრული ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, სახურავადაც ფიქალია გამოყენებული. სიგრძე 1,7 მ, სიგანე 0,75 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,7 მ. დადასტურებულია ორი ჩონჩხი, ნაწილობრივ არეული. თავები დასავლეთით ეწყო (ტაბ. LXVII).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სპილენძის მავთულისაგან შეკრული ჯაჭვი (66—971 : 141);
2. ძვლის ღილი (66—971 138);
3. შავი მინის სამაჯური, სადა (66—971:139, სურ. 15—3, ტაბ. LVIII—3);
4. შავი მინის სამაჯური (66—971: 140).

სამარხი № 21 დიდი ზომის ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხის კედლები შედგენილია თითო ქვიშაქვის ბრტყელი ფილით. ქვაყუთის სიღრმე 1 მ აღწევდა. მისი სახურავი ზედაპირიდან დაცილებულია 0,9 მ, სიგრძე 2,10 მ, სიგანე, 1,2 მ. სამარხი მიწით იყო სავსე. გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის რამდენიმეჯერ არის გახსნილი და სამარხად გამოყენებული. უკეთ იყო შემონახული ზედა მიცვალებული, რომელიც ქვაყუთის ჩრდილოეთ ნაწილში იყო მოთავსებული (სიგრძე 1,65 მ). იწვა გაშოტილი, ზელებით მუცელზე. აღნიშნული ჩონჩხის ქვეშ კიდევ სამი ჩონჩხის ნაშთები იყო დადასტურებული, ერთმანეთში არეული. ზედა ჩონჩხი ქვედა პირველი ჩონჩხიდან დაცილებული იყო 0,6 — 0,65 მ (ტაბ. XLVIII). სამარხში აღმოჩნდა:

1. ბაცი ლურჯი მინის სადაზედაპირიანი სამაჯური (66—971:143, სურ. 15—2, ტაბ. LX—1);

2. მწვანე მინის ღეროგადაგრეხილი სამაჯური (66—971: 142, სურ. 13—2; ტაბ. LIX—3);

3. ვერცხლის ბეჭედი, მრგვალფარაკიანი (66—971:144);

4. დამტვრეული რკინის ბეჭედი (66—971 : 145);

5. სპილენძის ორი საკიდი ყუნწით, სფერული ტანით და კონუსისებრი წვეტით ბოლოში (66—917 : 147, სურ. 16);

6. მინის თხელკედლიანი ჰურჭლის ნატეხი (66—971:148, ტაბ. LXIII—1);

7. მოჭიქული ჯამის ნატეხი (66—971:149);

8. მინის მრგვალ-ბრტყელი მძივები (66—971 : 146).

სამარხი № 22 ქვაყუთია შედგენილი ოთხი ქვიშაქვის ფილით. სიგრძე 1,9 მ, სიგანე დასავლეთ ნაწილში 0,1 მ, აღმოსავლეთ ნაწილში 0,7 მ. სახურავი ზედაპირიდან დაცილებულია 0,2 მ. სამარხი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხში ძვლები ერთმანეთშია არეული უწესრიგოდ, ალბათ არაერთჯერადი დაკრძალვის გამო.

სამარხში აღმოჩნდა:

1. სპილენძის 2 ც. სამაჯური წვრილღეროვანი (66—971:151, სურ. 17);

2. რკინის სამაჯურის ნატეხები (66—971:150);

3. ვერცხლის (?) ბეჭედი თვალბუდით, ბუდეში ჩასმულია მინის (?) თვალი (66—971 : 153);

4. მძივები;

5. სპილენძის სამაჯური, ბრტყელი რკალით (66—971 152).

სამარხი № 23 ქვაყუთია შედგენილი ქვიშაქვის ფილებით. სახურავად გამოყენებული იყო ფიქლის თხელი ნატეხები. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სიგრძე 2 მ, სიგანე 0,9 მ. სახურავი ზედაპირიდან დაცილებული იყო 1 მ-ით. სამარხი მიწით იყო სავსე. ქვაყუთის ჩრდილოეთ კედელთან გაიწმინდა თითქმის მთელი ჩონჩხი, რომელიც იდო გაშოტილი. სამხრეთის კედელთან მეორე ჩონჩხის ნაშთი იყო, ფეხებთან კი ერთი სხვა თავის ქალა იდო. ეს მიუთითებს, რომ არაერთჯერად დაკრძალვასთან გვაქვს საქმე (ტაბ. XLIX).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბრინჯაოს ჯვარი დაბალრელიეფიანი ჯვარცმის გამოსახულებით, ყუნწიანი (66—971 : 156, სურ. 18, ტაბ. LXVI—5);

2. სპილენძის სამაჯური, ღეროგადაგრეხილი, ბრტყელი ბოლოებით (66—971 157, სურ. 19—1);

3. ვერცხლის ბეჭედი ბრტყელი ღეროთი (66—971:158, სურ. 19—2);

4. ვერცხლის ბურთულა საკიდი ჩამოსხმული, ორნამენტირებული (66—971:162, სურ. 12—1);

5. სარდიონის მძივები (66—971 159);

6. მინის, ქვის, მოჭიქული ფაიანის მძივები (66:971:160:161, სურ. 12).

სამარხი № 24 ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. ქვაყუთი შედგენილია ქვიშაქვის ფილებით, სიგრძე 2,1 მ, სიგანე 0,7 მ. სახურავი მიწის ზედაპირიდან მდებარეობს 0,8 მ-ზე. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ერთი ჩონჩხი და მის ფეხებთან უფრო ადრე დაკრძალულთა ორი თაიის ქალა. სამარხში ნივთები არ იყო დადასტურებული.

სამარხი № 25 ქვასამარხია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხი შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. სიგრძე 1,8 მ, სიგანე 0.7 მ. სახურავი რამდენიმე ქვისაგან არის შედგენილი. მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0.6 მ. დადასტურებულია ერთი ჩონჩხი, გაშოტილი გულაღმა მწოლიარე. სამარხეული მასალა არ არის დადასტურებული (ტაბ. L—1)

სურ. 12. სამარხეული ინვენტარი: 1. ვერცხლის საკიდი (66 — 971.128; სამ. № 23); 2. მთის ბროლის მძივები (66—971:160; სამ. № 23); 3. სარდიონის მძივი (66—971:105; სამ. № 6); 4. მძივები (66—971:160; სამ. № 23); 5. ბრინჯაოს საკიდი (66 — 971:113; სამ. № 2); 6. მძივიანი სასაფეთქლე რგოლი (66—971: 108), სამ. № 6

სამარხი № 26 დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. შედგენილია პატარა ზომის ფილებით და ნაგლეჯი ქვებით. ზევიდანაც ასეთი ქვები ეფარა.

სახურავი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,7 მ-ით. სიგრძეა 1,6 მ, სიგანე 0,6 მ. სამარხში ერთი ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელიც იდო გულაღმა, გაშოტილი (ტაბ. L—2).



სურ. 13. მინის სამაჯურები (66—971:110, სამ. № 7, 66—971:142; სამ. № 20)

სამარხში დადასტურებულია:

1. მომწვანო პასტის თვლები (2 ც. 66—971 166);
2. სპილენძის ხვია (66—971 : 167);
3. სპილენძის საყურე, მრგვალღეროვანი (66 : 971 170);
4. ორი მომცრო მონეტა გახვრეტილი (66—971:168, 169). გულზე ჩამოსაკიდებლად გამოყენებული. სავარაუდოდ მიეკუთვნება თურქულ აყჩეებს:

სამარხი № 27 ქვაყუთია, შეკრული ოთხი მსხვილი, გათლილი ფილით. ზემოდანაც ორი ასეთივე ბრტყელი ქვა ეხურა. სამარხი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხი მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,5 მ-ით. სიგრძე 1,9 მ, სიგანე 0,9 მ. სამარხში სხვადასხვა დროს დაკრძალული ორი მიცვალებულის ჩონჩხი იყო დადასტურებული. ძვლები ერთმანეთში იყო არეული. სამარხი უინვენტაროა (ტაბ. L—3).

სამარხი № 28 ქვაყუთია, შეკრული ოთხი ბრტყელი ქვისაგან. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხის გვერდები ქვიშაქვის ფილებია, თავსა და ბოლოში კი ფიქალია, სიგრძე 1,95 მ, სიგანე 0,9. სახურავი ზედაპირისაგან დაცილებულია 0,55 მ-ით. ძვლები არეულია. სამარხში აღმოჩნდა სარდიონის გიშრის და მინის მძივები (66—971 155).

სამარხი № 29 უფრო ქვაყუთის ნაშთს წარმოადგენს, რადგანაც გარდა იმისა, რომ ძვლები იყო არეული ერთმანეთში, ქვის ფილებიც ისეთნაირად იყო განლაგებული, რომ ვერც სამარხის ზომებსა და ვერც მის დამხრობას ვერ ვიძლევით. არც სამარხეული ინვენტარი იყო დადასტურებული (ტაბ. LI—1).

სამარხი № 30 ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. იგი შეკრულია ქვის ფილებით. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები ორ-ორი ქვითაა შედგენილი. თავსა და ბოლოში კი თითო ფიქალია ჩადგმული. სახურა-

ვად პატარა ზომის ბრტყელი ქვები იყო გამოყენებული. სიგრძე 1,95 მ, სიგანე 0.6 მ. მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,55 მ-ით. სამარხში ერთი ჩონჩხი იყო დადასტურებული, იდო გულაღმა გაშოტილი, ხელებით მკერდზე. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 31 შედგენილია რიყისა და ნაგლეჯი ქვებით. ზემოდანაც რამდენიმე ქვა ეფარა, სიგრძე 1,95 მ, სიგანე 0,65 მ. ზედაპირიდან სამარხის სახურავი დაცილებული იყო 0,5 მ. ჩონჩხის ძვლები ერთმანეთში იყო არეული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 32 ქვაყუთია თლილი ქვებით შეკრული. ზემოდანაც ასეთივე ორი ქვა ეფარა, სიგრძე 1,9 მ, სიგანე 0,7 მ, მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 0,4 მ. სამარხში ძვლები უწესრიგოდ იყო შემოფანტული (ტაბ LI—2).

დადასტურებულია მხოლოდ ერთი სპილენძის საყურის ნაწილი (66—971 170, სურ. 16—3).

სამარხი № 33 თლილი ქვებით შედგენილი ქვაყუთია. სახურავადაც გათლილი ქვები ეფარა. დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთით, სიგრძე 2 მ, სიგანე 0,95 მ. მიწის ზედაპირიდან სახურავი დაცილებულია 0.9 მ. სამარხი მიწით იყო სავსე. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ორი ჩონჩხი, თავებით დასავლეთით.

სამარხში დადასტურებულია:

1. ძვლის და მინის მძივები 18 ც. (66—971 : 172);

2. სპილენძის რგოლი და ფირფიტა (ბეჭდის ფარაკი? — 66—971 171).

სამარხი № 34 ქვაყუთია გათლილი ქვებით შედგენილი. ზემოდანაც ასეთი ქვები ეფარა. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. ირგვლივ შემოუყვებოდა ქვითა და აგურით, კირის ხსნარზე ნაშენი დაახლ. 20 სმ სისქის კედელი. სამარხის სიგრძეა 2,15 მ, სიგანე — 0,8 მ. ზედაპირიდან დაცილებულია იგი 0,7 მ-ით, სამარხში ერთმანეთში არეული ოთხი ჩონჩხი იყო დადასტურებული (ტაბ. LII).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ფაიანსის ცისფრად მოჭიქული მძივი (66—971 174);

2. შავი მინის სამაჯურების ნატეხები (ერთი სადაზედაპირიანი, ერთი გრეხილღეროვანი (66—971 173).

სამარხი № 35 ქვაყუთია გათლილი ქვებით შეკრული, ზემოდანაც 2 ასეთი ქვა ეფარა. ქვაყუთი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სიგრძე 2 მ, სიგანე 0,8 მ. ზედაპირიდან სახურავამდე 0,8 მ-ია. დადასტურებულია ერთი ჩონჩხი გულაღმა დაკრძალული მიცვალებულისა. ჩონჩხს თავი არა ჰქონდა.

სამარხში აღმოჩენილია:

1. სარდიონის და მინის 5 ც. მძივი (66—971 176);

2. შავი მინის სამაჯური, გრეხილღეროვანი (66-971:178, სურ. 20—4; ტაბ. LIX—4);

3. ფაიანსის მედალიონის ნატეხი, შემორჩენილია ზედა ნაწილი ყუნწით (66—971 177, სურ. 20—2).

სამარხეული მასალა მეტნაკლებად 19 სამარხში იყო დადასტურებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამარხეული ნივთების სიმცირეს, ის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

თიხის ჭურჭელი სამარხში 5 ნიმუშით არის წარმოდგენილი. აქედან ერთია დოქი სამყურა ბალახის მოყვანილობის პირით (ტაბ. XIV—1), მეორე ჯამი სადაზედაპირიანი (ტაბ. XV—2), ერთი ჩაიდნისებური პატარა ჭურჭელი (ტაბ. XV—1) და ორიც მოჭიქული ნატეხი. მოჭიქული ნატეხები შემთხვევით უნდა იყოს სამაოხებში მოხვედრილი და ამდენად მათზე არ გავაგრძელებთ ლაპარაკს. რაც შეეხება ჯამსა და დოქს, ისინი ყოველდღიური სახმარი ჭურჭლეულის ნიმუშებს განეკუთვნებიან. დოქის შესახებ საგანგებოდ იქნება საუბარი დათარიღების საკითხების განხილვისას. ის გვიანი შუა საუკუნეების ნაწარმის ტიპიური ნიმუშია, რამაც საშუალება მოგვცა სამაროვნის ზედა საზღვარი შემოგვეფარგლა, რაც შეეხება ჯამს, ის მეთორმეტე სამარხში იყო დადასტურებული. თიხა მოვარდისფროდ არის გამომწვარი. ზემოთ აღნიშნული დოქის მსგავსად, არც ეს არის მაღალი გემოვნების ხელოსნური ნაწარმი. ჯამს არა აქვს სწორი პროპორციები, უხეშია ნამუშევარია. მისი ფორმა რამდენადმე უჩვეულოა. ბრტყელი ძირი ოდნავ გამოყოფილია ტანისაგან, პირი ვერტიკალური აქვს. იგი ფორმით მსგავსებას ამჟღავნებს კოპალეზე გათხრილ სამშედლოში აღმოჩენილ ჯამთან. სამარხში ჯამთან ერთად დადასტურებული გრეხილღეროვანი მინის სამაჯური და ფაიანსის მძივები, მისი კარგად ცნობილი სამარხეული კომპლექსის თანადროულად გამოცხადების ნებას გვაძლევენ, თუმცა ჯამს ერთ-



სურ. 14. თიხის ჯამი (65—971:127; სამ. № 12)

გვარი დისონანსი შეაქვს თავისი შედარებით მოგვიანო იერით და არ არის გამორიცხული ისეთივე შემთხვევასთან გვქონდეს საქმე, როგორიც იყო აღწერილი № 9 სამარხის განხილვის დროს. სამარხი, რომელშიაც ჯამია დადასტურებული (№ 12), სხვა სამარხებისაგან არ გამოირჩევა მოწყობის თუ დამხრობის მხრივ. მასაც აშკარად ემჩნევა, რომ რამდენიმეჯერ არის გამოყენებული. ვერ შევძელით ჩონჩხების რაოდენობის დადგენაც, სამარხში ისევე როგორც № 12 სამარხში ორი ქრონოლოგიური ფენა განირჩევა XII—XIII საუკუნეებისა,

ფაიანსის მძივებისა და მინის სამაჯურის მიხედვით და გვიანი შუა საუკუნეებისა, აღნიშნული ჯამის გამო.

1970 წლის გათხრების დროს სამარხებს შორის აღმოჩნდა თხელკედლიანი, ცალყურა ჭურჭელი, რომელსაც ჩაიდნისებური ნისკარტი აქვს. აღმოჩენის აღგილის მიხედვით იგი შეიძლება რომელიმე დარღვეულ სამარხს დავუკავშიროთ. ნაწარმის კეცი კარგად მოზელილი თიხისაა, მოთეთროდ არის გამომწვარი. ბრტყელი ძირი აქვს და განიერი მუცელი. ყური ბრტყელი აქვს, პირი ვიწრო (ტაბ. LXV—1). ჭურჭლის ფორმა მეტად ორიგინალურია და ჩვენთვის ცნობილი კერამიკული ნაწარმის კომპლექსებში არ მოეძებნება პარალელები. დაახლოებით მსგავსებული, სპილენძის ტუჩიანი მომცრო ჭურჭელი აღმოჩენილია რუსთავის ნაქალაქარზე XI—XII სს. სამაროვანზე (სამარხი № 21). რუსთავის ნივთი თხელი სპილენძის ფურცლისაგანაა დამზადებული[8]. გავაზური ჭურჭლის, ისევე როგორც რუსთავის ნივთის, ორი მხარე იქცევს ყურადღებას. ერთი, რომ უცნაური ფორმისაა და მეორე, რომ მცირე ზომისაა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მის უტილიტარულ დანიშნულებას. ისინი თუმცა თავისი ფორმით მიემსგავსებიან მუსლიმურ სამყაროში გავრცელებულ და ისლამის რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებულ ჩაიდნისებურ ჭურჭელს — იბრიყს[9], მაგრამ ძნელია მათთან დაკავშირება დანიშნულების მიხედვით. ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ის გარემოება, რომ როგორც რუსთავის ისე გავაზის ჭურჭლები ეკლესიის სიახლოვეს არიან აღმოჩენილი და მათი „იბრიყობა" ამდენად სრულიად გამორიცხულია. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ ჭურჭელი მეტად პატარა ზომისაა. ასევე თვალში საცემია ის გარემოება, რომ მას პატარა და ვიწრო პირი აქვს, ასევე ვიწროხვრელიანი ტუჩი, რაც მიუთითებს, რომ ჭურჭელში ასხამდნენ არა წყალს ან ღვინოს, არამედ რაღაც ნაკლებად გასამეტებელ, ძვირადღირებულ სითხეს. ყოველივე ეს და მათი აღმოჩენის ვითარება (ეკლესიასთან ახლოს) უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური პატარა ზომის ნივთები გამოიყენებოდა ეკლესიებში რომელიღაც რიტუალის შესრულებისას, წმინდა ნაკურთხი სითხის, ზიარების (?) მიღების დროს.

მინის ნაწარმი

მინის ნაკეთობანი სამაროვანზე წარმოდგენილია ორი ჭურჭლის, მძივების და სამაჯურების სახით. მინის ერთი ჭურჭელი თითქმის მთლიანად აღდგა, ისე რომ, მის შესახებ დასრულებული წარმოდგენა გვექნება. იგი მოთეთრო მინისაგანაა დამზადებული, თხელკედლიანია, ძირშეზნექილი, ვიწრო ყელითა და პირით, ყური მოტეხილი აქვს (ტაბ. LIII). აღმოჩნდა № 9 სამარხში. ძლიერ მიაგავს რუსთავისა[10] და სიონის[11] სამაროვნებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს.

[8] ლ. ჭილაშვილი, ქალა ქი რუსთავი, გვ. 139—140, ტაბ. XXXII—I.

[9] გ. კვირკველია, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 44—69.

[10] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი, რუსთავი, ტაბ. XXVII—2.

[11] რ. რამიშვილი, სიონი, ტაბ. XXI—4; XXXII (86).

რა თქმა უნდა, ერთი ჰურჭლის მიხედვით შეუძლებელია ვრცელი დასკვნების გამოტანა, თუმცა ამის უკიდურესი საჭიროება არსებობს, რამდენადაც XI—XIII საუკუნეების ფენებში თუ სამარხებში, არც თუ იშვიათად, ჩნდება ხოლმე მინის ნაწარმი, უპირატესად პატარა ნატეხების სახით, რომლის მიხედვითაც ფორმების აღდგენა ჭირს და ის ერთეული შემთხვევა, რომელიც მათი სახის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს, განსაკუთრებულ მოვლენათა რიცხვში უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, მეორე არანაკლები ფაქიზი და თხელკედლიანი ნივთის ფორმის აღდგენა, იმ პატარა ფრაგმენტების სახით, რომელიც დადასტურებული იყო № 21 სამარხში, ვერ მოხერხდა (ტაბ. LXIII). ღია მომწვანო ფერის მინის, თხელი და დაბალი რელიეფით დამუშავებული ნატეხები ეჭვს გარეშეა ეკუთვნის რომელიმე ნაწარმს, რომელიც ვერ ჩაითვლება ფართოდ გავრცელებულ საგნად და უფრო ფუფუნების ელემენტების მატარებელია. შემორჩენილი პირის ნატეხების მიხედვით შესაძლოა საქმე გვქონდეს მაღალტანიან, პირგადაშლილ სასმისთან. ვარაუდით, ის შეიძლება სიონში აღმოჩენილი ზოგი ნაწარმის იდენტურად მივიჩნიოთ[12].

სამარხებში ყველაზე უკეთ მინის სამაჯურებია წარმოდგენილი. აღმოჩენილია ათი მთელი სამაჯური და რამდენიმე ნატეხების სახით. უკლებლივ ყველა სამაჯური რკალშეკრულია, სადა ან დაგრეხილი ტანით. მიუხედავად საერთო იერისა, სამაჯურები ტექნოლოგიური და მხატვრული ხერხებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამაჯურის დასამზადებლად გამოყენებულია შავი, მონაცრისფრო, მომწვანო და ლურჯი მინა. წარმოდგენილია შემდეგი სახის სამაჯურები:



სურ. 15. მინის სამაჯურები (66—971:130; სამ. № 12; 66—971:143; სამ. № 21; 66—971; 139; სამ. № 20)

1. სადაზედაპირიანი, განაკვეთში ბრტყელი სამაჯურები. რომ არაფერი ვთქვათ პატარა ნატეხებზე, ასეთი სახის მთელი სამაჯურიც არის დადასტურებული № 20 სამარხში (66—971 139. სურ. 15—3). ისინი სხვებთან შედარებით მასიურებია (დიამეტრი — 9 სმ, კვეთა 1,1 სმ) და როგორც წესი დამზადებულია შავი მინისაგან.

[12] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXII (47, 52, 416-4).

2. სადაზედაპირიანი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, მზადდებოდა შავი ან ლურჯი მინისაგან (66—971:143, სურ. 15—2, ტაბ. IX—1). ღეროს გადაბმის ადგილი წიბოვანია ან დაბრტყელებული.

3. ღეროდაგრეხილი სამაჯურები. აღნიშნული სამაჯურები შეიძლება გავარჩიოთ ღეროს წნულის მიხედვით: ა) თანაბარწნულიანი, ვიწრო ძაფებით (66—971:130, 178, სურ. 20—4), და თანაბარწნულიანი მსხვილი ძაფებით (66—971 131, სურ. 20—5). ასეთი სამაჯურები დამზადებულია შავი და მოლურჯო მინისაგან. ბ) არათანაბარწნულიანი სამაჯურები, რომელთა შორის განსაკუთრებით ეფექტურია № 20 სამარხში აღმოჩენილი მწვანე მინის სამაჯური (66—971:142, სურ. 13—2). გ) ფერდაწნულიანი სამაჯურები, წარმომადგენელია ერთი მთელი ნიმუშით, აღმოჩნდა სამაროვნის ტერიტორიაზე (66—971:205, სურ. 22—1). სამაჯურის ღერო მიღებულია შავი (ძირითადი), ცისფერი და ყავისფერი მინის ძაფების გრეხით. დ) არათანაბარკალიანი სამაჯურები წარმოდგენილია მთელი ნიმუშებით (66—971:106, სურ. 11—1), დამზადებულია მწვანე მინისაგან. ღერო არათანაბარი სიგანისაა.

მინის სამაჯურების დამზადებისას ყველაზე სუსტი წერტილი იყო ღეროს გადაბმის ადგილი. ზოგ სამაჯურზე მას აბრტყელებდნენ, ზოგს წიბოებით ამკობდნენ, შეერთების ადგილზე, თანაბარ გადასვლას, როგორც ჩანს, მაღალი კვალიფიკაცია სჭირდებოდა. ამ მხრივ, გავაზური მასალების მიხედვით, ყველაზე უკეთ თანაბარწნულიანი სამაჯურებია მიღებული.

რაც შეეხება მინის სამაჯურების თარიღს, ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო იძულებული ვიქნებით ვრცელ ქრონოლოგიას დავეყრდნოთ. როგორც ცნობილია მინის სამაჯურების თარიღი დღესდღეობით საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული IX საუკუნიდან ვიდრე XIV ს-მდე[13]. ჩვენც, რამდენადაც სხვა მონაცემებით ვერ ვაზუსტებთ, იძულებული ვართ ასეთი თარიღის შესახებ ვიმსჯელოთ გავაზური მინის სამაჯურებისათვის, თუმცა წინასწარ უნდა ითქვას გავაზის სამაროვნისათვის IX ს. ალბათ არ იქნება მისაღები, რამდენადაც ამ პერიოდის მასალა სამარხეულ ინვენტარში ჩვენ არ გვეგულება.

სამაჯურების განხილვისას ყურადღების გამახვილებაა საჭირო ზოგიერთ პარალელურ მასალაზე, კერძოდ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ნატბეურის მინის საწარმოში აღმოჩენილი სამაჯურები. მისი გამთხრელი და ინტერპრეტატორი ნ. უგრელიძე, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად ფიქრობს, რომ „ნატბეურის სახელოსნოში დამზადებული ნივთები თბილისის, დმანისის, რუსთავის მინის ჭურჭელთან და მინის სამაჯურებთან შედარებით ერთფეროვანი და გაცილებით მდარე ხარისხისაა“[14]. მინის სამაჯურების ავტორისეულ ოთხივე ტიპში უდიდესი უმეტესობა შავი მინისაგან დამზადებული სამაჯურებია. აქ ვერ ვხედებით მინის, როგორც ნედლეულის მრავალფეროვნებას. როგორც სხვა მასალების მიხედვით ჩანს, შეუძლებელია ეს რაიმე სერიოზული მიზეზით არ აიხსნას. კერძოდ, ნატბეურის ნაწარმის თარიღის შესახებ უნდა

[13] რ. დოღაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVIII—B, გვ. 102.

[14] ნ. უგრელიძე, ნატბეურის მინის საწარმო, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, გვ. 65.

აღინიშნოს, რომ მონეტების მიხედვით ის XIII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIV საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული[15]. ეს ის პერიოდია, როდესაც შეიმჩნევა საერთოდ დაცემა საქალაქო წარმოების სხვა სახეებშიც. ადრე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა თიხის ნაწარმის ერთ სახეზე, რომელსაც მოჭიქული კერამიკის იმიტაციები ეუწოდეთ და რომლის წარმოებაც ამ პერიოდზე (XIII ს. ბოლო, XIV ს.) უნდა მოდიოდეს. ხარისხობრივი გარდატეხა მინის სამაჯურებშიც XI—XIII სს. და XIII—XVI სს. შორის აშკარა უნდა იყოს და ალბათ უფრო სამართლიანი იქნება თუ ასეთ განსხვავებას ქრონოლოგიური მონაცვლეობით ავხსნით. ყოველი შემთხვევისათვის გავაზური მინის სამაჯურების ერთი ნაწილი ღახვეწილი ფორმების და კარგი ხარისხის ნედლეულის გამო ალბათ უფრო XII—XIII საუკუნეებისაა[16]. ზოგი კი ნატბეურის ნაწარმის მსგავსად ცოტა მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება.

სამარხებში მინის ნაკეთობანი, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წარმოდგენილია მძივების სახითაც. ამზადებდნენ როგორც თეთრ ისე ფერად მძივებსაც (სურ. 20—1; ტაბ. LVIII—1).

თუ სამარხეულ მასალას გადავხედავთ, ის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სამკაულებით არის წარმოდგენილი. მინისაგან დამზადებული სამაჯურებისა და მძივების გარდა აღმოჩნდა ლითონის სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ასევე მინერალებისაგან გამოთლილი მძივები, მძივ-საკიდები და სხვ.

ლითონის ნაწარმი

სამაჯურები

მინის სამაჯურების გარდა სამარხებში დადასტურებულია ასევე ლითონის სამაჯურებიც. სამწუხაროდ, რკინის სამაჯურების შესახებ ცუდი დაცულობის გამო ბევრს ვერაფერს ვიტყვით. შედარებით უკეთაა შენახული № 21 და № 35 სამარხებში აღმოჩენილი რამდენიმე სამაჯური (66—671:150; 179).

ცალკე უნდა აღინიშნოს სამაროვანზე აღმოჩენილი სპილენძის ხუთი სამაჯურის შესახებ, აქედან სამი წვრილღეროვანია, დაბრტყელებული ბოლოებით, ორი კი ბრტყელი. სამივე წვრილღეროვანი სამაჯური ერთი ტიპისაა: ერთ მათგანს ეტყობა დაგრეხილი ღერო ჰქონია (66—71:157, სურ. 19—1). აღმოჩნდა № 23 სამარხში. ღეროს ბოლოები დაბრტყელებულია და მცირედ ნაკლული. ორი დანარჩენიც ბოლოებდაბრტყელებულია (66—971 151, სურ. 17), ზედ გველისთავებია გამოსახული[17].

სპილენძის ორი სამაჯური ბრტყელია, შემკული წერტილოვანი ორნამენ-

---

[15] ნ. უგრელიძე, იქვე; მისივე; მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, გვ. 13.

[16] პარალელურ მასალად უფრო რუსთავის XII—XIII სს. სამაროვანზე აღმოჩენილი მინის სამაჯურები გამოვიყენეთ (ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 140, ტაბ. XXXIII).

[17] ანალოგიური სამაჯურები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიაში ზემეისკის სამაროვანზე. დათარიღებულია X—XII სს. В. А. Кузнецов. Исследования змейского катакомбного могильника в 1958 г, МИА, 114. табл. IV—2,3.

ტით. ერთი პატარა ზომისაა (დიამეტრი 3,1 სმ. აღმოჩნდა სამარხებს შორის ნაშალ მიწაში, 66—971: 204, სურ. 23), წერტილოვანი ორნამენტია ზედ გამოყვანილი. ცენტრალურ ნაწილში რომელიღაც ცხოველის (?) გამოსახულებაა მოცემული. მეორე სამაჯური ნაკლულია. იგი ჩანს სახსრიანი ყოფილა. შემორჩენილია სახსრის ერთი ნაწილი (აღმოჩნდა № 35 სამარხში, 66—971: 179, სურ. 24). ზედ გამოსახულია პატარა წერტილ-წრეებში ჩასმული გეომეტრიული მოტივები.



სურ. 16. 1. ბრინჯაოს საკიდები (66—971:147; სამ. № 21); 2. ბრინჯაოს საყურის რგოლი (66—971:10. სამ. № 32); 3. ვერცხლის ბეჭედი (66—971:144; სამ. № 21).

ფეოდალური ხანის სამაროვნებზე რკინის და სპილენძის სამაჯურების აღმოჩენები უკვე აღარ შეიძლება მიეწეროს ერთეულ შემთხვევას. რუსთავის, დმანისის, სიონის, თბილისის გათხრებმა უკვე ხელშესახები მასალა მოგვცა აღნიშნული სახის ნაწარმის შესახებაც, თუმცა საერთო სურათის წარმოდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რამდენადაც მასალის დიდი უმეტესობა გამოუქვეყნებელია.

საყურეები და სასაფეთქლე რგოლები

საყურეები რამდენიმე სამარხშია აღმოჩენილი. ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ სამარხების მრავალჯერ გახსნის და ხელახალი გამოყენების გამო სამარხეულმა მასალამ ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია. ეს არის ყველაზე თვალში საცემი და დამახასიათებელი ნიშანი ფეოდალური ხანის სამაროვნებისათვის. საყურეებიც, რომლებიც დადასტურებული იყო სამარხებში, ძლიერ ნაკლულია და დაზიანებული. გასაგები მიზეზების გამო უფრო ნაკლულად გამოიყურება მრავალნაწილიანი საყურეები. როდესაც საყურეების შესახებაა მსჯელობა, პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ცალი ვერცხლის საყურე, რომლებიც ბურთულებით ყოფილან შემკული (66—971 164. სამარხი № 23, სურ. 19—3; 66—971:108, სამ. № 6, სურ. 12—6). ერთზე შემორჩენილია ერთი ბურთი, მეორეზე ორი. ბურთულები შედგენილია ორ-ორი ნახევარსფეროსაგან. ერთ საყურეზე შემორჩენილი ბურთულების მიხედვით ჩანს, რომ ბურთის შიდა არე ამოვსებული ყოფილა რაღაც მასით. საყურეების ბურთულებით შემკობა ცნობილი ხერხი იყო შუა საუკუნეებში და მას ხშირად მიმართავდნენ ხელოსნები. განსაკუთრებით პოპულარული იყო ის. ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში, სადაც გავრცელებული იყო ორბურთუ-

ლიანი და სამბურთულიანი სასაფეთქლე რგოლები[18]. აღნიშნული სახის ვარიაციებს წარმოადგენდნენ საყურეები აჟურული სფეროებით. ერთი ასეთი ნიმუში ოქროსი და ორიც ბრინჯაოსი დადასტურებულია რესთავის გათხრების დროს[19]. ტოპოგრაფია აღნიშნული საყურეებისა და სასაფეთქლე რგოლებისა უპირატესად ჩრდილოეთ კავკასიას, მთის რაიონებს და რუსეთს მოიცავს, რაც მეტად ანგარიშგასაწევი გარემოებაა. ჩვენ ჯერჯერობით, მასალის სიმცირის გამო თავს ვიკავებთ მათი გავრცელების შესახებ დასკვნების გამოტანიდან.

სხვა დანარჩენი მასალა, რომელსაც აქ განვიხილავთ, უპირატესად საყურეების ნაწილებს მიეკუთვნება, რაც არ გვაძლევს საშუალებას მათი მთლიანად წარმოდგენისათვის. გავრცელებული ყოფილა ვერცხლის სპირალები და უბრალო რგოლებიც (66—971: 85, ტაბ. LXVI—4). ერთი ცალი მოოქრულიც ყოფილა (66—971 : 81 ტაბ. LXVI—1). № 4 სამარხში აღმოჩნდა საყურის ნაწილი (66—971 : 81. ტაბ. LXVI—1), ნაკლული. შემორჩენილია რგოლი და ღეროს. ასეთი საყურეები IV—V საუკუნეებშია გახსაკუთრებით გავრცელებული. საინტერესოა, რომ როგორც წესი საყურის ღეროს ამკობდნენ ხოლმე ძვირფასი თვლებით. საყურადღებოა, რომ იმ ნაწილზე, სადაც მარგალიტებს და ვარდულებს ათავსებდნენ, იქ წვრილი მავთულია დახვეული.

ბეჭდები

თუ არაფერს ვიტყვით მცირე, არაფრის მთქმელი ნატეხების შესახებ, სამარხებში შვიდი ბეჭედია დადასტურებული. ბეჭდები დამზადებული ყოფილა რკინისაგან, სპილენძისა და ვერცხლისაგან. რკინის ბეჭდები, ისევე როგორც სამაჯურები, ძლიერ დაზიანებულია, თუმცა ერთი ცალის მიხედვით ფორმა კარვად დგინდება (66—971 : 107). საყურადღებოა, რომ ხმარებაში ყოფილა თვლებით შემკული ბეჭდებიც; შემორჩენილია ნაკლული თვალბუდიანი ბეჭედი მინის (?) თვლით (66—971 : 153) და თვალბუდიანი ბეჭდებიც, სადაც თვლები ამოვარდნილა (66—971 : 80). სამი ბეჭედი, რომელთა მიხედვითაც ფორმა კარგად დგინდება, რომბულფარაკიანია და ძლიერ მიემსგავსებიან ერთმანეთს (66—971:144, 145, 146, სურ. 16—3). სამივე ერთ სამარხშია დადასტურებული (სამარხი № 21). რომბული ფორმის ფარაკზე შეიმჩნევა ორნამენტების კვალიც. დაახლოებით მსგავსი ბეჭდები დადასტურებულია რუსთავსა და დმანისში[20].

განცალკევებით დგას არა მარტო გავაზის, არამედ შუა საუკუნეების მასალებში ვერცხლის ბეჭედი, აღმოჩენილი № 23 სამარხში (66—971 158 სურ.

---

[18] Р. Л. Розенфельдт, Раскопки курганов у с. Битягово в 1968—70 гг. СА, 1971, I; В. П. Даркевич, А. Л. Монгайт, Старо-рязанские клады, 1967, СА, 1972, 2.

[19] ს. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 141, ტაბ. XXIII.

[20] რ. დოლაბერიძე, XI—XIII სს. ბეჭდები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XXVII—B, ტაბ. 1—9, III—8.

19—2). ბეჭდის რგოლი ბრტყელია, შემკულია ოთხ ადგილზე ერთიმეორის საპირისპიროდ ამოჭრილი ნახევარწრეებით.

საკიდები

რუსთავის, სიონის და დმანისის მასალების მიხედვით, კარგად ჩანს, რომ XI—XIII სს. გავრცელებულ სამკაულებში სპილენძისა და ვერცხლის ბურთულა საკიდებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ბურთულები მეტად თხელფურცლოვანი ლითონისგან მზადდებოდა და ამიტომ მალე გამოდიოდა მწყობრიდან და ზიანდებოდა. მიუხედავად ამისა, ფორმა კარგად დგინდება. გავაზის სამაროვნის მასალების მიხედვით გამოიყოფა სამი ტიპის ბურთულა საკიდი: სადაზედაპირიანი, ორნამენტებით შემკული და მთლიანადსხმული. მთლიანადსხმულები მინიატურულებია (66—971:147; სურ. 16—1, ტაბ. LXVI—3; 66—971:165) და ისევე როგორც სხვები მძივებთან ერთად იხმარებოდა. სადაზედაპირიანები, ისევე როგორც სხვა დანარჩენები, მრგვალყუნწიანებია და ძირზე მცირე შვერილი აქვს (66—971:113, სურ. 12—5).

№ 23 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბურთულა საკიდი სრულიად განსხვავებულია სხვებისაგან და თავისი ორნამენტული შემკულობით გამოსარჩევი (66—971 162 სურ. 12—1). იგი სფერული მოყვანილობისაა. ყუნწის მოპირდაპირე მხარეს, ქვემოთ, ყურძნის მარცვლების იმიტაციაა, ბურთულას ცენტრში რელიეფური სარტყელი შემოუყვება, თოკის ორნამენტით, ქვედა ნახევარსფეროში სამი წრიული „ფანჯარაა“ ამოჭრილი, თოკის რელიეფური ორნამენტითვე დამშვენებული. თუ წინ აღწერილი სფერული საკიდების მსგავსი ნაწარმი ბევრია აღმოჩენილი რუსთავსა[21] და სიონში,[22] ეს უკანასკნელი ჯერჯერობით ერთდადერთია. ყველა ჩამოთვლილი ბურთულა — საკიდი მძივებთან ერთადაა აღმოჩენილი სამარხებში, რაც კარგად განსაზღვრავს მათ დანიშნულებას.

ბრინჯაოს ჯვარი

როგორც სამარხეული მასალების მიმოხილვიდან ჩანს, თუკი შეიძლება პირობითად მდიდრული ეწოდოს რომელიმე სამარხს, ესაა № 23 ქვის სამარხი, სადაც იყო დადასტურებული ბეჭედი, სპილენძის სამაჯური, ასევე ორნამენტიანი ბურთულა საკიდი. ამავე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯვარიც (66—971 156, სურ. 18, ტაბ. XVI—5). ჯვარი ბრტყელია და ყუნწიანი (სიგრძე 4,5 სმ), ქვედა მკლავი ოდნავ გრძელია სხვებზე. თითოეული მკლავი ორ-ორი მრგვალბრტყელი დამატებით ბოლოვდება. ცენტრალური ადგილი უკავია ჯვარცმას.

[21] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ტაბ. XXXIII.

[22] რ. რამიშვილი, სიონი, ტაბ. XX.

გამოსახულება დაბალი რელიეფითაა გადმოცემული. ჯვარი დაზიანებულია, ზედაპირი ამოშმულია, ყუნწი ნაკლული, ქვედა მკლავი გადატეხილი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფერი კარგად იკითხება; ქრისტეს შარავანდედი ადგას თავზე, ხელების გასწვრივ წერტილოვანი ორნამენტია გამოყენებული. მაცხოვარი ცოცხლად არის გამოსახული—თვალები ღია აქვს. მთლიანად ჯვარცმა ჯვრის მკლავების ფორმის მიხედვით ჩასმულია დაბალ რელიეფურ ჩარჩოში. შესანიშნავად არის გამოსახული ტანის ქვედა ნაწილი, ტანსაცმელი, რასაც ვერ ვიტყვით ხელების და სახის მიხედვით. ანალოგიური გამოსახულება, ოღონდ უფრო დაზიანებული და შედარებით დაბალი რელიეფით, არის ჯვრის მეორე მხარეზედაც. ჯვარი ჩამოსხმულია და შემდეგ დამუშავებული ამოხეხვით.



17. სპილენძის სამაჯურები (61—971:151, სამ. № 22)

ქრისტეს გამოსახულებიანი ჯვრები ჩვენში არქეოლოგიური გათხრების დროს არ არის ცნობილი. ამიტომ აღნიშნულ ჯვარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჯვრები გათხრების დროს სხვაგანაც არის აღმოჩენილი, მაგალითად, სიონის სამაროვანზე. თუმცა მათ როგორც პირდაპირ ანალოგს ვერ გამოვიყენებთ[23]. ერთი რამ ცხადად ჩანს, რომ ჯვრებს, როგორც გულსაკიდს, ამ დროს უკვე ატარებენ და არც თუ იშვიათად[24].

ჯვარ-ენკოლპიონების აღმოჩენების განსაკუთრებული სიმრავლე ჩანს ჩრდ. კავკასიისა და ძველი რუსეთის შუა საუკუნეების ძეგლების გათხრებისას. სპეციალისტების მიერ გამოყოფილია როგორც ადგილობრივ ჩამოსხმული, ისე ბიზანტიიდან შემოტანილი ჯვარ-ენკოლპიონები[25].

---

[23] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIV.

[24] ასეთი შენიშვნის საშუალებას გვაძლევს ქრისტეს გამოსახულებიანი ჯვრების შემთხვევითი აღმოჩენებიც სოხუმსა, ლიხნესა და შენაკოში. სოხუმში და ლიხნეში აღმოჩენილი ჯვრები დაცულია აფხაზეთის სახ. მუზეუმში, დათარიღებულია VII—IX სს. Л. Г. Гельбак, Два предмета мелкой пластики из коллекции музея, Труды Абхазского гос. музея, IV, 1974, стр. 168. ს. შენაკოს ჯვრები დათარიღებულია IX—X სს. რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაკოდან, თბ., 1973, გვ. 21.

[25] Б. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, М., 1948,стр. 146—147; В. А. Кузнецов, Два византийских креста из Алании, СА, 1971, 2; Э. В. Ртвеладзе, Крест-энколпион из Маджар, СА, 1965, 2, стр. 281. М. Н. Ложкин, Новые памятники архитектуры в Краснодарском крае, СА, 1973, 4, рис. 7; М. Д. Полубояринова, Русские вещи на территории золотой орды, СА, 1972, 3.

როგორც ირკვევა, ჯვრების ძირითადი მასა კიევიდან იგზავნებოდა რუსეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში[26]. რუსული მასალების მიხედვით, ჯვრების წარმოება განსაკუთრებით იზრდება XII საუკუნის მეორე ნახევარში და XIII ს-ში.

გავაზური ჯვრის განხილვისას სამ საკითხზე უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული. ესენია: მაცხოვრის გამოსახვის სტილი, ტანსაცმლის ხასიათი და ჯვრის ფორმის თავისებურებანი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქრისტე გახელილი თვალების მიხედვით გამოსახულია როგორც ცოცხალი ადამიანი. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დათარიღებისათვის, რამდენადაც მაცხოვრის გამოსახვის დედაარსი ყოველთვის ასახავდა საუკუნეთა განმავლობაში არსებულ პოლემიკურ დავას ქრისტეს ბუნების გარკვევის დროს. ქრისტეს შესახებ გარკვეული დოგმატიკის შემუშავებისა და გავრცელების შემდეგ მაცხოვრის გამოსახვის სტილი და მანერა მტკიცედ არის დადგენილი, კერძოდ, ვრცელდება მაცხოვრის მიცვალებულის სახით გამოსახვა დახუჭული თვალებით. ადრეულ ძეგლებზე კი იგი გამოსახულია როგორც ცოცხალი. პირველი ძეგლი, სადაც თვალებღია ქრისტეა გამოსახული, შარავანდედით, წვერით და გრძელი თმით არის 586 წ. დათარიღებული რაბულას სირიული სახარება[27]. მკვლევართა შორის არ არსებობს საერთო აზრი ქრისტეს გამოსახვის ასეთი ცვლილებების ქრონოლოგიური გამიჯვნის თაობაზე; გამოთქმულია მაგალითად ვარაუდი, რომ XI და XII საუკუნეებამდეც კი მიცვალებულ ქრისტეს არასოდეს გამოსახავდნენ[28]. აკად. გ. ჩუბინაშვილი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში, რომელიც ქართული ოქრომჭედლური ხელოვნების შესწავლას მიეძღვნა, ქართული, ბიზანტიური, ევროპული და სხვა მასალების მოშველიებით ამტკიცებს, რომ მაცხოვრის გამოსახვას მიცვალებულის პოზაში ვხვდებით IX ს-დან[29].

ქრისტეს გამოსახულებებს ვხვდებით ოქრომჭედლობის ნიმუშებზე—ხატებზე, ჯვრებზე, ფრესკებზე, გემებზე, მინიატურებში და სხვ. ისე, რომ მაცხოვრის გამოსახულებიან ნივთთა მრავალრიცხოვანი კოლექციებია შექმნილი. ეს განსაკუთრებით მცირე პლასტიკის ნიმუშებს შეეხება, რომელთა წარმოებამაც დიდ მასშტაბებს მიაღწია. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდძალი მასალის დაგროვების გამო, რომლის შექმნაშიც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები და სკოლები იღებდნენ მონაწილეობას, იქნებ არც კი არის შესაძლებლობა ერთიანი აზრის შემუშავებისათვის. სამართლიანად შენიშნავდა გ. ჩუბინაშვილი, რომ:

«Чего же требовать от оценки и описания мелких, портативных предметов, когда монументальные сцены настенных росписей возбуждают такие диаметрально противоположные утверждения»[30].

---

[26] Б. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, стр. 203; Кузнецов, К вопросу о позднеаланской культуре Северного Кавказа, СА, 1959, 2, стр. 109.

[27] F. Cabrol, H. Leclercq, Dictionnaire D'Archéologie Chrétienne et de Liturgie, III, Paris, p. 3074.

[28] შ. ამირანაშვილი, ბეჭდობიზარი, თბ., 1956, გვ. 281, შდრ. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное зодчество, Тб., 1959, стр. 85.

[29] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, стр. 87.

[30] იქვე, გვ. 88, 89.

თუ დღეს უფრო გავრცელებულ და გაბატონებულ აზრს დავეყრდნობით, გავაზური ჯვარი, იმის გამო, რომ ზედ ცოცხალი ქრისტეა გამოხატული, ამ ნიშნით იგი IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

გავაზის ჯვარცმის გამოსახულებაში შესრულების მანერით ყველაზე „სუსტი ადგილია" თავი და ხელები. სწორედ ამის მიხედვით ამყღავნებს იგი მსგავსებას სოხუმის ჯვართან[31]. რაც შეეხება ქრისტეს ქვედა ნაწილის გამოსახვას, ზემოაღნიშნული კვალიფიკაცია აქ არ გამოგვადგება. პირიქით, ქვედა მკლავის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დახელოვნებულ ოსტატთან გვქონია საქმე. რეალისტურად არის გამოსახული ფეხები და სამოსი. სამწუხაროდ, სამოსის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. აშკარად ირჩევა ნაკეცები, რის მიხედვითაც შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამოსის ქსოვილი მძიმეა და სქელი. აღნიშნული სამოსი მსგავსებას ამყღავნებს მცხეთის ჯვრისა და დმანისის ტაძრების, ასევე ადრექრისტიანული ხანის ქვის სტელებზე (ბოლნისი, ბაშკიჩეთი, ხანდისი) მოცემულ გამოსახულებებთან, რომლებიც VI—VII სს. არიან დათარიღებული[32].

მესამე საკითხი, რომლის განხილვაც აუცილებელია ნივთის თარიღის გასარკვევად, არის ჯვრის ფორმის თავისებურებების შესწავლა. ჯვარი არათანაბარმკლავიანია, ჩამოგრძელებული ქვედა მკლავით, მკლავები თანაბარი სიგანისაა, რავიც კუთხე მთავრდება წრიული დაბოლოებით.

როგორც ცნობილია, ჯვრის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახვა II ს-დან იწყება. პირველ ნიმუშად მიჩნეულია 134 წ. დათარიღებული პალმირული ჯვარი[33]. ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ჯვრების ფორმა სხვადასხვაა. საქართველოში უპირატესად ტოლმკლავებიანი ჯვრებია გავრცელებული, რომელსაც — „ბოლნურსაც" უწოდებენ. აქ იგულისხმება არა მარტო მედალიონში ჩასმული ჯვრები, არამედ წრეებით, წნულით და მცენარეული ორნამენტით შემკული ჯვრებიც[34]. თანდათან ვრცელდება არათანაბარმკლავიანი ჯვრებიც, ოღონდ ცენტრისაკენ მკლავების შევიწროების ტენდენციებით. X—XII სს-დან ვრცელდება თანაბარი სიგანის მკლავებიანი ჯვრები (ბედია, ფოკა, ლურჯი-მონასტერი და სხვ.)[35]. ჯვრებს თანაბარი მკლავებით ამავე პერიოდიდან ვხვდებით ოქრომჭედლობის ნიმუშებზედაც (გელათი, საყდარი და სხვ.)[36].

გავაზური ჯვრის ტიპი, ფორმის მიხედვით პირველ რიგში ვგულისხმობთ თანაბარი სიგანის მკლავებს, ალბათ X საუკუნიდან უნდა გავრცელებულიყო. რაც შეეხება კუთხეებში მოთავსებულ წრიულ დაბოლოებებს, ესეც ჯვრების შემკობის ხერხი იყო ადრექრისტიანული ხანიდან მოკიდებული. ქვის ძეგლებზე ჯვრების კუთხეებს ამკობდნენ მრგვალი ბურცობებით, წნული ან მცენარე-

---

[31] Л. Г. Гельбак, დასახ. ნაშრომი, სურ. 1.

[32] Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари, М., 1948; Н. Чубинашвили, Хандиси, табл. 69—72, ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI—XIV სს.) 964, გვ. 9—22.

[33] F. Cabrol, H. Leclercq, Dictionnaire..., p. 3048.

[34] რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954, გვ. 29—32; Н. Чубинашвили, Хандиси, рис. II, 16, табл. 26, 31, 32.

[35] რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, 53, 70.

[36] Н. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное зодчество, рис. 8, 38.

ული ორნამენტებით. ლითონის ჯვრებზე ეს ადგილები ძვირფასი თვლებით იყო ხოლმე შემკული, უპირატესად მარგალიტებით. ასეთ ნაკეთობათა შესანიშნავი ნიმუშებია იმპერატორ იუსტინიან II-ის მიერ დაახლ. 575 წ. რომისთვის შეწირული ჯვარი[37], VI ს. ბოლოთი და VII ს. I ნახევრით დათარიღებული, თვლებით მოოქვილი მეროვინგული ნამუშევარი ჯვარი ტურნეს კათედრალური ტაძრის საგანძურიდან[38], საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული IX ს. დათარიღებული ჯვარი სანაწილე მარტვილის ტაძრიდან[39] და სხვ. ზევით ჩამოთვლილი ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ძვირფასი თვლებით შემკობა, ორ უკანასკნელში კი შესანიშნავად ჩანს ტოლი სიდიდის მკლავების კუთხეებში მარგალიტის თვლები. თუ გავაზური ჯვრის კუთხეების წრიულ დაბოლოებებს დავაკვირდებით, შევამჩნევთ ნაკაწრით შემოფარგლულ ბურთულებს, რომლებიც ძვირფასი ქვების აშკარა იმიტაციებს უნდა წარმოადგენდნენ.

ჯვრის ასეთი ტიპი, მხედველობაში გვაქვს გავაზის ტოლი სიგანის მკლავებიანი ჯვარი კიდურებშემკული, როგორც ჩანს, ძირითადად X საუკუნეში ყალიბდება და ვრცელდება ქვის ძეგლებზედაც. ჩვენ აქ განსაკუთრებით ორი პარალელი გვსურს მოვიხსენიოთ, ესენია: ზედა ვარძიის ე. წ. „კიდურყუავილოვანი“ წარწერა და ჯვარი X—XI სს[40] მიჯნით დათარიღებული და თრეხვის ლეონტი მროველის XI ს. 60-იანი წლებით დათარიღებული ჯვარი და წარწერა[41].

სურ. 18. ბრინჯაოს ჯვარი ჯვარცმის გამოსახულებით (66—971 :— 15€; სამ. № 28)

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ შეიძლება დავასკვნათ, რომ გავაზური ჯვრის ქრისტეს გამოსახვის სემანტიკა, ასევე სამოსის ფორმა მიგვანიშნებენ ადრეული ქრისტიანული ხანის ძეგლებზე, რასაც ვერ ვიტყვით ჯვრის ფორმის შესახებ, ის შედარებით მოგვიანო ელემენტებით ხასიათდება. ჩვენი წინასწარული ვარაუდით ჯვრის თარიღი ძირითადად X ს-ით უნდა განისაზღვროს, არ გამოვრიცხავთ არც IX საუკუნის ბოლოს და არც XI ს. დასაწყისს. ასეთი სავარაუდო და თანაც ვრცელი თარიღის შემოთავაზება ძირითადად გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ ჯვრის, უფრო კი ჯვარცმის გამოსახულება ძლიერაა დაზიანებული და იგი ცუდად იკითხება. თარიღის დასაზუსტებლად სხვა ანალოგიური მასალების აღმოჩენებს უნდა დაველოდოთ.

ზევითაც იყო აღნიშნული, რომ ეს პირველი ჯვარცმიანი ჯვრის აღმოჩენაა, თუმცა სამარხი, რომელშიც იგია დადასტურებული, მას ვერ დაათარიღებს. სა-

---

[37] D. T. Rice, Art of the Byzantine era, London, 1963, p. 62.

[38] F. Cabrol, H. Leclercg, Dictionnaire..., p. 3108.

[39] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 222, ტაბ. 128.

[40] ც. გაბაშვილი, ზედა ვარძიის „კიდურყუავილოვანი“ წარწერა, ძეგლის მეგობარი, 10—11, გვ. 31—32.

[41] გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წლის სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961, № 1.

შარხეული ნივთების ერთი ნაწილი, სახელდობრ, ფაიანსის მძივები და ვერცხლის საკიდი (სურ. 12—1) სამარხის თარიღს XII—XIII სს. განსაზღვრავენ. რაც შეეხება სპილენძის სამაჯურს (სურ. 19—1) და ვერცხლის ბეჭედს (სურ. 19—2) ესენი სამარხის ქვედა ფენას უნდა განეკუთვნონ. როდესაც სამარხის ქრონოლოგიურ ფენებს აღვნიშნავთ, ვგულისხმობთ, რომ სამარხი რამდენიმეჯერ იყო გამოყენებული დასაკრძალავად. ამაზე ნათლად მიუთითებს ერთიმეორეში არეული რამდენიმე ჩონჩხის ნაშთი. ესეც რომ არ იყოს, გულსაკიდ ჯვრებს სამკაულების მსგავსად, დიდხანს ატარებენ, ხშირად რამდენიმე თაობის განმავლობაშიც, ისე რომ მოგვიანო სამარხებში მათი მოხვედრა გაუგებრობას არ გამოიწვევს.

ქვებისაგან გამოთლილი მძივები

მძივების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი სხვადასხვა მინერალისაგან არის დამზადებული. ძირითადად გამოიცნობა გიშერი და სარდიონი. ფორმათა მრავალნაირობით გიშრის მძივები იქცევენ ყურადღებას ისე, რომ ყველა წარმოდგენილი სახის აღწერა შეუძლებელია თითქმის ყველა მათგანი წახნაგოვანია, თანაც წახნაგები ამკობს ბრტყელ, კონუსურ, მოგრძო ფორმის მძივებს განურჩევლად (66—971: 105, ტაბ. IV—2). გიშრის მძივები აღმოჩენილი იყო სარდიონის, მინის და ფაიანსის მძივებთან ერთად.



სურ. 19. 1. ბრინჯაოს სამაჯური (66—971:157; სამ. № 23); 2. ვერცხლის ბეჭედი (66—971:156; სამ. № 23); 3. ბრინჯაოს ორმძივიანი სასაფეთქლე რგოლი (66—971:164; სამ. № 23)

სარდიონის მძივებიც სხვადასხვა ფორმისაა აღმოჩენილი. გვხვდება წვრილი ბრტყელი მძივები (66—971 : 115), ასევე ბიკონუსური და შინდის კურკის მოყვანილობისა. აღსანიშნავია სარდიონის ერთი მძივი თეთრი საღებავით მოხატული (66—971:105, ტაბ. LIV—2). დადასტურებულია მთის ბროლის, ასევე ამეთვისტოს მძივებიც (ტაბ. LIV, LV, LVII—LIX).

რუსთავის XII—XIII სს. სამაროვნის მასალების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ხსენებული პერიოდის სამკაულებში ფაიანსისაგან დამზადებული და მოჭიქული მძივები ვრცელდება და იგი ადგილს იკავებს სხვა მინერალის თუ მინის მძივებთან ერთად. ასეთი სახის მძივების შემოსვლა ჩვენი აზრით, XII—XIII სს. უნდა ემთხვეოდეს. საინტერესოა, რომ გავაზის გათხრების დროს ფაიანსის ნაწარმი არ არის დადასტურებული, მძივები კი გვხვდება. დადასტურებულია რამდენიმე ცალი დიდი ზომის მძივი მსხვილი ხვრელით (66—971:115) და შედარებით პატარები გაფცქვნილი ფორთოხლის ფორმისა (66—971:129).

განსაკუთრებით საყურადღებოა სამაროვანზე ორი მედალიონის აღმოჩენა. ერთი მათგანი აღმოჩნდა № 35 სამარხში (66—971:177, სურ. 20—2). იგი ნაკლულია, მოჭიქული მომწვანო-მოცისფროდ, რელიეფურადაა დამუშავებული, ცენტრში ოთხი ხვრელი ჰქონია. დაახლოებით ასეთი მედალიონი რუსთავშიც არის აღმოჩენილი[42].



სურ. 20. 1. 3. მინის და სარდიონის მძივები (66—971:176; სამ. № 35). 2. ფაიანსის მედალიონი (66—971:177; სამ. № 35); 4. მინის სამაჯური (66—971:178; სამ. № 35); 5. მინის სამაჯური (66—971: 131; სამ. № 16)

[42] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ტაბ. XXVIII.



სურ. 21. სამაროვნის გეგმა და ჭრილი (1971 წ.)

მეორე მედალიონი სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (66—971 207, სურ. 22—3). იგი ლურჯად არის მოჭიქული. ზედაპირი რელიეფურად არის დამუშავებული. მედალიონთან ერთად არის აღმოჩენილი ორი ცალი მძივიც რელიეფურად დამუშავებული.

სამაროვნის დათარიღებისათვის

ზემოთ განხილული სამარხების და სამარხეული მასალების მიხედვით აშკარა ხდება, რომ საქმე უნდა გვქონდეს ძველი გავაზის სამაროვნის ნაწილთან. სამარხების მხოლოდ ერთი ჯგუფი იქნა გათხრილი ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეს. დაზვერვის შედეგად ირკვევა, რომ სამარხებს უკავია ეკლესიის ირგვლივ მდებარე ტერიტორია, თუმცა აღმოსავლეთი ნაწილი უფრო ინტენსიურად ყოფილა ათვისებული. სამარხები განლაგებულია მიჯრით, განსაკუთრებით კი ეკლესიის სიახლოვეს, რაც განსაკუთრებული პატივის მაჩვენებელი უნდა იყოს. ეკლესიისაგან მოშორებით ასეთ სურათს ვეღარა ვხედავთ.



სურ. 22. 1 მინის სამკერდე (63—971:205), ფაიანსის მძივები (66—971:205) და ფაიანსის მედალიონი (66—971:207) სამაროვნის ნაშალი ფენიდან.

როდესაც ლაპარაკია ძვ. გავაზის ეკლესიის ეზოში განლაგებულ სამაროვანზე, აქ სრულიადაც არ იგულისხმება, რომ ეკავაზს მხოლოდ ერთი სასაფლაო ჰქონოდეს, პირიქით, დაზვერვების შედეგად დადგინდა, რომ გავაზში სხვა სინქრონული სამაროვნებიც ყოფილა. კერძოდ, ამის უტყუარი ნიშნები ჩანს დავით გარეჯის ეკლესიის ირგვლივ და დარბაზოვნის ტერიტორიაზე. ქვაყუთების აღმოჩენების ცალკეული შემთხვევა გავაზის თითქმის ყველა უბანზე იყო დადასტურებული. აქ საქმე ეხება შუა საუკუნეების სამაროვანს. ანტიკური სამაროვანი, როგორც აღნიშნული იყო, თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზეა მიკვლეული. სამწუხაროდ, მისი შესწავლა გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია.

სამარხთა მოწყობისა და რიტუალის მხრივ, მცირედენ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, ერთი და იგივე სურათი ჩანს. ყველა სამარხი ქვაყუთის ტი-

პისაა, ნაგებია ბრტყელი ქვებით. სახურავადაც ბრტყელი ქვებია გამოყენებული, დამხრობა ყველგან ერთნაირია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით.

სამარხთა უმეტესობა კოლექტიურია, უმთავრესად არაერთდროული დაკრძალვით, ამიტომაც ხშირად დაკრძალულთა პოზა ვერ დგინდება, რადგანაც სამარხები უწესრიგო ძვლების გროვებს წარმოადგენენ. სამარხთა დიდი ხნის განმავლობაში მრავალჯერადი გამოყენების გამო, მოკლე ქრონოლოგიური



სურ. 23. ბრილჯოს სამაჯური (6ს—7ს:2ს) სამაროვნის ნაშალი ფენიდან.

ჭრილის წარმოდგენა ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ სამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამარხების ერთიმეორეზე განლაგებას. ასეთებია № 8 და 9; № 5 და დარღვეული № 10 და № 19 სამარხები. მერვე და მეცხრე სამარხები 1970 წ. გაითხარა. ორივე ქვაყუთებს წარმოადგენს. მერვე სამარხი ზედ ედო მეცხრეს. აღნიშნული სამარხები სადაზვერვო თხრილში მდებარეობდნენ იქ, სადაც დადასტურებული იყო ქვის კედლის ნაშთიც, რომელიც ეკლესიის ირგვლივ შემოსავლელის თანადროულია. როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილს აქვს გამორკვეული, ეკლესიის ძირითად ნაგებობას, რომლის გეგმარებაც წარმოდგენილია კვადრატით, ოთხივე მხარეს მიშენებული აფსიდებით, შემდეგში მიაშენეს ირგვლივ შემოსავლები. პატივცემული მკვლევარის დაკვირვებით რესტავრაციები იმდენად ხშირია, რომ მათი დათარიღება ძლიერ გაძნელებულია. სამარხებთან აღმოჩენილი კედლის ნაწილი, ვფიქრობთ, ეკლესიის გამაგრებარესტავრაციის ერთ-ერთი დეტალია. გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, რომ რესტავრაციები უნდა იყოს მოხდენილი XIII—XIV და XVI—XVII საუკუნებს შორის[43]. მერვე და მეცხრე სამარხები საინტერესო მონაცემებს გვაძლევენ აღნიშნულ კედელთან მიმართებაში. როგორც ითქვა, მერვე სამარხი ზედ ადევს მეცხრეს. ამ უკანასკნელის სახურავი გამოყენებულია მერვე სამარხის იატაკად. ამავე დროს მერვე სამარხის მოწყობისას ჩაჰრეს ეკლესიის ერთ-ერთ რესტავრაციასთან დაკავშირებული კედელი. სამწუხაროდ, მერვე სამარხი უინვენტარო გამოდგა. რაც შეეხება მეცხრე სამარხს, აქ 7 თუ 8 მიცვალებულის ნაშთი იყო შემორჩენილი. სამარხი სავსე იყო მიწით და ეტყობოდა ის გამოუყენებიათ დასაკრძალავად არა ერთხელ. სულ ზედა ჩონჩხთან თიხის დოქი იდო (ტაბ.

[43] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, I, стр. 224.

L XIV—1). დანარჩენი ნივთები, რომლებიც ქვაყუთში იყო აღმოჩენილი, ქვედა ჩონჩხებს მიეკუთვნება. სამარხეული ინვენტარიდან, სამარხის დათარიღების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თხელკედლიანი მინის ჭურჭელი (ტაბ. LIII), რომელიც რუსთავის და სიონის ანალოგიებით ალბათ XII—XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ცალყურა დოქზე, რომელიც მეცხრე სამარხში იყო აღმოჩენილი. დოქი უბეში ნამუშევარია. თიხა დამუშავებულია ზერელედ, მაინცდამაინც არც ჭურჭლის პროპორციები არ არის დაცული. ყური მიძერწილია დაუდევრად, ყელზე ამოკაწრული ზიგზაგები ამკობს. ასეთი ჭურჭელი 1972 წელს ჩვენს მიერ არის ჩამოტანილი ზაგემის ნაქალაქარიდან (ზაქათალის რ-ნი). მასში ორასამდე XVII ს. ვერცხლის მონეტა იყო დადასტურებული[11]. გავაზის და ზაგემის ჭურჭლების მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ ხსენებული ნაწარმის სინქრონულ ძეგლებად გამოცხადებას არაფერი უნდა დაუდგეს წინ. დასახელებული სახის დოქების მოხმარების და წარმოების დიაპაზონზე ვერაფერს ვიტყვით და მათ თარიღზე მსჯელობისას უბრალოდ გვიანი შუა საუკუნეების აღნიშვნით დავკმაყოფილდებით ჯერჯერობით.



სურ. 24. ბრინჯაოს სამაჯური (66—971:179; სამ. № 35)

ამრიგად, აშკარა ხდება, რომ მეცხრე სამარხის ქვედა ფენა XII—XIII სს. თარიღდება. სამარხი გამოიყენეს ხელახალი დაკრძალვისათვის XVI—XVII საუკუნეებშიც. ალბათ ამავე დროს მოხდა სარესტავრაციო თუ გასამაგრებელი კედლის აშენებაც. კედელი ჩაიჭრა უფრო გვიან № 8 უინვენტარო სამარხით.

სხვა კიდევ ორ შემთხვევაში, როგორც ზევით ითქვა, სტრატიგრაფიულად კი ვხვდებით სამარხების ერთიმეორეზე განლაგებას, მაგრამ სამარხეული მასალის არარსებობა არ გვაძლევს საშუალებას ვიწრო ქრონოლოგია წარმოვადგინოთ.

სამარხთა განლაგების მიხედვით ჩანს, რომ ქვაყუთები მიჯრით არიან განლაგებული. ამავე დროს სამარხთა სახურავები და ძვლები ჩნდებოდა ხოლმე კორდოვანი ფენების შემდეგაც. სამარხთა ერთი ჯგუფი შედარებით ღრმად იყო მიწაში ჩამჯდარი. სახურავი მეტნაკლებად 0,8 მ მდებარეობდა.

ზედა ფენის სამარხები, რომელთა სახურავებიც მიწის ზედა ფენის მოხსნის შემდეგ, დაახლოებით 0,2—0,3 მ ჩნდებოდა, გვიანი შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, თანაც ისინი უფრო დაზიანებული იყო, ხშირად მხოლოდ უსისტემოდ ჩაყრილი ძვლები ამოდიოდა. ჩვენი ვარაუდით, უინვენტარო სამარხების ძირითადი მასა სწორედ გვიანი შუა საუკუნეებისაა, ინვენტარიანები

[11] ლ. ჭილაშვილი, ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის, საქ. სახ. მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, 1973.

კი უფრო ძველი, შუა ფეოდალური ხანისა. ზედა ფენის სამარხების ჩაჩიანება ძირითადად ახალი საფლავების მოწყობისას ხდებოდა; ეკლესიის ტერიტორია ბოლო დრომდე იყო გამოყენებული, როგორც სასაფლაო.

ეჭვს გარეშეა ძველი სამარხების გახსნა და ხელახალი გამოყენება დასაკრძალავად არ იყო ერთეული მოვლენა. აზრიც კი დაგვებადა, რომ შესაძლებელია გვიან შუა საუკუნეებში მასიური ხასიათი მიეღია ძველი სამარხების კვლავ გამოყენებას. სამარხებში, რომლებშიც ნივთები იყო დადასტურებული და არჩეულ ჩონჩხებს შეიცავდა, სამარხეული ინვენტარი ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო მთლიანად კომპლექსის დამათარიღებლად ვერ გამოდგება.

არქეოლოგიურ ძეგლთა დათარიღებაში მონეტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გავაზის სამაროვანზე სულ სამი მონეტაა დადასტურებული: ორი სამარხში და ერთი საცდელ თხრილში სამაროვნის ტერიტორიაზე. ეს უკანასკნელი (66—971:163) ვერცხლისაა, კარგად შენახული. მონეტის არაბული ზედწერილები მშვენივრად იკითხება, მოჭრილია აბუ-საიდის სახელით (1317—1335 წწ.). ორი სხვა მონეტა № 26 სამარხშია აღმოჩენილი. ზომით ძლიერ პატარებია და გახერტილები. შეიმჩნევა არაბული ზედწერილის ფრაგმენტი. ნუმიზმატ მ. ანთაძის აზრით მონეტები XVII ს. თურქული აყჩებია. თუ ეს ასეა, მაშინ სამარხიც, რომელშიც მონეტები იყო დადასტურებული, ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს. სამარხში ერთი ჩონჩხი იყო დადასტურებული. სამარხი შედგენილი იყო მომცრო ფილებით და ნაგლეჯი ქვებით. სამარხში მონეტებთან ერთად აღმოჩნდა სპილენძის ხვია. საყურე და მომწვანო ფერის პასტის ორი პატარა თვალი ნახევარსფერული მოყვანილობისა. ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვქონდეს ნამზადთან, ბეჭდებში ჩასასმელად გამზადებულ თვლებთან. ეგების სამარხში დაკრძალული იყო რომელიღაც ეაჭარ-ხელოსნის ოჯახის წევრი. აღნიშნული სამარხის სახით, ისევე როგორც ადრე აღნიშნული ქვაყუთის მიხედვით, სადაც თიხის დოქი იყო აღმოჩენილი, უფრო მკვეთრად ისახება სამარხთა ის ჯგუფი და ფენა, რომელიც გვიანი შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. XIV საუკუნის მონეტაც სწორედ ამასვე უნდა ემოწმებოდეს.

თუ მთლიანად თავს მოვუყრით ყოველივე იმას, რაც ზევით ითქვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. გავაზის ეკლესიის ეზოში გამოვლენილი ძეგლის სახით საქმე გვაქვს მასობრივ სამაროვანთან, რომელიც გამოყენებული იყო თითქმის დღემდე. როგორც ითქვა, გვიანი სამარხების დიდი ნაწილი დაზიანებულია. ჩვენ მიერ განხილული სამარხები, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეიძლება მოთავსდეს დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში, კერძოდ კი XI—XVII სს. X ს-ზე უფრო ძველი სამარხეული ნივთი, ჩვენი აზრით, აქ არ უნდა იყოს. ზოგ სამარხში, არაერთჯერადი გახსნის და სამარხად ხელახლა გამოყენების გამო ჩანს როგორც XI—XIII სს. მასალები, ისე გვიანი შუა საუკუნეებისა. ეს გარემოება გვავარაუდებინებს, რომ ქვედა ქრონოლოგიური ფენის (XI—XIII სს.) სამარხეული მასალის გარკვეული ნაწილი ალბათ არა მარტო დაზიანდა, არამედ დაიკარგა კიდევაც. ცხადია, ადგილი ექნებოდა ქვედა ფენის სამარხეული ინვენტარის დატაცებასაც. კარგად ჩანს, რომ გვიანი შუა საუკუნეების სამარხები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უინვენტაროებია. ეს შესაძლებელია ემოწმება ჩვენ მიერ არაერთხელ ხაზგასმულ ვარაუდს სამარხეული ინვენტარის გაქრობისა თუ კიდევ „გამდიდრების“ ეკონომიური საფუძვლებით ახსნას. განა სიმპტომატური არ არის, რომ ადრეფეოდალური ხანის ღარიბულ-

სა და უინვენტარი სამარხებს XI—XIII სს. შედარებით მდიდრული სამარხები სცვლის (რუსთავი, დმანისი, სიონი, გავაზი) და რომ XV—XVII სს-ში კვლავ ღარიბული სამარხებია დადასტურებული? სამარხები, მათი მოწყობის ხასიათი და ინვენტარი შესანიშნავად ასახავს ქვეყნის ეკონომიურ დონესა და ძალას. ასევე, როგორც გავაზის მასალები გვარწმუნებენ, შუაფეოდალური ხანის ქვაყუთების ხელახალი გამოყენება ძირითადად სწორედ XV—XVII საუკუნეებში უნდა მომხდარიყოს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ ვიცით რა სურათი იყო ეკლესიის გარეშე მდებარე სამაროვნებზე, ანდა იყო კი ასეთი სამაროვანი? რამდენადაც ეკლესიის სიახლოვეს დაკრძალვა დიდ პატივად ითვლებოდა, არც კი ეღირებოდნენ ძველი სამარხების დაზიანებას.

დღეს, ასე თუ ისე რამდენიმე სამაროვანია უკვე შესწავლილი (რუსთავი, დმანისი, სიონი...) და საკმაო მასალაცაა დაგროვილი განვითარებული ფეოდალური ხანის მასობრივ სამაროვანთა შესასწავლად, თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი სამაროვნების გათხრა და შესწავლა, სადაც გვიანი დასახლებანი არაა სავარაუდო და ერთი პერიოდის ძეგლთან გვექნება საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ისეთივე დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის სამარხების გამოჩენა, როგორც გავაზის სამაროვანზე იყო. როგორც აღნიშნული იყო გავაზის სამაროვნის თარიღად X—XVII სს. უნდა მივიღოთ. ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა ვერ შევძელით სამარხთა არაერთგზის გამოყენების გამო. როგორც თავის ადგილზე იყო შენიშნული ზოგ სამარხში XII—XIII სს. ნივთებთან ერთად XVII ს. ნივთებიც იყო დადასტურებული. ამის მიუხედავად სამაროვნის გათხრები მაინც მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, რომელმაც წარმოდგენა შეგვიქმნა რა თქმა უნდა სხვა მასალებთან ერთად გავაზის მოსახლეობის ირგვლივ ბევრი საინტერესო საკითხის გასაშუქებლად. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უკვე X—XI სს-დან მოსახლეობა ძლიერ ეტანება და ინტენსიურადაც ითვისებს ტაძრების მიმდგომ ტერიტორიას, აქცევს რა მას მასიურ სასაფლაოდ. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ დროიდან არ არსებობს ეკლესია სამაროვნის გარეშე და ტაძართან სიახლოვე ხდება საბაბი საძარხთა არაერთგზის გამოყენებისათვის.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, გავაზში არა ჩანს მაინცდამაინც ქალაქური ტიპის დასახლება. მიუხედავად ამისა, სამაროვნის მასალები სავსებით იდენტურია და ეთანაბრება ცნობილ ქალაქთა სამაროვნების მონაცემებს, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს და ადასტურებს მოსახლეობის კულტურული ტრადიციების ერთიანობას და მჭიდრო კულტურულ-ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობას.

დარგაზოვანი

შუა საუკუნეების ნასოფლარ-ნაქალაქართა თავდაცვის სისტემის შესახებ, სათანადო მასალების უკმარობის გამო, მწყობრი სურათი ჯერჯერობით არა გვაქვს. თუ ერთ შემთხვევაში თბილისის, დმანისის, ახალქალაქის და სამშვილდის მიხედვით საფორთიფიკაციო ნაგებობების და საერთოდ ქალაქის დაცვის სისტემის შესახებ საკმაო მასალები გაგვაჩნია, სხვა ძეგლების მაგალითზე ამას ვერ ვიტყვით. ბუნდოვანია, მაგალითად და დასრულებული სურათის წარმოდგენა ჭირს რუსთავის მიხედვით, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ციხეა შემორჩენილი და მთლიანად ქალაქის დაცვის სისტემა ვერ არის ნათლად წარმოსადგენი. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ქალაქის დაცვას მთლიანად. არსებობდა თუ არა ქალაქის დაცვის ერთიანი სისტემა, ან რა სახისა იყო იგი, ჯერ დადგენილი არ არის. აღნიშნული საკითხის გარკვევისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაღრმავდა გრემის ნაქალაქარის გათხრების დროს, როდესაც ამ დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქის ძირითადი უბნები, გარდა მთავარანგელოზის კომპლექსისა, თავდაცვითი ნაგებობების გარეშეა წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში ერთიანი დაცვის სისტემა აქ არ ჩანს, და როგორც ვფიქრობთ, ეს ამოცანა დაკისრებული უნდა ჰქონოდა ქალაქისგან მოშორებით მდებარე თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსს, რომელიც სხვებთან ერთად ჰქმნიდა მხარის თუ პროვინციის დაცვის მთელ სისტემას, დაყრდნობილს ხეობების ჩამკეტი სიმაგრეების გულმოდგინედ მოწყობაზე.

აღნიშნული თავდაცვითი სისტემის ერთი რგოლი ავანის ხეობაზე მოდიოდა და მასვე ევალებოდა გავაზის დაცვაც. ეს ვარაუდი განსაკუთრებით გამოიკვეთა გავაზის უბნების გათხრების და სხვა ხეობების სათანადო ნაგებობების დაზვერვების შედეგად. საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გავაზში ჩატარებული გათხრების დროს არცერთი თავდაცვითი ნაგებობა არ ყოფილა გაჩოვლეული, თუ არ ჩავთვლით მიწისზედა, ძირითადად „სალეკო“ კოშკებს, რომლებიც გაფანტულია ძველი გავაზის ტერიტორიაზე.

ძეგლი, რომლის შესახებაც ზევით იყო აღნიშნული, მდებარეობს კოპალედან ჩრდილოეთით 1 კმ-ზე, ხეობაში, ავანის წყლისა და მდ. ქვაწერას შესართავში, მაღალ კონცხზე, რომელიც დღეს ტყით არის დაფარული. თავისი მდებარეობით ის სტრატეგიული ადგილია, ხერთვისია და სრულიად ბუნებრივიცაა, რომ ის საგანგებოდ მოუწყვიათ და სიმაგრედ უქცევიათ (სურ. 30). მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი საკმაოდ არის დაცილებული ძირითად უბნებს, ის მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული მათთან, უპირატესად ავანის წყლის მარჯვენა ნაპირით, სადაც ნასახლარების კვალი კიდევ ჩანს. ყურადღება შეიძლება გამახვილდეს იმ გარემოებაზედაც, რომ სწორედ აქვეა საგულვებელი სარწყავი სისტე-



სურ. 25. დარბაზოვანი. სიტუაციური გეგმა.



სურ. 26. დარბაზოვანი.

მის სათავე ნაგებობანიც. ეს ადგილები ავანის წყლის აყოლებით, დღეს დარბაზოვანის სახელით არის ცნობილი, რაც თავისთავად მრავალისმეტყველია.

შემორჩენილი ძეგლების მიხედვით, დარბაზოვანი თავდაცვითი, საეკლესიო და საცხოვრებელი ნაგებობების კომპლექსს წარმოადგენს. თუ რომელი იყო აქ განმსაზღვრელი, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ აქ დღესაც ძლიერ პოპულარული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს, რომლის მისალოციც კოპალეზეა წმ. ციცხვის სახით. მეორე მხრივ, აქვე, მრავალსაფეხურიანი დაცვის სისტემაა მოწყობილი, რომელიც ცხადია მხოლოდ ეკლესიის დაცვის საჭიროებით არ ყოფილა შექმნილი. ადგილის თავდაცვის უნარიანობის მხრივ საგანგებო ზომები არის მიღებული, შერჩეულია მაღლობი მდინარეთა შესაყარზე, იქ, სადაც გზა გადიოდა დაღესტნისაკენ. ნაგებობები განლაგებულია კლდოვან ქედზე, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი საგანგებოდ არის გადაჭრილი და ამით გამოცალკევებულია იგი გარეშოსაგან. ჩრდ.-დას. განაპირა კუთხეში სამსართულიანი ციხე-სასახლეა აგებული, რომელიც ასევე საგუშაგო კოშკის მოვალეობასაც შეასრულებდა.



სურ. 27. დარბაზოვანი. ეკლესიის გეგმა.

დიდრონი ქვებით ნაგები ზღუდით სამი სიგრძივი არეა შექმნილი (სურ. 25): პირველი ხერთვისის კონცხზე მომცრო ბურჯით (ტაბ. LXXII—1), მეორე

შუა ეზო, რომლის დას. ნაწილშიც ქვის კიბეა დატანებული და მესამე ყველაზე მაღლობ ადგილზე, იქ სადაც ეკლესია და ციხე-სასახლეა შემორჩენილი.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული, შემორჩენილია ცენტრალური, ძირითადი ნავი და სამხრეთის თაღედი ნაწილი. ჩრდილოეთის მხარე მთლიანად არის დანგრეული, ცენტრალურ ნაწილში დატანებულია ჩრდ. ეკლესიაში გასასვლელი კარი, რომელიც ამჟამად ამოქოლილია. შესასვლელი ჰქონია დასავლეთის მხრიდან. ეკლესია ნაგებია ქვით, კირის ხსნარზე სამლოცველო გამოყოფილია სამი საფეხურით, შემორჩენილია ქვითნაგები კანკელი. საკურთხეველი კედელთან ახლოს მიშენებული. კედლებზე შეიმჩნევა ფრესკული მხატვრობის ნიშნები და ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები, რომელთა გაშიფვრა ვერ მოხერხდა. როგორც ფრესკები ისე წარწერები გვიანი შუა საუკუნეების იერს ატარებს. ხშირი გადაკეთებისა და რემონტის გამო ეკლესიის პირვანდელი სახის წარმოდგენა ჭირს (სურ. 27). მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ნაწილის მიხედვით არ შეიძლება არ დავინახოთ მსგავსება იყალთოს წმ. სტეფანესა და საგურამოს „კასური გორგის“ ეკლესიებთან, რაც უფლებას გვაძლევს დარბაზოვნის ტაძრის, სამეკლესიან ბაზილიკებთან დაკავშირებისათვის[1]; შემორჩენილია შუა და სამხრეთის ეკლესიები, ჩრდ. ეკლესია კი დაქცეულია. წინასწარი ვარაუდით საქმე უნდა გვქონდეს ადრეფეოდალური ხანის ბოლო პერიოდის ძეგლთან, რომელსაც დღემდე თავისი ფუნქციები არ დაუკარგავს.

ეკლესიის ცენტრალური ნავის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, გარედან, იატაკიდან 2,4 მეტრზე ჩადგმულია რიყის მსხვილი ქვა (0,4×0,46 მ), რომელზედაც ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერა (ტაბ. I.XXIII—1). წარწერის მესამე და მეოთხე სტრიქონები ვერ იშიფრება:

ՁՁ Ծ᾽ՂՒ ՏՆ᾽ՕՇ	უფალო შეიწყალენ სულითა
ՂՂ ՇՈՂ ՏՇ	გიორგი დღესა
ԾՆ Ղ ՎԺ᾽Ը	მას.. ე... ყმ᾽ტ
Ղ Ն Շ	ე...ს...ა

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, როგორც ექსპედიციის წევრი ვ. ცისკარიშვილი განმარტავს, დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წარწერა X ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს და არც XI ს. გვიანდელი. ამაზე განსაკუთრებით მიუთითებს ანი-ს მოხაზულობა, რომელიც კიდურწერტილოვანია.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ წარწერა მაინცდამაინც თავის ადგილზე არა ჩანს ჩასმული და ის ჩვენი ვარაუდით არც ტაძრის აგების დროს უნდა დაუკავშირდეს.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება; როგორც ზევითაც ითქვა დარბაზოვნის მიდამოებში უნდა ვიგულისხმოთ კოპალეს სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა. თავის ადგილზე შენიშნული გვქონდა, რომ არხი მარაგდებოდა წყლით მდ. იულდადან და ავანის წყლიდან. იულდა არ არის წყალუხვი, თანაც ზაფხულში შრება. ამიტომ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სარწყავი სისტემის ძირითადი წყარო ავანის წყალი იყო, თუმცა კოპალეზე არხისა და მდინარე ავანის წყლის დონეები საკმაოდ არათანაბარია. სიმაღლეთა

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, I, стр. 157—160.

გასაწონასწორებლად სწორედ ქვაწერისა და ავანის წყლის შესართავთან უნდა ვიგულისხმოთ სათავე ადგილი, საიდანაც შეიძლება არხის გაყვანა. ასეთი მნიშვნელოვანი და დიდი გამტარიანობის არხი ცხადია სათანადო სათავე ნაგებობის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია და რაც მთავარია მას სათანადო დაცვა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. დარბაზოვნის კომპლექსის შექმნისას, რა თქმა უნდა ვგულისხმობთ ეკლესიის აგებასაც, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ალბათ არხის დაცვა და მოვლა იყო. თუ ჩვენი ადრე გამოთქმული ვარაუდი კოპალეს მამულების ეკლესიისადმი, კერძოდ კი დარბაზოვნის წმ. გიორგის ტაძრისადმი მიკუთვნების შესახებ მართებულია, მაშინ არც ის უნდა იყოს გასაკვირი თუ იგივე ტაძარი საირიგაციო სისტემის დამცველის და არ არის გამორიცხული მისი პატრონის როლში მოგვევლინება. აღნიშნული მომენტის ზაზგასმა სხვა მხრითაც არის საჭირო; საეკლესიო მიწების განსაკუთრებული მოწყობა და ინტენსიფიკაცია გავაზის „ქვეყანაში“ ადრეფეოდალური ხანიდან იგულისხმება, კოპალეს მამულებში კი, რომელიც წმ. გიორგის ტაძარს უნდა უკავშირდებოდეს, არსებული მასალებით IX—X სს-დან. შესაძლებელია ამან, სხვა მონაცემებთან ერთად, რომელთა შესახებაც ზევით იყო საუბარი, რამდენადმე განმარტოს დარბაზოვნის ეკლესიის აგების პერიოდიც.

რაც შეეხება ციხე-კოშკს, აქ ადრინდელი ფენების გარჩევა არც მშენებლობის ტექნიკით და არც გეგმარებით ვერ ხერხდება. ნაგებია რიყის დიდრონი ქვებით, კირის ხსნარზე. ნაგებობა სამსართულიანია. შემორჩენილია იატაკის დაშენური ძელების ხვრელები და ისრული სამზერები. ნაგებობის აღმოსავლეთით, ზღუდეზე მიჯრით, გაითხარა ქვაყუთი უინვენტარო ჩონჩხით. ჩონჩხი ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული. ეკლესიასა და ციხე-სასახლეს შორის რამდენიმე ქვევრი იყო დადასტურებული.

დარბაზოვნის კომპლექსი, როგორც აღნიშნული გვქონდა, გავაზის თავდაცვითი სისტემის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა და იგი ჰკეტავდა ხეობიდან გამოსასვლელს, საიდანაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი საფრთხე.

სამების უბანი

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს გავაზი მნიშვნელოვანი დასახლებაა გვიან შუა საუკუნეებშიც. ამ პერიოდის უბნები არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით თითქმის ემთხვევა X—XIV საუკუნეებისას, მაგრამ როგორც ჩანს გარკვეულ პერიოდში სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორების გამო ესა თუ ის უბანი ჩანს წინ წამოწეული. XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, ვიდრე სპარსელები აოხრებდნენ საქართველოს (1616 წ.), საკმაოდ დაწინაურებული ჩანს კახეთის სამეფო. ქვეყანა მოღონიერდა, მკვიდრად დაეშენა და აყვავდა. კახეთის სამეფომ შესძლო თავი დაეღწია შექმნილი პოლიტიკური გართულებებისაგან და შედარებით უშფოთველი ცხოვრების პირობები შეიქმნა. ამ დროს წარმოიშვა კახეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი გრემი, განახლდა მეორე ასეთივე მნიშვნელოვანი ქალაქი ბაზარი (ზაგემი), შეიქმნა ან განახლდა სამონასტრო და საეკლესიო ცენტრები — ალავერდი, შუამთა, თოგა და სხვ. ამავე ხანებში, ჩანს, მომძლავრებულა გავაზიც. ახალმა ცხოვრებამ, გარკვეული პირობების გამო, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, განსაკუთრებით წინ წამოსწია გავაზის ერთ-ერთი რაიონი, რომელსაც ჩვენ სამების უბანს ვუწოდებთ, აქ სამების სახელზე აგებული ეკლესიის გამო.

სამების უბანი გავაზის განაპირას მდებარეობდა. კოპალესა და ნაბაზრალისაგან დაცილებულია 3—4 კმ-ით. მდებარეობს დღევანდელი ახალსოფლის (გავაზის) განაპირას ყვარელ-ლაგოდეხის გზატკეცილის მარცხენა მხარეს, მდ. შოროხევის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან დაახ. 200 მ დაცილებით. ადგილი სრულიად განსხვავებულია კოპალესა და ნაბაზრალისაგან. მდებარეობს ვაკეზე და ეტყობა მისი მოქმედების პერიოდშიაც პუნქტის განაპირა მხარეს იყო განლაგებული.

არქეოლოგიური გათხრების წყალობით გამოირკვა, რომ სამება შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპლექსური ძეგლი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების ძეგლები — ერცელი ნაგებობა, პირობითად ნაქარვასლად ხსენებული ჩვენს მიერ, ეკლესია და თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ჭურა. ძეგლებს განვიხილავთ თანმიმდევრობით.

ნაქარვასლარი

სამების უბნის ცენტრალური ადგილი უკავია შემაღლებულ ადგილს, რომლის კონფიგურაცია მიგვანიშნებდა რომელიღაც ოთხკუთხა ნაგებობაზე.

რამდენიმე წლის წინ, აქ ახალსოფლელებს სპორტული მოედანი მოუწყვიათ, რისთვისაც ბექობის ცენტრალური ადგილიდან ბულდოზერით მიწა ამოუღიათ და ადგილისათვის ამფითეატრის სახე მიუციათ. ცხადია, მიწის სამუშაოების დროს, როდესაც მიწა საკმაოდ შორს გაიტანეს და გაშალეს, დაზიანდებოდა არქეოლოგიური მასალაც.

ძეგლის გათხრები დაიწყო ბექობის დასავლეთის მონკვეთში. მიწის თხელი ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა კედლის ნაწილი. როგორც გამოირკვა კორდოვანი ფენა 30 სმ არ აღემატებოდა. კედლის კონტური გამოჩნდა შიდა მხრიდანაც. კედლის სიგანე 1,9 მ-ია, კედელი მიიმართებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გადაწყდა მოგვეხდინა ნაგებობის ორივე მხარეს მიწის პირაღებით აღება. პირველივე თხრილის მიხედვით აშკარა გახდა, რომ კედლის მიწაყრილს სიგრძე 30 მეტრამდე იყო, სულ ნაგებობის პერიმეტრი წინასწალურად 120 მეტრს აღწევდა.

გათხრებისას გამოაშკარავდა, რომ საქმე გვაქვს მარტივი არქეოლოგიური ჭრილით გასათხრელ ერთფენიან ობიექტთან, რომელიც იზოლირებულ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა. პირველ ყოვლისა გამოვაჩინეთ ნაგებობის ირგვლივი და შიდა კონტურები და შემდეგ კი დავაღრმავეთ ორივე მხარეს (ტაბ. LXVII—LXX, სურ. 28).

დასავლეთის კედელი სიგანით 1,9 მ-ია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების შეერთების ადგილი გარედან მომრგვალებულია, შიგნით კი კუთხოვანი, გარეთა მხრიდან კედლის სიგრძეა 27,8 მ. კედლის შუა ნაწილში ოვალური მოყვანილობის კონტრფორსია ჩაშენებული 2 მ დიამეტრით. ყველაზე უკეთ შენახულ ნაწილში 6—7 ფენა ჩანს ქვების წყობისა. კედელი, ისევე როგორც მთლიანად შენობა, ნაგები ყოფილა რიყის მსხვილი ქვებით, კირის ხსნარზე. კედლის სიგანე ყველა ნაწილში თანაბარია და ნაგებობას საერთოდ ემჩნევა მკვიდრად და გულდადებით შენება, კედლის შემორჩენილი სიმაღლეა საშუალოდ 1,2 მ.

ჩრდილოეთის კედლის სიგრძე გარედან 27,6 სმ-ია. მის ცენტრალურ ნაწილში რკალური კონტრფორსია ჩაშენებული დიამეტრით 1,9 მ. კედლის სიგანე 1,9 მ-ია, კედლის ძირში აღმოსავლეთის კედლიდან 12,5 მ კედლის ქვების პირველ ორ წყებაში ჩაშენებულია არხი სიგანით 0,3 მ. შესაძლებელია იგი წყლის შემოსაყვანად იყო გამოყენებული (ტაბ. LXX—1). ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლების შეერთება გარედან რკალურია, შიგნიდან კი კუთხოვანი, მტკიცედ შეკრული. კედლის აღმოსავლეთი კუთხე სხვებთან შედარებით უფრო დაზიანებულია.

აღმოსავლეთის კედლის სიგრძე 27,8 მ-ია, სიგანე 1,7 მ, თუ არ ჩავთვლით კედლის სიგანეს, რომელიც 0,2 მ-ით ვიწროა დასავლეთის კედელზე, ისინი აბსოლუტურად ეთანაბრებიან ერთმანეთს, ცენტრალურ ნაწილში აქაც რკალური კონტრფორსია, რომელიც სხვებთან შედარებით ცუდად არის შემორჩენილი.

სამხრეთის კედელი ზომებით ზუსტად ეთანაბრება ჩრდილოეთისას; სიგრძე 27,6 მ, სიგანე 1,9 მ. ცენტრალურ ნაწილში, იქ, სადაც სხვა კედლებში კონტრფორსებია ჩაშენებული, ადგილია დატანებული კარისათვის. მისი სიგა-

ნე 1,9 მ-ია (ტაბ. LXX—2). შიგნიდან კარის ნაწილის ორივე მხარე ნახევარ რკალური მინაშენით მთავრდება, ალბათ უფრო მეტი სიმტკიცისათვის.

მთლიანად ნაგებობა, რომელიც ექსპედიციამ გათხარა, შთამბეჭდავია თავისი მოცულობით (სურ. 28). მარტო მისი შიდა არე შეადგენს 576 კვ. მეტრს



სურ. 28. სამება. ნაქარვასლარი, გეგმა და ჭრილი.

(24 მ × 24 მ). ასეთი სიდიდის მიუხედავად, ცალკეული მისი დეტალი დამუშავებულია მაღალ დონეზე, და რაც მთავარია ზედმიწევნითი სიზუსტით. სიზუსტის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კედლების შიდა ზომები. ყველა მათგანი შიგნიდან ზუსტად 24 მეტრია. არცერთი სანტიმეტრი ცთომილება აქ არ არის. ნაგებობისათვის გამუყნებიათ დიდი ზომის რიყის ქვები, რომელსაც მოიტანდნენ აქვე ახლოს მდებარე მდინარიდან. კედლები სწორია და ამოყვანილი ზუსტად, შეეულად. კონტრფორსების დატანება გვავარაუდებინებს, რომ

შენობას საკმაო სიმაღლე უნდა ჰქონოდა და ის უბრალოდ შემოზღუდულ ადგილს არ წარმოადგენდა. სამწუხაროდ, საშენებელი ქვები ადგილიდან გაზიდულია, რაც არ გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ნაგებობის სიმაღლე. ასევე ვერ ვადგენთ გადახურული იყო თუ არა იგი. საქმე ის არის, რომ დღეისათვის რაიმე კვალი, რაც მიგვანიშნებდა სახურავის დამჭერ საშუალებებზე, არ არის დადასტურებული, ასევე არ არის შემორჩენილი გადახურვის ნაწილები, ან კრამიტები. ჩრდილოეთის კედელში დატანებული არხი ალბათ წყლისათვის იყო გამიზნული, თუმცა სხვა კედელში არ არის დადასტურებული გასასვლელი

ნაგებობის გათხრებისას არქეოლოგიური მასალა არ არის დადასტურებული

რა დანიშნულების ნაგებობასთან უნდა გვქონდეს საქმე? ნაგებობის არანაკლებ ორიგინალური დიდი შიდა არე, მკვიდრად ნაგები კედლები და საერთოდ დიდი ზომები გვაფიქრებინებს, რომ ის არ იყო საცხოვრებელი, ან სასახლე, რადგან საამისო ატრიბუტები მას არ გააჩნდა. ის არც საფორტიფიკაციო ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რადგანაც აქ არც გამაგრების კვალი არა ჩანს და არც ადგილია საამისოდ შერჩეული. ჩვენი ვარაუდით ის ნაქარვასალარი უნდა იყოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ერცლად დაგვეჭირდება საუბარი.

XV—XVI საუკუნეებში მომძლავრებული კახეთის სამეფო ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობაშია ჩაბმული მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან. გრეთის არქეოლოგიური მონაპოვრებით შესანიშნავად ჩანს, რომ კახეთში შემოდიოდა საქონელი ირანიდან, დაღესტნიდან, ჩინეთიდანაც კი. იმპორტულ ნაწარმში გამოირჩევა ქირმანის და ქაშანის ნაკეთობანი, ჩინური სელადონი, ჩინური სელადონის სპარსული მინაბაძები და სხვ. გრემიდან და ზაგემიდან (ბაზრიდან) ძირითადად გაჰქონდათ აბრეშუმი. კახეთის ქალაქები მეზობელ ქვეყნებს უკავშირდებოდნენ კარგად მოწყობილი საქარავნო გზებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რომელიც კახეთის ქალაქებს ირანთან აკავშირებდა, გადიოდა გავაზე. ეს გზა კეთილმოწყობილი იყო; გზა დიდრონი თიხის ფილებით მოგებული და დაცული ყოფილა, დღის სავალ გზაზე ქარვასლა-ფუნდუკები იყო აშენებული. საწყის პუნქტად გრემია საგულისხმებელი, სადაც მშვენიერი ეულბაქები და ქარვასლა იყო მოწყობილი. დგინდება, რომ დღიური გასავლელი მანძილი ქარავნებისათვის დაახლოებით 25—30 კმ უდრიდა. სწორედ ასეთ მანძილზე ქარავნის გასაჩერებელი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. გრემის შემდეგ პირველივე გაჩერება გავაზში იყო, რომელიც სწორედ 30 კმ არის დაცილებული გრემიდან. მათ შორის შუა გზაზე იყო ყვარელი, სადაც ასევე ხშირად ჩერდებოდნენ ქარავნები. რუსი დიპლომატების 1639—43 წწ. კახეთში მოგზაურობის ანგარიშში ვკითხულობთ: „Апреля в 8 де пошли послы ис Кремля в Заген и ночевали под деревнею Королевою. Апреля в 9 де из деревни Королевой пришли в деревню Гавази"[1]. სხვათაშორის ეს ის პერიოდია, როდესაც კახეთი უკვე აოხრებული იყო. მიუხედავად ამისა, მოგზაურნი მა-

[1] М. Полиевктов, Материалы..., стр. 297. რუსები გრემს ეძახდნენ Кремл-ს და ყვარელს — Королевая-ს.

ინც ძველი ტრასით დადიოდნენ. ცხადია გავაზის ქარავასლა სავაჭრო მაგისტრალზე იდო და სამების უბნის დაწინაურებაც მასზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული.

გავაზის შემდეგი საგზაო პუნქტი იყო დღევანდელი ლაგოდეხის მიდამოებში, გავაზიდან 30 კმ-ზე. აქ მაწიმის ხეობაში დადასტურებულია ქარავნის გასაჩერებელი ადგილი. ალაზნის ველის ჭაობიანი ადგილები გზის გაყვანისას განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებას მოითხოვდა და ამიტომაც ტრასა საგულდაგულოდ იყო მომზადებული; დიდრონი ნახევრადგამომწვარი თიხის ნაჭრებით და გუნდებით შემაღლებული და თიხის ფილებით დაფარული. გრემი-ლაგოდეხის ტრასაზე ათეული კილომეტრის მანძილზე ასე მოწყობილი გზის ნაწილები ჯერ კიდევ ამ 35 წლის წინ იყო დაზვერილი აწ განსვენებული არქეოლოგის ალ. მამულაშვილის მიერ. გზაზე გარკვეულ ადგილებში საყარაულო კოშკებიც იყო მოწყობილი, რომ ქარავნის მოგზაურობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო თავდასხმებისაგან. ერთი ასეთი აგურით ნაშენი კოშკის ნაშთი დადასტურებული გვაქვს გავაზის ქარავასლის შემდეგ დაახლ. 8—9 კმ-ზე.

როგორც ითქვა, გრემიდან ერთი დღის სავალ მანძილზე იდო გავაზი. აქ იყო მოწყობილი ქარავასლა. ორი დღის სავალ გზაზე მაწიმის ხევზე მდებარე პუნქტი იყო განლაგებული. სამი დღის შემდეგ ქარავანი მიადგებოდა სახელგანთქმულ ქალაქ ბაზარს (ზაგემს), რომლის ადგილმდებარეობაც ლოკალიზებულია თანამედროვე ზაქათალას რაიონში სოფ. ალიაბადის დასავლეთით 6—7 კმ-ზე[2] ესეც კეთილმოწყობილი ქალაქი იყო. მგზავრებისათვის აქ აგებული იყო ქარავასლა და ქულბაქები. ბაზარ-ზაგემიდან ერთი დღის სავალზე იდო კახი და აქვე მთავრდებოდა კახეთის სამეფოს საზღვარიც. რუსი ელჩების 1643 წ. მოგზაურობის ანგარიშიდან ვგებულობთ: ...пошли з базару и начевали Теймураза царя под порубежную деревню под Кахом... с того стану пошли и пришли на рубеж Теймураза царя с шаховою землею, владения рыского солтана, на реку Кан...“[3]

კახის შემდეგ ოთხ დღეში ქარავანი ჩავიდოდა შემახას და აქედან კი ირახისაკენ აიღებდა გეზს.

ეი ასეთი მნიშვნელოვანი გზის ტრასაზე იდო გავაზი და სავსებით ბუნებრივია, თუ ქარავნების გასაჩერებელი ადგილიც იყო მოწყობილი. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღწერილი ნაგებობის დანიშნულების ჩვენს მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრაში შეიძლება ეჭვი აღარ შეგვეპაროს.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. გავაზის ნაქარავასლარი თავისი მასშტაბებით ჩამორჩება გრემისას და ეს ალბათ არც უნდა იყოს გასაკვირი. გრემი დედაქალაქი იყო და მისი ნაგებობებიც მთავარი ქალაქის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება გავაზს ის სოფლურ დასახლებას წარმოადგენდა, რომელიც გზასთან სიახლოვის გამო XV—XVI საუკუნეებში კვლავ წამოიწია წინ. საყურადღებოა, რომ ქარავასლა მოაწყვეს არა შუაგულ სოფელში, არამედ მის განაპირას, რომელსაც თვით გაუჩნდა ირგვლივ, არცთუ ძლიერი, მაგრამ არგარიშგასაწევი არქიტექტურული კომპლექსი.

---

[2] ლ. ჭილაშვილი, ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის, საქ. სახ. მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, 1973 წ.

[3] С. Белокуров, Сношения..., стр. 161.

სამების კომპლექსის მეორე ძირითადი კომპონენტია სამების ეკლესია. იგი დღევანდელი ახალსოფლელებისათვის „კოპალესთან“ ერთად ყველაზე საპატივსაცემო ადგილია. დღეობები იმართება მაისის თვეში. როდის არის დანგრეული ეკლესია არ არის ცნობილი. მიწის ზევიდან ნანგრევებისაგან შეჭმნილ



სურ. 29. სამების ეკლესია, გეგმა და ჭრილი.

ბორცვზე ამოჩრილი იყო შენობის კედლები. რამდენადაც სამების უბანი კომპლექსური ძეგლია, ნაეკლესიარის გათხრა ექსპედიციამ თავის აუცილებელ მიზნად დაისახა.

ეკლესია ნაგებია რიყის მსხვილი ქვებით, კირის ხსნარზე. ეკლესიის სიგრძეა 13,15 მ, საკურთხეველი გარედანაც და შიგნიდანაც ოთხკუთხაა. სიგრძე 3,55 მ, სიგანე 5,35 მ. ეკლესიის სიგანეა 7,4 მ, კედლების სიგანეა 1 მ. დასავლეთის და სამხრეთის კედლებში კარია დატანებული (სურ. 29). დას. კედელში დატანებული კარის სიგანეა 1,2 მ, სამხრეთის კედლის სიგანე 1,25 მ-ია (ტაბ. LXXI). ეკლესიაში საკურთხეველი ძირითადი სათაესოსაგან გამოყოფილია საფეხურით, რომლის ცენტრალურ ნაწილში 0,8 სიგანისა და 0,2 მ სიმაღლის ქვის კიბეზეა ჩადგმული. დასავლეთის შესასვლელში ზღურბლზე ოთხ რიგად აგურები ყოფილა განლაგებული. ერთი რიგი აკლია, ეკლესიის იატაკის გაწმენდა ყველგან ვერ მოხერხდა, სავარაუდოა, რომ ეკლესიაც ნაჭარვასლარის სინქრონული იყო. როგორც ეკლესიის ირგვლივ მდებარე ადგილების გულდასმითმა დათვალიერებამ დაგვარწმუნა: ეკლესია გარდა იმისა, რომ ერთ კომპლექსშია ნაჭარვასლართან ერთად, იზოლირებულ ნაგებობას არ წარმოადგენდა. დასავლეთის მხრიდან ეკვრის სამეურნეო ხასიათის სათავსოები, რომელთა გათხრა ექსპედიციამ ვერ მოახერხა. არქეოლოგიური მასალა ეკლესიის გაწმენდისას არ ყოფილა დადასტურებული.

ჭურის გათხრები

ნაჭარვასლარიდან დაახლოებით 40—50 მ-ზე, ფლატის პირზე ექსპედიციამ მიაკვლია სანახევროდ დანგრეულ თიხის ნაწარმის გამოსაწვავ ქურას. მიწის ზედაპირიდან იგი 1 მეტრზე მდებარეობდა. წყლით გამოჩენილი იყო აღმოსავლეთი ნაწილი და საკმაოდ დაზიანებულიც.

